აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლების შესახებ

რელიგიის თავისუფლება საქართველოსა და სომხეთში

კონფერენციის პუბლიკაცია

ივლისი 2013

ევა ჩილინსკი,
დენოლა ჩხარტიშვილი (რედაქტორები)
უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი -კავკასია

UNITED NATIONS HUMAN RIGHTS
OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

კონფერენციის პუბლიკაცია „აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლების შესახებ“
ივლისი, 2013 წ.

დიზაინი: იოსებ ქემაშვილი

რედაქტორები: ევა ჩილინსკი და დენოლა ჩხარტიშვილი

ISBN: 978 -9941-0-5818-9

© საავტორო უფლებები ეკუთვნის უმცირესობის საკითხთა ევროპულ ცენტრ -კავკასიას.

საავტორო უფლებები დაცულია. პუბლიკაციის არცერთი ამონარიდი არ შეიძლება გამოცემულ ან გამოყენებულ იქნეს უმცირესობის საკითხთა ევროპულ ცენტრ -კავკასიის წერილობითი თანხმობის გარეშე.

გამოცემულია უმცირესობის საკითხთა ევროპულ ცენტრ -კავკასიის მიერ
© უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი -კავკასია

www.ecmicaucasus.org

EUROPEAN CENTRE
FOR
MINORITY ISSUES

ანგილე სამურა

ჰოლანდიის ელჩის მოადგილე
ჰოლანდიის სამეფოს საელჩო საქართველოში

წინასიტყვაობა

მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება აღნიშნული პუბლიკაცია წარმოგიდგინოთ. ჰოლადიაში როგორც რელიგიის, ასევე რელიგიური მრწამსის თავისუფლება ყოველთვის წარმოადგენდა ერთ–ერთ მთავარ ქვაკუთხედს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რის გამოც ჩვენ მეტად მოხარულები ვართ, რომ ჩვენი წვლილი შეგვაქვს ამ კონფერენციის განხორციელების პროცესში.

ჩემი ჰოლანდიური წარმომავლობიდან გამომდინარე, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ კარგად მესმის რელიგიური შემწყნარებლობის საკითხთა განხილვის მნიშვნელობა, ასევე ის სირთულე, რაც ამგვარი დისკუსიებისთვის არის დამახასიათებელი. აღნიშნული საკითხი ჩემს ქვეყანაში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენისა თუ პოლიტიკური დებატის მთავარ და განუყრელ ნაწილს წარმოადგენს. მაგალითისთვის მოვიყვან მე–16 და მე–17 საუკუნეებს, როცა რელიგიური თავისუფლების მოპოვება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ერთ–ერთ მთავარ მიზეზად იქცა.

ჩვენი ქვეყნის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, რელიგიურ საკითხებზე დაუსრულებელი დებატების გამართვა და მათი აქტუალობა ჩვენთვის უცხო არ არის. ეკონომიკური განვითარება, გლობალიზაცია, ქვეყნებს შორის მიმოსვლისა და მიგრაციის ზრდა, მომავალშიც მოახდენს რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ დებატების შინაარსის ფორმირებაზე გავლენას. თუმცა, ამ უკანასკნელმა არ უნდა დაგვაბრკოლოს, რათა უწყვეტ რეჟიმში განვაგრძოთ დისკუსიები ჩვენთვის რთული საკითხების გარშემო და ვისწრაფოთ იმისთვის, რომ რელიგიური თავისუფლების კუთხით სიტუაცია ჩვენს ქვეყნებში უფრო გაუმჯობესდეს.

რელიგიის თავისუფლება უპირველესად საზოგადოების თითოეულ წევრს ეხება. იგი თითოეული ჩვენგანის გარანტიაა იმისა, რომ თავისუფლად შევძლოთ დავრჩეთ საკუთარი რელიგიური მრწამის ერთგულები. ხოლო რელიგიის თავისუფლების მიმართ პატივისცემა თანაბრადაა მნიშვნელოვანი მთლიანი საზოგადოებისთვის, ვინაიდან არასაკმარისი თავისუფლება საზოგადოების პოლარიზაციასა და გარკვეული ფენების ამავე საზოგადოებიდან გარიყვას იწვევს. ეს უკანასკნელი კი, ექსტრემისტულ შეხედულებებს აყალიბებს, რაც საბოლოოდ შეუწყნარებლობასა და ძალადობაში გადაიზრდება. როცა ამ თუ იმ ქვეყნის მთავრობა ან რელიგიური ორგანიზაციები პასუხისმგებლობას იღებენ ხელი შეუწყონ ქვეყანაში რელიგიური თავისუფლების გაძლიერებას, საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის კონფლიქტის აღმოცენების რისკი მცირდება.

ღია დიალოგის გამართვა და თანამშრომლობა ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურებს, რელიგიურ ორგანიზაციებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ აქტორებს შორის უმნიშვნელოვანესი დატვირთვის მატარებელია რელიგიური თავისუფლების ხელშეწყობის თვალსაზრისით. აღნიშნული კონფერენცია კი, ამ დიალოგის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

დაბოლოს, მე მსურს გამოვიყენო ეს შესაძლებლობა, რათა მადლობა გადავუხადო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ რეპორტიორს, ბ–ნ ჰაინერ ბილეფელდს, რომელიც რელიგიური და რელიგიური მრწამსის თავისუფლების საკითხებზე მუშაობს და მონაწილეობას იღებს აღნიშნულ კონფერენციაში. საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის ადგილობრივი პრობლემების ფონზე განხილვამ მართლაც შინაარსობრივად ფასეული და საინტერესო გახადა კონფერენციის მსვლელობისას გამართული დისკუსიები. აქედან გამომდინარე, სრულად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ეს კონფერენცია და წინამდებარე პუბლიკაცია საკმაო წვლილს შეიტანს რელიგიური თავისუფლების გაძლიერების საქმეში როგორც საქართველოში, ასევე სომხეთის რესპუბლიკაში.

UNITED NATIONS HUMAN RUGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

სარჩევი

შესავალი 6

აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლება სამხრეთ კავკასიაში 7

საერთაშორისო სტანდარტები რელიგიისა და რელიგიური მრწამსის შესახებ 12

დისკუსია რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების ნორმების და სტანდარტების შესახებ 17

სომხეთის ვალდებულებანი რელიგიის და აღმსარებლობის თავისუფლების საკითხებში, გამოხატვის, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ 22

საქართველოში სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ეპარქიასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების მიმოხილვა 24

სამლოცველოების მოწყობა - რელიგიური თავისუფლების შეზღუდვა (ნიგვზიანი-წინწყარო-სამთაწყაროს მოვლენები) 28

რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებული სიტუაცია სომხეთში 30

დისკუსია საქართველოსა და სომხეთში რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების სტანდარტების დაცვის შესახებ 32

„მაგრამ“ - პოლიტიკა საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი 34

იდენტობა, უცოდინრობა და შიში 38

რელიგიის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებული მდგომარეობა საქართველოში 41

რელიგიური ორგანიზაციების უფლებები და შესაძლებლობები სომხეთში 43

დისკუსია რელიგიურ უმცირესობებისა და მართმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობების შესახებ საქართველოში 48

სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შესახებ, მიმართული საქართველოს ხელისუფლებისადმი 50

დასკვნითი სიტყვა 53

დღის წესრიგი 57

მონაწილეთა სია 58

კონფერენციის მასალები 62

შესავალი

აღნიშნული კონფერენცია ორ ქვეყანაში რელიგიის თავისუფლების ხარისხის განსაზღვრასა და შეფასებას ემსახურება. ხოლო, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო უწყებათა მიერ რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური მრწამსის ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა კი, სავარაუდოდ კონფერენციის ერთ–ერთ მთავარ შედეგად შესაძლოა დასახელდეს. ეს უკანასკნელი კი, მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ ინსტიტუციებს, ადგილობრივ კანონმდებლობას, სტრატეგიასა და პროგრამებს, ასევე ყველა იმ საკითხს, რაც რელიგიის თავისუფლებას ეთნო–კულტურულ იდენტობასთან აკავშირებს. კონფერენციის კიდევ ერთ ასპექტს ტრადიციულსა და არატრადიციულ რელიგიებს შორის დისკუსიების ფორუმის გამართვა წარმოადგენდა, რაც მეტად მგრძნობიარე საკითხია ორივე ქვეყნის როგორც ეროვნული, ასევე რელიგური იდენტობისთვის.

კონფერენციის მონაწილეთა მრავალფეროვნებამ, რომელსაც ესწრებოდნენ წარმომადგენლები როგორც სამთავრობო, ისევე არასამთავრობო სექტორებიდან, ტრადიციული და არატრადიციული რელიგიური გაერთიანებებიდან, სომხეთის სამოციქულო ეკლესიიდან როგორც საქართველოდან, ასევე სომხეთიდან და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან, ფასეულობა შემატა ფორუმის მნიშვნელობას და ორივე ქვეყნის რელიგიის თავისუფლების შესახებ დისკუსიების დროს განსახილველ საკითხებს. ფორუმი შემდეგი საკითხების განხილვას დაეთმო:

- ორივე ქვეყნისთვის სპეციფიური რეკომენდაციების მომზადება, რაც საჭიროებს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, რამაც უნდა უზრუნველყოს უნივერსალური პერიოდული ანგარიშების, TB და SP რეკომენდაციების ჰარმონიზაციაში მოყვანა ეროვნულ კანონმდებლობასთან, სტრატეგიის დოკუმენტებსა და ეროვნულ პოლიტიკასთან.
- ორივე ქვეყანაში ეროვნულ დონეზე არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებისთვის რეკომენდაციების შესახებ წინადადებათა პაკეტის მომზადება, რომლებიც საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების საკითხებზე მუშაობენ, როგორიცაა სხვადასხვა რელიგიური კონფესიის თავისუფლება და მათი რელიგიური აღმსარებლობის ჩატარება თავისუფლების აღმკვეთ დაწესებულებებში (ციხეები, ფსიქიატრიული საავადმყოფოები, ა.შ.).
- რეგიონში რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თანასწორობის შესახებ კანონის, ადმინისტრაციული ზომების, პოლიტიკისა და პროგრამების, ასევე ეროვნული სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად შესაბამისი და საჭირო რეკომენდაციების მომზადება და გაცემა, ასევე იმ სამუშაო პრაქტიკის შესახებაც, რაც საერთაშორისო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლას საჭიროებს.
- ყველაზე მეტად გახმაურებული საკითხების განხილვა, როგორიცაა რელიგიური აღმსარებლობის ჩატარებისთვის საჭირო ადგილებზე საკუთრების უფლებების დაცვა და ასევე შუამავლობის მექანიზმის დაწესება;
- ორივე ქვეყნის განათლების სამინისტროსთვის დახმარების გაწევა, ეუთოს ტოლედოს სახელმძღვანელო პრინციპების პრაქტიკაში დანერგვის ხელშესაწყობად, რაც საჯარო საგანმანათლებლო სისტემაში სხვადასხვა რელიგიის მიმართ ტოლერანტობის შესახებ ცოდნის მიღების ერთ–ერთ საშუალებას წარმოადგენს[1];
- პირველი დღის განმავლობაში, მთავარ გამომსვლელებსა და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება დამსწრე საზოგადოებას გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება რელიგიის თავისუფლების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების ეროვნულ კანონმდებლობასთან, სტრატეგიის დოკუმენტებსა თუ ეროვნული სტრატეგიის მთავარ პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ;
- მეორე დღის ფორმატი ითვალისწინებს საქართველოსთვის კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებას ქვეყანაში არსებული რელიგიის თავისუფლების გასაუმჯობესებლად, რასაც რეკომენდაციების ნიმუშის სახე მიეცემა სომხეთის რესპუბლიკისთვის.

1 . http://www.osce.org/odihr/29154

UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლება სამხრეთ კავკასიაში

საქართველოსა და სომხეთში 90–იან წლებში რელიგიისა და რელიგიური მრწამსის მიმართ დისკრიმინაციის აღმავლობის პერიოდი დაიწყო, როცა ექსტრემიზმის მრავალმა ფორმამ იჩინა თავი და შეუმწყნარებლობის ფაქტებმა უფრო ხშირი გამოვლინება ჰპოვა. 90–იანი წლების ბოლოს კი, ეს ტენდენცია მცირედით შენელდა, თუმცა კვალავაც არსებობს დღევანდელ საზოგადოებაში ისეთი საკითხები, რომელთა გადაჭრაც დღემდე პრობლემას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ გაუმჯობესების ამგვარი ტენდენციები მხოლოდ მსხვილი კონფესიების სასარგელოდ მოხდა. პრობლემები ტრადიციული რელიგიის დაჯგუფებათა წარმომადგენლებს არ ექმნებათ (მარლთმადიდებლები, მუსულმანები, ან ებრაელები), უნდობლობა არატრადიციული რელიგიური დაჯგუფებების მიმართ არის ფართოდ გავრცელებული. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როცა თავად სახელმწიფო მოხელეებს შეაქვთ წვლილი ამ ტიპის უნდობლობის ჩამოყალიბებაში რელიგიური უმცირესობების მისამართით გაკეთებული განცხადებების მეშვეობით. არაერთხელ ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ორივე ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ არატრადიციული რელიგიური ჯგუფებები სახელმწიფოს კარგს არაფერს მოუტანს და სასურველია, რომ ზოგიერთ მათგანზე აკრძალვებიც კი დაწესდეს.

საზოგადოების დამოკიდებულება რელიგიის მიმართ და გავლენა, რომელსაც ქვეყნის შიგნით მოქმედი დომინანტი აღმსარებლობები რელიგიის თავისუფლების სფეროში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთა ქმედებებზე ახდენენ, უმეტესწილად განპირობებულია ამ ქვეყნების ისტორიული მემკვიდრეობითა და ასევე მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავლენით, რომელსაც იგი როგორც ქართველი, ასევე სომეხი ერის თვითშეგნებაზე ახდენს.

გარდა ამისა, სხვადასხვა მედიის საშუალებებით გავრცელებულმა დისკრიმინაციულმა განცხადებებმაც შესაძლოა პრობლემის გამწვავება გამოიწვიოს. ხოლო არასაკმარისმა ძალისხმევამ ქვეყანაში შექნას ტოლერანტული და უმცირებობების მიმართ კეთილგანწყობილი გარემო, ასევე შეიძლება ყოველდღიურად გამოიწვიოს უმცირესობათა რელიგიურ თავშეყრათა დისკრიმინაცია.

საქართველოს მიდგომა აღმსარებლობის თავისუფლების მიმართ

რელიგიები საქართველოში

საქართველო ერთ–ერთი ძველი ქრისტიანული ქვეყანაა მსოფლიოში. ქრისტიანობა ამ ქვეყანაში მე–4-ე საუკუნეში გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად. ეთნიკურ ქართველთა უმრავლესობა აცხადებს, რომ საქართველო მართლმადიდებელი ეკლესიის მიმდევარია. საქართველოში სიდიდით მეორე რელიგია ისლამია და უმეტესწილად სუიტი და შიიტი ისლამის მიმდევრებს აერთიანებს, ეს უკანასკნელი კი საქართველოში აზერბაიჯანელი ეთნიკური უმცირესობაა, როცა სუიტი ისლამის მიმდევრები აჭარის რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ. ისლამის ამ განშტოებას მისდევენ ავარები, ქისტები, ჩეჩნები, მესხები და მუსულმანი ქურთები. კიდევ ერთი ტრადიციული რელიგია საქართველოში იეზიდურია, რომლის მიმდევრებიც ქურთები არიან.

სიდიდით მესამე რელიგიური დაჯგუფება არის სომხური სამოციქულო ეკლესია, რომის კათოლიკური ეკლესია და იუდაიზმი, რომლებიც საქართველოში ტრადიციული რელიგიებია. არსებობს მათგან მომდინარე სხვადასხვა მიმდინარეობა, რომლებიც რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის განშტოებებს წარმოადგენენ, ესენია: ძველი მართმადიდებლები, მალაკნები და დუხობორები. ასევე არსებობს რამდენიმე პროტესტანტული კონფესია, ესენია: ორმოცდაათიანელების ეკლესია, ევანგელისტურ–ბაპტისტური ეკლესია, ევანგელისტურ–ლუთერანული ეკლესია და მე–7 დღის ადვენტისტების ეკლესია.

არსებობს კიდევ ბევრი არატრადიციული რელიგიური დაჯგუფება, როგორიცაა: კალვინისტების ეკლესია, ახალ მოციქულთა ეკლესია, ევანგელისტური ეკლესია – „სიცოცხლის სიტყვა“ საქართველოს ევანგელისტური ეკლესია, ასევე ქართული ევანგელისტურ–პროტესტანტული ეკლესია, მორმონები, კვაკერები, იეღოვას მოწმეები, ბაჰაიზმი, კრიშნა და ბუდიზმი.

მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტები

კონსტიტუცია, კანონები და სტრატეგიის სხვა დოკუმენტები საქართველოში რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური მრწამსის მიმართ ტოლერანტობისკენ მოუწოდებენ, რაც რელიგიურ უმცირესობებსაც ითვალისწინებს. თუმცა კონსტიტუციის მე–9 მუხლი საქართველოში მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებულ ავტოკეფალიას ანიჭებს.

ურთიერთობები მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებებს შორის 2002 წლის ცალკე კონსტიტუციური ხელშეკრულებით რეგულირდება, როგორიცაა საგანმანათლებლო ინსტიტუტებში რელიგიის სწავლება, ეკლესიის მიერ პენიტენციალურ, ასევე სამხედრო დაწესებულებებთან ურთიერთობა. ამ სიტუაციაში არ არსებობს არცერთი სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია კონფესიურ დივერსიფიცირებაზე და რომელსაც მარეგულირებელი ფუნქცია აკისრია. პრაქტიკაში როგორც წესი, სახელმწიფო იცავს რელიგიის თავისუფლებას. არსებული სიტუაცია ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებებით გაუმჯობესდა, რაც საშუალებას აძლევს უმცირესობების რელიგიურ კონფესიებს დარეგისტრირდნენ და მიიღონ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, ასევე საკანონმდებლო ცვლილებით, უმცირესობების რელიგიის აღმსარებლობის წესიდან გამომდინარე, მათ ეძლევათ საშუალება უარი განაცხადონ სამხედრო მოსახურებაზე. თუმცა, საჯარო სამსახურის გაწევის ალტერნატიული შესაძლებლობა ჯერაც არ არსებობს, ვინაიდან საჯარო დაწესებულებები კვლავაც არ არიან მზად მსგავსი სამსახური შესთავაზონ მოსახლეობას. სახელმწიფო ვალდებულია გაათავისუფლოს ყველა ის პირი, ვინც საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის წესიდან გამომდინარე, უარი განაცხადა სამხედრო სამსახურის გავლაზე ან მისი ალტერნატიული საჯარო სამსახურის გაწევაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ უმცირესობების რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები არ არიან კმაყოფილნი იურიდიული პირის სტატუსით დარეგისტრირების შესაძლებლობით, ისინი რელიგიურ ორგანიზაციებად დარეგისტრირების მოთხოვნით გამოდიან. ქვეყანაში სხვა დანარჩენი კონფესიები რეგისტრაციის გარეშე რჩებიან. სახელმწიფოს განმარტებით, იმ ტიპის ხელშეკრულება, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიასთან არის გაფორმებული, შესაძლოა სხვა ეკლესიებთანაც გაფორმდეს, თუმცა ეს საკითხი კვლავაც საბოლოო გადაწყვეტილების მოლოდინშია.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სხვა კონფესიებს შორის სადაო საკუთრების დაბრუნების საკითხი ასევე გადაწყვეტას საჭიროებს. ეს ის საკუთრებაა, რომელიც საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ჩამორთმევას დაექვემდებარა და მას შემდეგ მათი კანონიერი მფლობელებისთვის დაბრუნება არ მომხდარა. მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრების უფლებათა აღდგენა სრულად განხორციელდა, ხოლო უმცირესობაში მყოფი კონფესიებისთვის ეს პრობლემა კვლავაც გადაუჭრელი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის სამოციქულო ეკლესია, რომის კათოლიკური ეკლესია, იუდაიზმი თავისი სინაგოგებით და ისლამი მეჩეთებით, საუკუნეების მანძილზე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან მშვიდობიან თანაარსებობაში იყვნენ, მთავარი პრობლემა მაინც სადაო საკუთრების საკითხთა გადაჭრასთან არის დაკავშირებული. არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ოფიციალური მედიატორის როლს შეასრულებს სახელმწიფოს, მართლმადიდებელ ეკლესიასა და რელიგიურ უმცირესობებს შორის. არასამთავრობო სექტორისა და რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები გამოხატავდნენ შეშფოთებას იმ ეკლესიების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფო უწყებათა იურიდიულ მფლობელობაში იმყოფებოდნენ მათი ნამდვილი მესაკუთრის დადგენის მომენტამდე.

ბოლოს დროს შეიმჩნევა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სახელმწიფო დაფინანსების მატების ტენდენცია. თანხები უმთავრესად ეკლესიას გამოეყოფა როგორც რელიგიური სწავლების, ასევე სოციალური პროგრამებისა და რელიგიური სამაუწყებლო არხების დასაფინანსებლად, როგორიცაა „ერთსულოვნება“ და „ივერია“. ქვეყანაში დაწესებულია როგორც იურიდიული, ასევე საგადასახო პრივილეგიები, რომლითაც მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობს საქართველოში, ასევე იზრდება თავად ეკლესიის როლი საზოგადოებასა და სასწავლო დაწესებულებებში, რაც ასევე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ეკლესია შობადობის ზრდისა და დემოგრაფიული პოლიტიკის მთავარ მხარდამჭერად გვევლინება ქვეყანაში.

არსებობს ანგარიშები, რომლებშიც აღწერილია საზოგადოების გარკვეული ფენის მიმართ ცუდი მოპყრობისა და დისკრიმინაციის ფაქტები მათი რელიგიური ერთგულების, რწმენისა და შეხედულებების გამო. ასევე არსებობს რელიგიური დევნის, რელიგიური ცერემონიების დარბევის, ფიზიკური შეურაცხყოფისა და რელიგიური აღმსარებლობისთვის განკუთვნილ ადგილებზე ვანდალური აქტების მოწყობის შემთხვევებიც.

სომხეთის მიდგომა რელიგიური თავისუფლების მიმართ

რელიგიები სომხეთში

სომხეთის სამოციქული ეკლესია არის ექვსი ანტიკურ ავტოკეფალიური აღმოსავლური ეკლესიებიდან ერთ–ერთი. სომხეთსა თუ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები სომხების უმრავლესობა ამ ეკლესიის მიმდევრებად მიიჩნევენ საკუთარ თავს. ქვეყანაში ასევე არსებობს სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფებაც, კერძოდ: რომის კათოლიკური ეკლესია, სომხური ინიატესა (მეხიტარისტები), კათოლიკები, მართლმადიდებელი ქრისტიანები, სომეხ ევანგელისტური ქრისტიანები, მალაკნები, ორმოცდაათიანელები, მეშვიდე დღის ადვენტისტები, ბაპტისტები, ქარიზმატული ქრისტიანების გარკვეული ჯგუფი, იეღოვას მოწმეები, მორმონები, იეზიდები, ებრაელები, სუნიტი მუსულმანი ქურთები, შიიტი მუსულმანები, ბაჰაისტები და სხვები.

მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტები

სომხეთის კონსტიტუცია რელიიგის თავისუფლებას იცავს, რომელსაც მთავრობა ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კანონი და სტრატეგიის დოკუმენტი ზოგიერთ რელიგიურ დაჯგუფებას უზღუდავს რელიგიურ თავისუფლებას, ამას მთავრობა იურიდიულად არ ახორციელებს. მთავრობას რელიგიიის თავისუფლების უფლებების დაცვის კუთხით არ გადაუდგავს არცერთი ნაბიჯი მდგომარეობის ან გაუმჯობესების ან გაუარესების თვალსაზრისით. თუმცა, არსებობს ანგარიშები, რომლებიც აღწერენ გარკვეული ტიპის დისკრიმინაციის ფაქტებს, რაც არატრადიციული რელიგიური მრწამსით, მისი ერთგულებითა და აღმსარებლობით არის გამოწვეული. სომხეთის სამოციქული ეკლესიის როლი გამორჩეულია, თუმცა მედია ხანდახან მაინც ახერხებს ეკლესიის კრიტიკის გახმოვანებას. აღსანიშნავია ის, რომ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში, სომხეთის რესპუბლიკამ რელიგიის თავისუფლების შესახებ მომზადებული რეკომენდაციები სრულად გაითვალისწინა.

კანონი კრძალავს, მაგრამ არ განმარტავს „სულებზე ნადირობის“ ტერმინს, რომელიც რომელიმე რჯულზე მოქცევას ან ძალით აღმსარებლობის აღიარებას გულისხმობს. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ აკრძალვა ყველა რელიგიურ დაჯგუფებას ეხება მათ შორის სომხეთის სამოციქულო ეკლესიასაც. გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა განაცხადა, რომ ბოლოდროინდელ დასკვნით მონაცემებში, რაც სომხეთის მთავრობის მიერ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებათა საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების პერიოდულ მიმოხილვას მოსდევს თან, შევიდა რელიგიის და რელიგიური მრწამსის მიმართ ქვეყანაში არსებული შეზღუდვები, რაც პროზელიტიზმის (რჯულზე მოქცევის) კრიმინალიზაციასაც ითვალისწინებს (მუხლი 18, ICCPR). რეკომენდაციებში მითითებულია, რომ სახელმწიფო მმართველმა პარტიამ კანონმდებლობაში უნდა შეიტანოს ცვლილება ხელშეკრულების მე–18 მუხლის შესაბამისად, პროზელიტიზმის (რჯულზე მოქცევის) დეკრიმინალიზაციის უზრუნველსაყოფად.[2]

რელიგიურ ჯგუფთა უმრავლესობა არ ასახელებს არცერთ მნიშვნელოვან იურიდიულ შეზღუდვას, რომელიც მათი საქმიანობის განხორციელებაზე იქონიებდა გავლენას თუმცა, ზოგიერთი მათგანი პრობლემებს დარეგისტრირების დროს აწყდება, კერძოდ ისინი, ვინც საკუთარ მრევლს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას უკრძალავს. მაგრამ, როცა ამ საკითხს კანონმდებლობა არეგულირებს და ადგენს რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე ამ

2. Para 24, CCPR/C/ARM/CO/2, July 2012

ტიპის მომსახურებაზე უარის თქმის შესაძლებლობას და იძლევა არასაბრძოლო ან ფიზიკური შრომით კომპენსაციის გაწევის საშუალებას, მაშინ ამ საკითხის მოგვარება მთავრობის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.[3] ამ უკანასკნელმა საკითხმა როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტების, ასევე ადამიანის უფლებების დამცველი ადგილობრივი ოგანიზაციების შეშფოთებაც გამოიწვია. გაეროს კომიტეტების განცხადებაში ხაზი გაესვა იმ საკითხს, რომ 2004 და 2006 წლებში სამხედრო სამსახურის ალტერნატიული სამუშაოს შესახებ კანონში შესულმა ცვლილებებმა ვერ შექმნა საჯარო სექტორში ცივილური ალტერნატიული სამუშაოს შესრულების გარანტიები მათთვის, ვინც საკუთარი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, სამხედრო სამსახურზე უარს აცხადებს. კომიტეტების შეშფოთება ასევე გამოიწვია იმ ხალხის მდგომარეობამ, ვინც უმეტესწილად იეღოვას მოწმეები არიან და სამხედრო სავალდებულო მომსახურებასა და ალტერნატიული სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმის გამო მოხვდნენ ციხეებში. კომიტეტების რეკომენდაციით, სომხეთში უნდა შეიქმნას სამხედრო სავალდებულო სამსახურის ალტერნატიული სამუშაოს შესრულების რეალური შესაძლებლობები, რაც არ იქნება სამხედრო, და იქნება იმ პირებისთვის, ვისაც საკუთარი მრწამსით სამხედრო სამსახურის გავლა არ შეუძლია და რომელიც არ იქნება არც დასჯილი და არც დისკრიმინირებული როგორც ფინანსურად, ასევე სავალდებულო ვადის გახანგრძლივების თვალსაზრისით. რეკომენდაციებში ასევეა მითითებული, რომ სომხეთის მთავრობამ ციხეებიდან უნდა გაათავისუფლოს ზემოაღნიშნული მიზეზით დაკავებული პირები.[4]

კონფერენციის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ აღნიშნული პუბლიკაცია, რაც კონფერენციის მსვლელობისას მწვავე დისკუსიების დროს გაჟღერებულ მრავალ შეხედულებას, საკითხსა თუ მიდგომას აერთიანებს, დაინტერესებულ პირთა საკმაოდ ფართო სპექტრისათვის გახდება საგულისხმო და შემეცნებითი.

- საქართველოსა და სომხეთის სამოქალაქო საზოგადოება გახდება პირველი ფლაგმანი, ვინც ადვოკატირებას გაუწევს საქართველოს და სომხეთის ადგილობრივ კანონმდებლობის, სტრატეგიისა თუ ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტების შემდგომ დაახლოებას რელიგიისა და რელიგიური მრწამსის შესახებ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან, რომელთა შესახებ რეკომენდაციების გაცემა კონფერენციის უმთავრესს მიზანს წარმოადგენს;

- საქართველოსა და სომხეთის ეკლესიები და სხვა ოფიციალური პირები სამთავრობო უწყებების ჩათვლით, ვინც უნდა უზრუნველყონ თანასწორი მოპყრობა ყველა რელიგიური აღმსარებლობის მიმდევართა მიმართ, ასევე ჩაერთვებიან საკანონმდებლო ბაზის, სტრატეგიისა და ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებისა და რელიგიის/ რელიგიური მრწამსის შესახებ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და შეფასების პროცესში, რაც შესაბამისი ნაბიჯების განხორციელებასაც ითვალისწინებს;

- სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომელთა მხარდაჭერით ორივე ქვეყანაში უნდა განხორციელდეს ტოლერანტობის მიმართ შემეცნების დონის ამაღლება და საკანონმდებლო და სხვა დოკუმენტების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება. ისინი მხარს დაუჭერენ მონიტორინგის მექანიზმის ამოქმედებას როგორც სახელმწიფო, ასევე სამოქალაქო საზოგადოების დონეზე, რაც დაზარალებულ პირებსა და ომბუცმენის ოფისს გაუწევს დახმარებას;

რელიგიისა და რელიგიური რწმენის თავისუფლების საკითხებზე მომუშავე გაეროს სპეციალური რეპორტიორის კონფერენციაში მონაწილეობამ დამსწრე საზოგადოებას მისცა საშუალება ადგილზე გაცნობოდა საერთაშორისო სტანდარტებსა და მათი, როგორც სახელმწიფოს, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და რელიგიური ჯგუფების მიერ ერთობლივად პრაქტიკაში დანერგვის გზებს. საკონფერენციო დარბაზის მიღმა პირადი კონტაქტებისა და დისკუსიების შე-

3. Para 25, CCPR/C/ARM/CO/2, July 2012

4. Para 25, CCPR/C/ARM/CO/2, July 2012;

საძლებლობამაც გარკვეულად შეამცირა მხარეებს შორის დაძაბულობა და საფუძველი შეუქმნა შემდგომი დიალოგების ჩატარების შესაძლებლობას.

კონფერენციის მსვლელობისას და მის ფარგლებს გარეთ მონაწილეობისა და ჩართულობის მაღალმა დონემ შეგვიქმნა შთაბეჭდილება, რომ მსგავსი დიალოგის გამართვა არის მეტად მნიშვნელოვანი რამ და ნამდვილად არსებობს დისკუსიათა ფორუმის ჩატარების საჭიროება, სადაც დიალოგი პირდაპირი წესით იმართება და ურთულესი საკითხების განხილვა უწყვეტ რეჟიმშია შესაძლებელი.

ფოტო გალერეა: http://www.ecmicaucasus.org/gallery.html

http://www.4shared.com/rar/IPIFupk-/Freedom_of_Religion_conference.html

ორგანიზატორები: ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში, გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის კომისარი და უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი - კავკასია

თბილისი, ივლისი, 2013 წელი

საერთაშორისო სტანდარტები რელიგიისა და რელიგიური მრწამსის შესახებ

დოქტორ ჰაინერ ბილეფელდი

გაეროს სპეციალური მომხსენებელი
აღმსარებლობისა და რელიგიის
თავისუფლების საკითხებში

პირველ რიგში, ნება მიბოძეთ მადლობა გადავუხადო კონფერენციის ორგანიზატორებს ჩემი მოწვევისათვის კავკასიის რეგიონში, სადაც მომეცა შესაძლებლობა აღნიშნულ საკითხებზე საკუთარი მოსაზრებები გავუზიარო დამსწრე საზოგადოებას. უპირველესად სჯობს, ჩემი აქ ყოფნის სამუშაო მანდატი გაგაცნოთ.

რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების საკითხებზე მომუშავე გაეროს სპეციალური მომხსენებლის მანდატი

რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების საკითხებზე მომუშავე სპეციალური მომხსენებელი არის გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი ექსპერტი. [5]

მისი სამუშაო მანდატი ითვალისწინებს შემდეგს:

- ეროვნულ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვანი ზომების მიღების ხელშეწყობა რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლების დაცვის უზრუნველ-საყოფად;
- რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლების დაცვის მიმათ არსებულ დაბრკო-ლებათა იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის გზებზე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა;
- არსებული ინციდენტებისა და მათი მოგვარების საქმეში სახელმწიფოს ჩართულობის გარკვევა, რომელი ზომებიც შესაძლოა არც შეესაბამებოდა რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლების მიმართ შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციით დადგენილ ნორმებს. ხოლო ასეთ შემთხვევაში, რეკო-მენდაციების გაცემა შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით;
- გენდერული უთანასწორობის შემთხვევების აღწერა ინფორმაციების მოძიების, ანგარი-შისა და რეკომენდაციების მომზადების დროს;

მომხსენებელი მიმართავს შემდეგ ზომებს მისი სამუშაო მანდატის შესრულებისას:

ა) უგზავნის სახელმწიფო უწყებებს გადაუდებელ საჩივრებსა და სამხილის წერილებს, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი კანონდარღვევის ან რელიგიისა და რელიგიური მრწამსის აღრსულების მიმართ ხელშეშლის ფაქტები;

5. UN Human Rights Council resolution 6/37

ბ) გადაადგილებას ქვეყნის ტერიტორიაზე დამატებითი ფაქტების მოპოვების მიზნით;

გ) ადამიანის უფლებათა საბჭოსა და გენერალურ ასსამბლეას წარუდგენს წლიურ ანგარიშებს ჩატარებული საქმიანობის, არსებული ტენდეციებისა და სამუშაო მეთოდიკის შესახებ.

ჩემს მთავარ საქმიანობას კანონდებლობის, ადმინისტრაციის, სასკოლო განათლებისა და სხვა სფეროებში რეკომენდაციების გაცემა წარმოადგენს, რაც ადამიანის უფლებების, ღირსებისა და თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. რა არის ჩემი სამუშაო მანდატის შესრულების რელევანტური საერთაშორისო სტანდარტები რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლებაზე?

მთავარი ინსტრუმენტი, რასაც სპეციალური მომხსენებელი საკუთარი საქმიანობის პლაცდარმად იყენებს არის ადამიანის უფლებების დაცვის დეკლარაციის მე–18 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების მე–18 მუხლი და დეკლარაცია რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლების მიმართ შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

ასევე ყველა შესაბამისი მუხლი და დებულება, შემდეგი ტიპის დოკუმენტებში: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულება; საერთაშორისო ხელშეკრულება რასისტული დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; ბავშვთა უფლებების კონვენცია; კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; კონვენცია წამების ან სხვა არაადამიანური ან შეურაცხმყოფელი მოპყრობის ან სადამსჯელო ქმედებების წინააღმდეგ; საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მომუშავისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია; კონვენცია გენოციდის დროს ჩადენილი დანაშაულების ჩამდენთა დასჯისა და პრევენციის შესახებ; კონვენცია ლტოლვითა სტატუსის შესახებ.

რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების ელემენტები

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების ელემენტების მიმართ გაეროს ნორმატიული მიდგომა აქვს. რწმენა არის თითოეული ადამიანის უფლება სხვა დანარჩენ უფლებებთან ერთად და იგი ამ უფლების მატარებელია, აქედან გამომდინარე სპეციალური მომხსენებლის ფუნქცია ჩაერთოს სიტუაციაში, მდგომარეობს იმაში, რომ დაადგინოს რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების დარღვევის მიზეზშედეგობრიობა ადამიანის სხვა უფლებათა დარღვევის ფაქტებთან, როგორიცაა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა და წამება, არაადამიანური და შეურაცხმყოფელი ან დამსჯელობითი მოპყრობა. მომხსენებელი ასევე ერთვება სიტუაციაში, როცა ადგილი აქვს რელიგიისა და რელიგიური მრწამსის მიმართ დისკრიმინაციული ქმედებების განხორციელებას საზოგადოების დაუცველ ფენებში, როგორიცაა ქალები, ბავშვები, ლტოლვილები, უმცირესობათა წარმომადგენლები და ისინი, ვინც სადამსჯელო დაწესებულებებში იხდიან სასჯელს. სპეციალურ ონლაინ დაიჯესტის ფორმატში თავმოყრილია ზოგი ეს საკითხები შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

1. <u>რელიგიისა თუ რელიგიური მრწამის თავისუფლება</u> – ითვალისწინებს რელიგიის და აღმსარებლობის არჩევის, შეცვლის ან უარყოფის თავისუფალ არჩევანს; ზეწოლისგან გათავისუფლებას; საკუთარი აღმსარებლობის მიმართ ერთგულების უფლებას. ეს უკანასკნელი კი, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა არსებობს თავისუფალი სივრცე საკუთარი რელიგიური ღვთისმსახურების, სიმბოლოებისა და საკულტო ადგილების გამოყენების, ასევე რელიგიური სასწავლო მასალებისა და მისიონერული საქმიანობების განხორციელების კუთხით. მაშინ, როცა მშობლებს თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი შვილებისთვის რელიგიური განათლების მიცემა და როცა არსებობს თავისუფალი გარემო და საზოგაოდებასთან რელიგიურ თემებზე საუბრის შესაძლებლობა როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. იგი ასევე ეხება რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის საკითხებს, სავალდებულო ან ნებაყოფლობით ვარიანტებს, ასევე საქველმოქმედო და ჰუმანიტარული ინსტიტუტების როგორც დაარსების, ასევე ამუშავების შესაძლებლობებს,

როგორიცაა თავშესაფრები და მოხუცთა საავადმყოფოები. აღნიშნული ასპექტი ხშირად გარკვეული დაფინანსების მოპოვებას ითვალისწინებს სხვადასხვა ორგანიზაციიდან თუ ქვეყნის გარეთ მცხოვრები კერძო პირებიდან. ამ ეტაპზე კი, ყველაზე მეტად საკამათო ისევ იმ პირთა საკითხი რჩება, რომლებიც უარს აცხადებენ იმსახურონ სავალდებულო სამხედრო სამსახურში საკუთარი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე.

2. <u>დისკრიმინაცია</u> – რომელიც რელიგიისა და აღმსარებლობის ან აღმსარებლობის/რელიგიათაშორისი დაპირისპირების ნიადაგზე წარმოიქმნება ხშირად სახელმწიფო რელიგიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია მედიის განსაკუთრებით კი, საზოგადოებრივი მედიის როლი. რელიგიის თავისუფლების შესახებ საკანონმდებლო დებულებები ნეიტრალური ხასიათის უნდა იყვნენ ქვეყანაში არსებული ყველა რელიგიისა და რელიგიური ორგანიზაციის მიმართ თანასწორი მოპყრობის პრეცედენტის შექმნის უზრუნველყოფის მიზნით.

3. <u>საზოგადოების დაუცველი ჯგუფები</u> – ამ შემთხვევაში ჩვენ საზოგადოების დაუცველ ფენებთან ვმუშაობთ, როგორიცაა: ქალები, ბავშვები, უმცირესობები და ის პირები, ვინც სადამსჯელო დაწესებულებებში იხდიან სასჯელს, ვინაიდან მათ საკუთარი რწმენის მიმართ ერთგულების უფლება აქვთ ჩამორთმეული. ასევეა ლტოლვილთა და მიგრანტი მუშაკების საკითხიც, როცა საჭირო ხდება მათი უფლებების დაცვაც, რომელთა რიცხვი ყოველღიურად მატულობს მსოფლიოს მასშტაბით.

4. <u>რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება; სხვა უფლებები</u> – მნიშვნელოვანია მათი ერთად გათვალისწინება, ვინაიდან თუ გვსურს ღიად ვისაუბროთ რელიგიურ შეუწყნარებლობაზე, ექსტრემიზმზე ან თუნდაც რელიგიურ კონფლიქტებზე მაშინ სიტყვის ან საკუთარი აზრის გამოხატულების უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ის საკითხია, რომელიც ასევე ისეთ თავისუფლებებთან იკვეთება როგორიცაა საკუთარი ნების გამოხატვის უფლება ან სიცოცხლის უფლება, წამების, არაადამიანური და შეურაცხმყოფელი მოპყრობის აკრძალვის უფლება. რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება საჭიროებს ადამიანის კიდევ სხვა უფლებების დაცვას, როგორიცაა შეკრებისა და თვითგამოხატულების უფლებები. არსებობს ისეთებიც, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდება, აქედან გამომდინარე საჭიროა გამჭრიახობა, რომ არ მოხდეს თვითგამოხატულების უფლების ზომაზე მეტად შეზღუდვა ან თავად რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესება. მეტად მნიშვნელოვანია სიძულვილით სავსე განცხადებების გაშიფვრაც, როცა ისინი ერთი მხრივ, შეურაცხმყოფელია, თუმცა მეორე მხრივ, რელიგიის მიმართ სიძულვილს არ უწევენ აგიტაცია–პროპაგანდას. ამ უკანასკნელმა კი, მომავალში შესაძლოა დისკრიმინაციამდე და ძალადობამდეც კი მიიყვანოს საზოგადოება.

5. <u>ურთიერთგადამკვეთი საკითხები</u> – ეხება შეურაცხყოფას, შეზღუდვას, კანონმდებლობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ბოლო წლებში სახელმწიფო უფრო მეტად არის შეშფოთებული ტერორისტების ქმედებებით, რაც იწვევს რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლებაზე უფრო მეტი შეზღუდვების დაწესებას, მაგრამ რელიგიის თავისუფლების ბუნება ხომ მის არაძალადობრივ ხასიათში მდგომარეობს თუნდაც საგანგებო ვითარების დროსაც კი, რაც ნათლად არის განმარტებული ICCPR–ის მე–4 მუხლში.

<u>შეზღუდვები</u> – რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა როგორც წესი რელიგიური აღმსარებლობის ადგილების დარბევისა და საკუთარი რწმენის გამო სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის დროს იჩენს თავს. ვინაიდან აღნიშნული ტერმინის იურიდული განმარტება არ არსებობს, საჭირო ხდება მისი კონსტიტუციით ან სხვა საკანონმდებლო დოკუმენტებით დადგენა, ან სრულად ანულირება.

<u>კანონმდებლობა</u> – უნდა შემუშავდეს ისე, რომ მასში შეტანილ იქნას სწორი ტერმინოლოგია და მოხდეს მისი სწორი ინტერპრეტაცია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებისა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ დადგენილ ტერმინებთან შესაბამისობაში. ხოლო სახელმწიფო რელიგიის განმარტების ფორმულირება

კონსტიტუციაში კვლავ საკამათო საკითხად რჩება, ვინაიდან კანონში უკვე აღარ არის შეტანილი არც ეთნიკური და არც რელიგიური მრავალფეროვნება, რაც შეუწყნარებლობისა და თვითნებური ქმედებებისკენ უბიძგებს საზოგადოებას.

არ შეიძლება სათანადოდ არ შეფასდეს არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და ჩართულობა. ისინი შესაძლოა როგორც მცირე არასამთავრობო ორგანიაციები იყვნენ, რომელთა მიზანი ადამიანის უფლებების, ან რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლების დაცვაში მდგომარეობდეს ან თავად წარმოადგენდნენ რომელიმე რელიგიურ ორგანიზაციას. ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობების მოგვარებისა და კომუნიკაციების უზრუნველყოფის საქმეში, რაშიც საერთაშორისო ორგანიზაციებიც იღებენ მონაწილეობას. მათი მთავარი მისია ინფორმაციის გაცვლა, კვლევების ჩატარება და პრაქტიკული ტიპის დახმარების გაწევაა. ყველა ამ ორგანიზაციას საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის მასშტაბით ადამიანის უფლებათა დაცვისა და მათივე განმტკიცების საქმეში და ამიტომ როგორც პარტნიორ ორგანიზაციებად ისე მიიჩნევენ მათ.

სახელმწიფო ვალდებულებები რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან მიმართებაში

ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულნი არაიან **პატივი სცენ, დაიცვან და პოპულარიზაცია გაუწიონ** ადამიანის ერთ –ერთ ფუნდამენტულ უფლებას, როგორიცაა რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლება.

რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების პატივისცემა აღნიშნული სამი ვალდებულებიდან ერთ–ერთია, რომელიც სახელმწიფოს მიერ ამ უფლების მიმართ პატივისცემის გამოხატულებაა, რაც ადმინისტრაციულ პროცედურათა შედეგს არ უნდა წარმოადგენდეს. მაგალითად, რელიგიური ორგანიზაციების დარეგისტრირება მეტად საჭიროა, თუმცა რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლება არადარეგისტრირებულ ორგანიზაციებზეც უნდა გავრცელდეს. დარეგისტრირების გარეშე ყოფნა ასეთ ორგანიზაციებს არალეგალებად არ აქცევს. შემდეგი ტერმინი დაცვა ნიშნავს სახელმწიფოს აქტიურ ჩართულობას სახელმწიფო მოვალეობათა ყველა სფეროში და ურთიერთობას ყველა ჯგუფების წევრებთან გამონაკლისების გარეშე. სახელმწიფოს ერთ–ერთ მოვალეობას წარმოადგენს რელიგიური მრავალფეროვნების პოპულარიზაცია საზოგადოების შემეცნების ამაღლების გზით. სკოლა საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც შეიძლება მრავალფეროვნების სწავლება, სადაც ეუთოს ტოლედოს სახელმძღვანელო პრინციპებიდან გამომდინარე, შესაძლებელია საკმაოდ საინტერესო ჩარჩო მოსაზრებებზე დაყრდნობით სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.

აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დარწმუნება იმაში, რომ მან კონსტიტუციური და საკანონმდებლო სისტემათა დახმარებით მოახდინოს რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების მიმართ ეფექტური გარანტიების უზრუნველყოფა ქვეყანაში არსებული ყველა რელიგიური ჯგუფების მიმართ გამონაკლისების გარეშე. ეს უკანასკნელი კი, უნდა განხორციელდეს მათთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, როცა მათ რელიგიისა და რელიგიური მრწამსის უფლებათა დარღვევის (საკუთარი ღვთისმსახურების ჩატარების ხელშეშლა) ფაქტების დროს შეეძლებათ ამგვარი შემთხვევების შემდგომი აღმოფხვრის მიზნით, ეფექტური ზომების განხორციელება.

ქვეყანაში არსებობს გარკვეული ტიპის ზეწოლა უმცირესობაში მყოფი რელიგიების მიმდევრების მიმართ, როცა ისინი ზეგავლენას განიცდიან საზოგადოების მხრიდან, რათა შეიცვალონ რწმენა და უფრო „მისაღები“ რელიგიური ჯგუფების მიმდევრები გახდნენ. ამ ტიპის ქმედებას შესაძლოა როგორც სახელმწიფო უწყებამ, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმაც მიმართონ. არსებობს ასევე გარკვეული ზეწოლა ქალებზე, როცა ისინი ქორწინების დროს ან წინასაქორწილო მოლაპარაკების დროს ვალდებულები ხდებიან მიიღონ მეუღლის ან მომავალი მეუღლის რელიგიური აღმსარებლობა. მრავალმა ქვეყანამ საკმაოდ მკაცრი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული შეზღუდვები დააწესა ამ მიმართულებით.

უფრო მეტიც, ბევრი ამ ტიპის შეზღუდვის კონცეპტუალიზაცია ხდება და ადგილი აქვს მათი დისკრიმინაციული გზით განხორციელებას. მაგალითად, როცა ქვეყნის ოფიციალური რელიგიის გაძლიერებას აქვს ადგილი, ეს უკანასკნელი უმცირესობაში მყოფი რელიგიების მარგინალიზაციის გზით ხორციელდება. მე გავცნობილვარ ანგარიშებს, სადაც იმ ბავშვების მიმართ რეპრესიულ დამოკიდებულებაზეა საუბარი, რომლებსაც უმცირესობაში მყოფი რელიგიის მიმდევარი მშობლები ჰყავთ. მათზე განხორციელებული ამ ტიპის ზეწოლა კი, მიზნად ისახავს იმავე რელიგიურ რწმენაზე მათ დაბრუნებას, რომელი აღმსარებლობაც მათ მანამდე ჰქონდათ.

რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება რომელიმე კონკრეტული პირის ინდივიდუალური შეხედულების დაცვით არ შემოიფარგლება, იგი რელიიგიის ან რწმენის გამოხატულების თავისუფლებას მოიცავს, როცა ადამიანებს აქვთ საშუალება ეს ყოველივე ქმედებაში გამოხატონ, როგორიცაა „ღვთისმსახურება, რიტუალების ჩატარება, რელიგიურ თავშეყრებზე დასწრება და სწავლებანი“. იგი ასევე ყოველგვარი იძულების გარეშე საკუთარ რელიგიურ მრწამსზე სხვების მოქცევასაც ითვალისწინებს, ვინაიდან რელიგიის თავისუფლებას თვითგამოხატულებისა და მასებთან კომუნიკაციის ეს ძლიერი მახასიათებელი აქვს. პირადი შეხედულების დაცვისგან განსხვავებით, რელიგიური რწმენის საჯაროდ გამოხატვის უფლება ყოველთვის ვერ იქნება დაცული. თუმცა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობა განმარტავს, რომ მტკიცების სიმძიმე ყოველთვის იმათზე მოდის, ვინც შეზღუდვების სახელით გამოდის და არა მათზე, ვინც თავისუფლების უფლებას იცავს. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც მიიჩნევა საჭიროდ, ICCPR–ის მე–18 (3) მუხლის მიხედვით განსაზღვრულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. შესაბამისად, სხვების საკუთარ რჯულზე მოქცევის უფლებაზე შეზღუდვების დაწესებას იურიდიული საფუძველი ესაჭიროება. აღნიშნული შეზღუდვები ერთ–ერთ იმ ლეგიტიმურ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რაც მე–18 (3) მუხლით განისაზღვრება. მათი განმარტება ნათლად და სწორად უნდა გასაზღვრავდეს შინაარს, რამაც მათი დისკრიმინაციული გზით განხორციელება უნდა გამორიცხოს.

UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

დისკუსია რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების ნორმების და სტანდარტების შესახებ

- **გია ნოდია (კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის თავმჯდომარე)**

მე წარმოვადგენ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელმაც მოამზადა ანგარიში რელიგიური უმცირესობების საკითხებზე, მაგრამ შეკითხვა, რომელიც მინდა დაგისვათ უფრო სოციალური საკითხების მეცნიერს ეკუთვნის, ვიდრე პოლიტიკურ ანალიტიკოსს, ვისაც ფილოსოფიური განათლება აქვს.

ჩემი როგორც ფილოსოფიური, ასევე ნორმატიული შეხედულება აბსოლუტურად ემხრობა ყველაფერ იმას, რაც თქვენ აქ განაცხადეთ. უნდა ვაღიარო, რომ ეს ნორმატიული განცხადება პოლიტიკურსა და სამთავრობო დონეებზე მართლაც მნიშვნელოვანია. თუმცა საჯარო განხილვა სხვა მხარეა, ხოლო პრაქტიკა კი სხვა. ჩვენთან ის საკითხი, რაზეც ისაუბრეთ – ტრადიციული ეკლესიების ლეგიტიმურობასა და სექტების ნაკლებ ლიგიტიმურობასთან დაკავშირებით პრობლემას არ წარმოადგენს. ამ საკითხის საჯარო განხილვას ჰქონდა ადგილი. არსებობს ძალები, ვინც ამ აზრის წინ წამოწევას ცდილობდა, თუმცა ჩვენდა სასიკეთოთ, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, ეს პრობლემა ჩვენთან არ დგას ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა ქვეყნის მსგავსად, რაც თავისთავად ძალიან კარგია. ჩემი აზრით, ნორმატიული შეხედულებიდან გამომდინარე, აქ სხვა უფრო მეტად საკამათო საკითხი იკვეთება, რაც ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებებსა და დამოკრატიას შორის მერყეობს. ჩვენ როგორც განვაცხადეთ, ჩვენ ადამიანის უფლებების დაცვაზე ვსაუბრობთ, თუმცა თითქმის ყველა, ჩვენის მსგავსად, ამ საკითხზე საუბრისას საერთაშორისო ნორმებით იწყებს ხელმძღვანელობას, რომლებსაც მტკიცედ იცავს ევრო–საბჭო და გაერო. საქართველოშიც ასეთივე წამოდგენაა, რომ მათ დაცვას ევროპის თანამეგობრობა მოითხოვს ჩვენგან. თუმცა, არსებობს დემოკრატიის კიდევ სხვა ნორმა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ ხალხის ნება უნდა დაიცვას. იმ ქვეყნებში, სადაც ჩვენ მოგვეცა საშუალება ეკლესიებში შევსულიყავით, არა მარტო ისტორიულად დომინანტურ ეკლესიებში, იქ სადაც ხალხი ისტორიულად ამ ეკლესიების მიმდევრად მიიჩნევს თავს და სადაც ხალხის რელიგიურობის დონე საკამოდ მაღალია. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია უმრავლესობის ნება გაითვალისწინოს, ასეა არ არის? და ეს უმრავლესობა ამავდროულად რელიგიურ უმრავლესობასაც წარმოადგენს, ასე რომ, ეს საკითხი ჩვენ ასე უნდა დავაყენოთ, ნათელია, რომ საქართველოს მთავრობას აქვს საკუთარი არჩევანი, თუმცა ამ ჩვენი დისკუსიების მანძილზე, ჩვენ ხალხის ნება უნდა გავითვალისწინოთ – თუ თქვენი? რაშიც მე დასავლეთს ვგულისხმობ.

ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ძალიან რთულ ვითარებაში ვარდება, როცა ამ ორ ნორმასა და ორ ძალას შორის აღმოჩნდება – თუ იგი რელიგიური უმრავლესობის ინტერესებს გაითვალისწინებს, მაშინ მან პოლიტიკური საფასური უნდა გადაიხადოს ამაში, მაგრამ თუ იგი ასე არ მოიქცევა, მაშინ, ეკლესია მთავრობის მოკავშირედ ვერ ჩაითვლება. გასაგებია, რომ მთავრობა ვერ ქმნის დომინანტურ რელიგიურ უმრავლესობას ისეთ ქვეყნებში სადაც სიღრმისეული ლიბერალური ფასეულობები არ არსებობს. ასე, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ურთიერთგამომრიცხავ ურთიერთობაზე – როცა უფრო დემოკრატიული ხარ, მაშინ ნაკლებად მხარს უჭერ რელიგიურ პლურალიზმს. ჩემი აზრით, ყველაზე ნათელი მაგალითი არის არაბული გაზაფხული, სადაც ქვეყენები მათი დემოკრატიის მაღალი დონის მიუხედავად, უფრო ნაკლებ ტოლერანტობას ამჟღავნებდნენ უმცირესობების მიმართ. საქართველოში, შესაძლოა ასე დრამატულად არ იყოს საქმე, თუმცა მე ვთვლი, რომ პრობლემა აქ სხვა რამეში მდგომარეობს, კერძოდ, თუ როგორ არის შესაძლებელი ნორმალურმა დემოკრატიამ და ადამიანის უფლებების ნორმალურმა დაცვამ, გახადოს მთავრობა ერთი მხრივ უფრო ანგარიშვალდებული ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ და მეორე მხრივ, საერთაშორისო თანამეგობრობის

მიმართ, ვინც კიდევ უფრო მკაცრად ითხოვს ადამიანის უფლებების დაცვას ქვეყანაში.

ანუ როგორ უნდა ამუშავდეს ეს როგორც პრაქტიკაში, ასევე ნორმატიულ დონეზე? აქვე უნდა მოვიყვანო კიდევ ერთი ნორმატიულ ჭრილში საკამათო საკითხი, უშუალოდ კონსტიტუციასა და რელიგიურ ქადაგებებს შორის. ჩვენს ქვეყანაში არსებობს რელიგიურად მოტივირებული მასობრივი ძალადობის სამწუხარო შემთხვევა სექსუალურ უმცირესობებზე თავდასხმის სახით. ჩვენ, ამ ტიპის ძალადობას 10–15 წლის წინ ვებრძოდით. გასაგებია, რომ მორწმუნისთვის რელიგიური ქადაგებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონსტიტუცია, რომელიც აცხადებს, რომ ყველა ტიპის უმცირესობას საკუთარი უფლებები გააჩნიათ. მაგრამ როცა მე მორწმუნე გახლავართ და ჩემი ეკლესია მკარნახობს თავზე დავესხა ჰომოსექსუალებსა თუ კიდევ ვინმე სხვას, როგორ გესახებათ ამ საკითხის ნორმატიულ დონეზე გადაჭრის პერსპექტივა?

გაეროს სპეციალური მომხსენებელის ჰაინერ ბილეფელდის პასუხი:

პირველ რიგში მინდა რომ დაგეთანხმოთ, აღნიშნული ფაქტი მართლაც პრობლემას წარმოადგენს. მე ვთვლი, რომ ნორმატიულ დონეზე ამის გადაწყვეტა უფრო ადვილია და ნება მიბოძეთ, ნორმატიულიდან დავიწყო. მთავარ პრობლემას აქ ის წარმოადგენეს, თუ როგორ უნდა მოხდეს ნორმატიული პრინციპების გახმოვანება ისე, რომ შემდგომში მათ საზოგადოებაში ადგილი თავისით დაიმკვიდრონ. ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა ვთქვა ნორმატიულთან დაკავშირებით, რაც ალბათ უფრო მარტივია. ანუ თქვენთვის პასუხის გაცემას ბოლოდან დავიწებ. ბოლო მაგალითი, ძალადობა ჩადენილი რელიგიის სახელით არ არის ის, რასაც რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლების სახელით დაცვა სჭირდება. ეს იქნება ნათელი მაგალითი შეზღუდვების დაწესების დროს. თუ ვინმეს სურს, რომ ძალადობა დაასაბუთოს რელიგიური მრწამსის თავისუფლების პრინციპების დაცვით, პასუხად მიიღებს უარს, რაც იმას ნიშანვს, რომ ეს ასე ვერ მოხდება. აქვე განვმარტავ კიდევ ერთხელ, რომ რასაც ახლა სტანდარტების აღწერისთვის მოვიშველიებ რელიგია არ იქნება.

ეს კომენტარი რასაკვირველია რელიგიას კი არა თავად ადამიანს ეხება, და რასაკვირველია ყველა ადამიანი დაცული უნდა იყოს. თუ ვინმე იყენებს რელიგიას სხვა ადამიანზე თავდასხმის გასამართლებლად, მაშინ ეს უნდა გახდეს შეზღუდვების დაწესებისთვის საჭირო ერთ–ერთი ნათელი არგუმენტი. მე აქ ვერ ვხედავ რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისფლების შეზღუდვის ფაქტს. რელიგიის თავისუფლება არასოდეს გამხდარა ძალადობის დაწყების წინაპირობა. ჩემი რჩევა იქნება, რომ რელიგიისა და რელიგიური რწმენის თავისუფლება როგორც პრობლემის გადაწყვეტის ერთ–ერთ შემადგენელ ნაწილად იქნას აღქმული, რათა არ მოხდეს მხოლოდ მასზე როგორც იზოლირებულ ნაწილზე კონცენტრაცია. ყოველთვის ფართო სურათის დანახვაა აუცილებელი. ასევე არსებობს კრიტერიუმები იმის შესახებ თუ რამდენადაა ადამიანის სხვადასხვა უფლების დაცვა კავშირში ერთმანეთთან, ისინი მართლაც ერგებიან ერთმანეთს, ხშირ შემთხვევაში არც ისე ადვილად და ნორმატივების დონეზეც კი. შემდეგ შეკითხვაზე მე ვეცდები პასუხი დემოკრატიის ჩემეული ხედვიდან გამომდინარე გიპასუხოთ, რაც უფრო მეტია ვიდრე მაჟორიტარიზმი.

უმრავლესობა რასაკვირველია მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თუმცა უმრავლესობის წესი და უმრავლესობის პრინციპი, ჩემი აზრით, რიგით მეორე პრინციპია და არა პირველი ყველა დანარჩენი პრინციპებისა. თქვენ აღნიშნეთ ხალხის ნება, ვინ არის ხალხი? თანამედროვე საზოგადოებაში თანამედროვე დემოკრატიისთვის ხალხის ნება აღარ იქნება დახურული კოლექტიური ერთგვაროვანი ორგანიზმი, არამედ იმ ადამიანთა ერთობა, ვისაც სხვადასხვა და დივერსიფიცირებული იდეები, მოსაზრებები და შეხედულებები აქვს. ხოლო, უკვე მომწიფებული დემოკრატიისთვის საჭირო ხდება ოპოზიციიის ხმა საჯარო განხილვების დროს. აი ესაა მნიშვნელოვანი, საჯარო დებატები. დემოკრატიის მთავარი პრინციპები, იმავე პრინციპებს წარმოადგენენ, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამეტია – თავისუფლება და თანასწორობა. ხოლო თუ საზოგადოება თავისუფლებასა და თანასწორობას სწორად და სათანადოდ გაიაზრებს, მაშინ მასში აღარ დარჩება პრივილიგირებულთა ადგილი.

ვიცით, რომ ერთი ადამიანი ერთ ხმას ნიშნავს, რასაკვირველია არსებობს ლეგიტიმური მრა-

ვალფეროვნება და თუ ამ სამ პრინციპს ერთმანეთთან შეკრებთ ასე მიიღებთ უმრავლესობის მიერ ბუნებრივად მიღებულ გადაწყვეტილებას, როცა მაგალითად, საქმე მთავრობის შექმნას ეხება. არჩევნების დროს, უმრავლესობის წესს ეფექტური როლის შესრულება შუძლია, მაგრამ ეს ის არ არის, როცა მისი გამრავლებით დემოკრატიაზე მაჟორიტარიანიზმს ვიღებთ. მიმაჩია, რომ ბევრ ქვეყანაში ეს ყოველივე მალე სამოქალაქო დაპირისპირებასა და ომს გამოიწვევს, აქედან გამომდინარე, ჩვენ უფრო კომპლექსური წარმოდგენა უნდა ვიქონიოთ იმაზე თუ რა არის დემოკრატია, ასევე თუ რა არის ხალხის ნება – ხალხი როგორც მცნება მრავლობითი და არა მხოლობითი. აი ეს გახლავთ ყველაზე რეალური გამოწვევა, როცა პოპულისტური მოძრაობის წინააღმდეგ უნდა წახვიდე. ამოცანა უფრო რთულდება მაშინ, როცა ისინი უფრო მარტივ და ადვილ პასუხებს იგონებენ, როგორიცაა იდენტობის მარტივი გაგება, ჩაკეტილი „ჩვენ“, რაც, ჩემი აზრით, ძალიან ნეგატიურ შედეგს იძლევა საბოლოოდ და სავალალოა თავად დემოკრატიის განვითარებისთვის. ასე რომ, ნორმატიული ხედვიდან გამომდინარე, კიდევ გავიმეორებ, რომ არ არსებობს დაპირისპირება ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას შორის, პირიქით, თუმცა ტექნიკური ხასიათის პრობლემები შესაძლოა მაინც არსებობდეს.

- **კრისტინა მეჰხრაბეკიანი (საგარეო საქმეთა სამინისტრო, სომხეთი)**

ბევრ ქვეყანაში, ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ჰომოსექსუალისტთა აღლუმები მიიჩნევა როგორც საზოგადოების მორალისთვის მიუღებელ და ზოგიერთისთვის რელიგიურობისა და მის სწავლებათა საწინააღმდეგო ქმედებათ. როგორ შეიძლება ასეთი გარემოების შეზღუდვათა კონტექსტში მოქცევა? მეორე საკითხი არის პროზელიტიზმი (საკუთარ რჯულზე მოქცევა), ბევრისთვის იგი შეურაცხმყოფელია და იგი ადამიანის იდენტობაზე თავდასხვად მიაჩნიათ. უნდა მოხდეს ამ საკითხის რეგულირება?

გაეროს სპეციალური მომხსენებელის ჰაინერ ბილეფელდის პასუხი:

საზოგადოების მორალი და ეთიკა – ალბათ ყველაზე რთულად გასაგები მცნებაა ჩემთვის. ჩვენ გვაქვს საზოგადოებრივი წესრიგი, ჯანმრთელობა და ასევე გვაქვს სხვათა თავისუფლება. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, რომელიც სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად ექსპერტულ დასკვნებს აკეთებს სამოქალაქო და პოლიტიკური ძალადობის შესახებ, გააკეთა განცხადება, სადაც განმარტა საზოგადოების მორალი და ეთიკა, რაც სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გაგებული. თუმცა ერთი რამ სახეზეა, რომ საზოგადოების მორალი და ეთიკა ეს პლურალისტური მცნებაა. იგი არ არის გარკვეულ ფასეულობათა ერთი კონკრეტული გაგება, მაგრამ იმისთვის, რომ მორალი და ეთიკა გაიგო პლურალიზმიც უნდა გაითვალისწინო. იგი წარმოადგენს ღია მცნებას, რაც ხელს უშლის ფასეულობათა გარკვეული ნაკრების როგორიცაა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვების ტრანსფორმირებას რელიგიური რწმენის თავისუფლებაში. ბევრი ინტერპრეტაცია არ არის საჭირო. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლო ყოველთვის იყენებს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების მცნებას, არა მარტო მისი ზოგადი გაგებით, არამედ თანამედროვე დემოკრატიის პერსპექტივებიდან გამომდინარე, რომელმაც წარმოშვა პლურალიზმი როგორც მისი ნაწილი, რაც მხედველობაშია მისაღები.

ახლა პროზელიტიზმს როგორც შემაშფოთებელი ფენომენს ისე ვუყურებ. ამაში ვგულისხმობ შემდეგს. მე შესაძლოა ბევრმა ისეთმა რამემ შემაშფოთოს, რაც არ მომწონს, მაგრამ როცა ადამიანის უფლებებზე შეზღუდვას აწესებენ, ეს როგორც წესი, არასაკმარისი გარემოებაა. თუ ვამბობთ, რომ არსებობს რაღაც, რაც მაშფოთებს ან მაღიზიანებს, ეს არ იქნება საკმარისი საფუძველი იმისა, რომ ამის გამო შეზღუდვები დაწესდეს ადამიანის რამელიმე უფლებაზე, ეს შესაძლოა წინაპირობა გახდეს მხოლოდ. არსებობს ისეთი ექსტრემალური შეთხვევები, რომლებიც შესაძლოა საჭიროებდნენ შეზღუდვების დაწესებას, თუმცა ევროპის რეალობა ნაკლებად არის ასეთი, მე ვსაუბრობ იეღოვას მოწმეებზე. ზოგიერთი ადამიანი მართლაც გრძნობს თავს გაღიზნიანებულად, მაგრამ ეს არ არის საკმარისი სახელმწიფოსთვის დააწესოს შეზღუდვები ან გარკვეული ზომები მიიღოს ამასთან დაკავშირებით. რასაც იეღოვას მოწმეები აკეთებენ არის ის, რომ ქუჩაში აჩერებენ ხალხს და მიმართავენ მათ, მაგრამ მე ჯერაც არ ვიცი

არცერთი შემთხვევა, რომელიც აგრესიას გამოხატავდა მათი მხრიდან. აქედან გამომდინარე, უნდა იყოს ემპირიული ცნობები, რაც რასაკვირველია, რომელიმე კონკრეტული პირის პირად შეგრძნებებზე მეტ ინფორმაციას უნდა იძლეოდეს.

- **ვერონიკა დანელიანიც (გლობალიზაციისა და რეგიონალური თანაშომლობის ანალიტიკური ცენტრი, სომხეთი)**

ჩვენ, ვინც არასამთავრობო სექტორში ვმუშაობთ უმეტესწილად ვსაუბრობთ ადამიანის უფლებების როგორც ცალკეული ინდივიდების უფლებების დაცვაზე. ხშირად ხდება ამ საკითხის წამოჭრა საადვოკატო საქმის დროს. საჭიროა რაიმე სხვა მიდგომა შევიმუშაოთ ამ კუთხით? და აქვე ჩაგეკითხებით, თუ როგორ უნდა გავთავისუფლდეთ პლურალიზმის დომინანტური ტრადიციიდან?

გაეროს სპეციალური მომხსენებლის ჰაინერ ბილეფელდის პასუხი:

ადამიანის უფლებები როგორც ინდივიდების უფლებები? არიან კი ისინი მართლაც კონკრეტულ პირთა უფლებები? პასუხი არის დიხ და არა. სანამ ადამიანი, რომელიმე დაჯგუფების წევრად გახდომას დააპირებს, მისი გარკვეული უფლებები დაცული უნდა იყოს. ნება მიბოძეთ აქვე მოვიყვანო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულის პირველი წინადადება „ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება“. ადამიანთა ოჯახის მცნება საკმაოდ საინტერესოა. არსებობს დაჯგუფებები, რომელთა უფლებებსა და მათი წევრების სტატუს აღიარება ესაჭიროება, თუმცა ეს ინდივიდები ამავდროულად ადამიანთა ოჯახის წევრები არიან. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებების დაცვა ინდივიდუალური პირის პასპორტისა და საწევრო ბილეთზე არ არის დამოკიდებული. სანამ ადამიანები რომელიმე დაჯგუფების წევრები გახდებიან, მათი ღირსების აღიარება უნდა მოხდეს ისე როგორც ადამიანთა ოჯახის ყველა წევრის თანაბარი უფლებების ნაწილი. ეს არის იდეალური ვარიანტი და ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულ პირებს აქვთ უფლება და ხელი მიუწვდებათ ადამიანის ძირითად თავისუფლებებზე და მათ დაცვაზე. ნება მიბოძეთ მოვიყვანო მაგალითი. შეკრების თავისუფლება – როგორ შეიძლება ეს ერთმა პირმა, როგორც ინდივიდმა შეძლოს? სიტყვისა და თვითგამოხატვის თავისუფლება – ასევე, როგორ არის შესაძლებელი ეს რომელიმე კონკრეტულმა პირმა მარტომ მოახერხოს? ამას ხომ აუდიტორია სჭირდება და ხალხი, ვინც ილაპარაკებს და ვინც მოისმენს. რელიგიის თავისუფლება ესეც ერთ–ერთი მაგალითია. მასაც საკმაოდ მკაცრად გამოხატული მასებთან კომუნიკაციის ასპექტი ახლავს თან. საერთაშორისო ხელშეკრულების მე–18 მუხლისა და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე–9 მუხლის ტექსტებშიც ამას ვკითხულობთ. საზოგადოება აქ არის, ასე რომ არსებობს უფლებები, რომელთა დაცვაზე კონკრეტულ ინდივიდებს მიუწვდებათ ხელი, ხოლო არის ისეთებიც, რომელთა დაცვის უფლებაც ჯგუფებსაც აქვთ და მას საკუთარი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად იზიარებენ. თუმცა, ინდივიდუალური სიტუაციები წარმოადგენენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიზეზშედეგობრივ კავშირშია სხვა გარემოებებთან, როგორიც მაგალითად ინდივიდის ქორწინების უფლებაა, რომელიც რომელიმე დაჯგუფების წევრისა და ინდივიდის არსებობას საჭიროებს. ამავდროულად, ადამიანის უფლებები გარკვეულწილად ცვლის საზოგადოების აზროვნებას, ვინაიდან მათი დახმარებით იქმნება გარკვეული ზონა, რაც თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას იძლევა. დაბოლოს, ადამიანის უფლებების წარმოდგენა ინდივიდუალისტურ კონტექსტში თუ ინდივიდუალისტურ დონეზე არ შეიძლება და იგი არასწორია, ყოველ შემთხვევაში მე ასე მივიჩნევ.

თქვენ ახსენეთ, რომ ადამიანს შეუძლია დომინანტური ტრადიციებიდან გათავისუფლება. მე ვერ დაგეთანხმებით. რატომ? მე უმრავლესობის ასპექტის მქონე რელიგიის მომხრე ვარ. მაგრამ ჩემი დაიტერესება მდგომარეობს იმაში, რომ სხვებმაც მიიღონ მონაწილეობა დებატებში. ეს ბუნებრივია, რომ უმრავლესობას დებატებში მთავარი როლის შესრულება შეუძლია, მაგრამ მასში უმცირესობებიც უნდა იყვნენ ჩართულნი, რაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. საქართველოში სომხეთში, გერმანიასა თუ ჰოლანდიაში, უნდა დაიწყოს საზოგადოების დივერსიფიცი-

რების ხელშეწყობა, ნამდვილი მრავალფეროვნების გაგებით. ჩემი აზრით ეს არის ჩემი პასუხი. შეზღუდვები, რაზეც უკვე მოგახსენეთ, არ ვარ მომხრე უმრავლესობის როლის შემცირების, მე მომხრე ვარ სხვებსაც მიეცეთ არსებობის საშუალება, რაც თავის მხრივ, უმრავლესობასაც გაუწევს დახმარებას. თუ სხვებსაც ეძლევათ საჯაროდ საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა, ეს უმრავლესობის მნიშვნელობას არანაირად არ აკნინებს, პირიქით. საჯარო სივრცე ქვეყანაში არსებული სხვა კონფესიების ფონზე უფრო საინტერესო ხდება, სადაც უმრავლესობაც არის წარმოდგენილი და სხვადასხვა კონფესიის მიმდევარ ხალხს საჯაროდ ესაუბრება.

სომხეთის ვალდებულებანი რელიგიის და აღმსარებლობის თავისუფლების, საკითხებში, გამოხატვის, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ

ვარდან ასკატრიანი
სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის, ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი

სახელმწიფო რწმუნებულ ორგანოს 2002 წლამდე წარმოადგენდა მთავრობასთან არსებული რელიგიის საქმეთა სახელმწიფო საბჭო, რომლის გაუქმების შემდეგ ეს ფუნქცია გადაეცა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციას. 2003 წელს ეს ფუნქცია დაეკისრა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციის ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიის საკითხთა სამმართველოს. ამ სფეროს პრობლემებით დასაქმებულია აგრეთვე სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების (პარლამენტის) შესაბამისი კომისია, ადამიანის უფლებათა დამცველის ოფისი, აგრეთვე საჯარო საბჭო, რომელსაც გააჩნია ამ საკითხების სპეციალური ქვეკომისია.

სომხეთის რესპუბლიკის შესაბამისი კანონის თანახმად, აღნიშნული სამმართველო საექსპერტო დასკვნას აძლევს დარეგისტრირების მსურველ რელიგიურ თემებს, დაბრკოლება არასდროს შეუქმნია სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარების მსურველი რელიგიური ჯგუფებისათვის საბუთების წარდგენისას. უფრო მეტიც, რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო რეგისტრაციის პროცესი საკმაოდ გამჭვირვალეა, ზედმეტი გაჭიანურების გარეშე და მიმდინარეობს გონივრულ ვადებში. ამჟამად სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებულია დაახლოებით 65 რელიგიური ორგანიზაცია, რომლებშიც წარმოდგენილია სხვადასხვა რელიგიები და რელიგიური მიმდინარეობები.

სახელმწიფო რწმუნებული ორგანო რელიგიური ორგანიზაციების თხოვნით ხელს უწყობს აგრეთვე ცალკეული საკითხების შესახებ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმების მიღწევაში, აგრეთვე როგორც მომრიგებელი მონაწილეობას იღებს სომხეთის რელიგიურ ორგანიზაციებს შორის წამოჭრილი საკითხებისა და დავების გადაჭრაში. ამ მიზნით, დეპარტამენტი შეხვედრებს მართავს რელიგიურ და ეროვნულ უმცირესობებთან, განიხილავს სიტუაციას და, აუცილებლობის შემთხვევაში, სთავაზობს ღონისძიებების დასახვას.

სინდისის თავისუფლების და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ სომხეთის რესპუბლიკის კანონი მიღებული იქნა 1991 წლის 17 ივნისს, ნაწილობრივ შეცვლილი იქნა 1997 და 2001 წლებში. სომხეთის რესპუბლიკაში რელიგიის სფეროს საკითხების რეგულირება ხდება აღნიშნული კანონით. გარკვეული წლების განმავლობაში შეიქმნა ახალი რეალობები, რომლებმაც აუცილებელი გახადა ცვლილებების შეტანა მოცემულ კანონში.

2010-2011 წლებში სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული და განსახილველად იქნა წარდგენილი ახალი კანონი რელიგიის სფეროს შესახებ, აგრეთვე მთელ რიგ სხვა კანონებში ცვლილებების შემცველი პროექტები, რომლებიც გაიგზავნა ვენეციის კომისიაში საექსპერტო დასკვნისათვის. საჭიროა სპეციალურად იმის ხაზგასმა, რომ ყველა ამ შემთხვევაში პროცესი ორგანიზებული იყო საჯარო, ღია და გამჭვირვალე პრინციპებით, რომელშიც ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. დღევანდელი მდგომარეობით გრ-

UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

ძელდება საჯარო განხილვები და სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში მოჰყავს არა მხოლოდ ის ყველა წინადადება, თვალსაზრისი, რომლებიც წამოაყენა სომხეთის ორგანიზაციებმა, ცალკეულმა მოქალაქეებმა, არამედ საერთაშორისო ავტორიტეტული სტრუქტურების შენიშვნები და შეთავაზებები.

პრობლემატურია ალტერნატიული სამსახურის საკითხი. ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულების თანახმად, 2003. სომხეთის რესპუბლიკამ მიიღო კანონი ალტერნატიული სამსახურის შესახებ, რომლითაც გათვალისწინებულია ამ სამსახურის ორი სახეობა — შრომითი და სამხედრო. ამ შესაძლებლობის გამოყენების მსურველი, სომხეთის რესპუბლიკის ერთადერთი რელიგიური სტრუქტურის, იაღოვას მოწმეთა მიმდევრები გაეცნენ რა ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს, გავიდნენ სამხედრო სამსახურში, მაგრამ ოთხი თვის შემდეგ ორგანიზებულად უარი თქვეს სამხედრო სამსახურის გაგრძელებაზე და თვითნებურად მიატოვეს დისლოკაციის ადგილები. ამის შემდგომ მათ აღარ უსარგებლიათ აღნიშნული კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობებით და მოითხოვდნენ სამსახურის ვადის შემცირებას, მათ მიმართ სამხედრო ზედამხედველობის მოხსნას და მათი რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფას. 2011 წლის შემდეგ სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა კანონის განახლებული ვარიანტი. ამჟამად ეს კანონპროექტი შესულია სომხეთის რესპუბლიკის ეროვნულ კრებაში და მიღებულია პირველი წაკითხვით. ამასთან ერთად, იაღოვას მიმდევრები დღემდე უარს ამბობენ ალტერნატიულ შრომით სამსახურზე. ამდენად არ ასრულებენ საზოგადოების წინაშე თავიანთ ვალდებულებებს და ურჩევნიათ კანონით გათვალიწინებული სამართებლივი სასჯელის მოხდა. მაშინ, როდესაც ეს ვალდებულება გამყარებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის 29-ე მუხლში – *თითოეულ ადამიანს ვალდებულება აკისრია საზოგადოების მიმართ, სადაც შესაძლებელია პიროვნების თავისუფალი და სრულყოფილი განვითარება.*

2003 წელს მიღებული იქნა კანონი "მასობრივი საინფორმაციო საშუალებების" შესახებ. იმ-ფორმაციის თავისუფლებასთან მჭიდრო კავშირშია 2000 წლის 9 ოქტომბერს მიღებული კანონი "ტელევიზიის და რადიოს" შესახებ, რომლის მეოთხე მუხლი აფიქსირებს, რომ სომხეთის რესპუბლიკაში გარანტირებულია რადიო-სატელევიზიო გადაცემათა თავისუფალი არჩევის, პროდუქციის და გავრცელების უფლება და აკრძალულია ტელეგადაცემების ცენზურა.

შეკრებების თავისუფლება რეგულირდება 2011 წელს მიღებული ახალი კანონით "შეკრებათა თავისუფლების" შესახებ, სადაც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა დაცვის მოთხოვნები.

საქართველოში სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ეპარქიასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების მიმოხილვა

ლევონ ისახანიანი
საქართველოში სომეხთა სამოციქულო ეკლესიის
ხელმძღვანელის მრჩეველი/იურიდიული
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესია საქართველოში წარმოდგენილი არის მე-4 საუკუნიდან. ისტორიულად, სომეხთა ეპარქია საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ყველაზე მნიშვნელოვანი ეპარქიაა,რომელმაც დიდი როლი შეასრულა როგორც სომეხი ხალხის ისტორიაში, ასევე ეკლესიის ცხოვრებაში. 2002 წლის მოსახლეობის ბოლო აღწერის მონაცემებით, საქართველოში სომხური ეპარქიის მრევლს 171139 საქართველოს მოქალაქე წარმოადგენს, რაც შეადგენს ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 3,9%-ს.ამდენად, სომხური ეპარქია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუსლიმური თემის შემდეგ რიცხოვნობით მესამე რელიგიური ორგანიზაციაა. 2012 წლის12 მარტს ეპარქია დარეგისტრირდა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ეპარქიაში მსახურობს16 სხვადასხვა რანგის სასულიერო პირი, რომლებიც ატარებენ ღვთისმსახურებას 46 მოქმედ სომხურ ეკლესიაში, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა განლაგებულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ამავე დროს, ეპარქიასთან მოქმედებს სომხური კულტურის ცენტრი "ჰაიარტუნი" და ახლო მომავალში დაიწყებს ფუნქციონირებას კულტურის ცენტრი "ვერნატუნი".

საქართველოში სომეხთა ეპარქია გახლავთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან არსებული რელიგიათაშორისი თანამშრომლობის საბჭოს წევრი, სადაცსხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები განიხილავენ სხვადასხვა სოციალურ საკითხებს, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ რელიგიათა საბჭოს წევრიც, რომლის კონტექსტშიც განიხილება სხვადასხვა საკითხები, რომლებიც დგას რელიგიურ ორგანიზაციების დღის წესრიგში.

სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოში არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია მეტყველებს საზოგადოების შემწყნარებლობასა და სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან მშვიდობიან თანაცხოვრებაზე. მაგალითად, აღსანიშნავია, რომ 1914 წელს საქართველოს დედაქალაქში - თბილისში, 26 სომხური ეკლესია ფუნქციონირებდა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საქართველოში არსებობის მრავალსაუკუნოვანი დიდებული ისტორიისა, სომხური ეპარქია, ისევე, როგორც სხვა რელიგიური ორგანიზაციები, იმყოფება დისკრიმინირებულ მდგომარეობაში და სხვადასხვა პრობლემას აწყდება, რომელთა არსებობა უარყოფით გავლენას ახდენს ეპარქიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

პირველ რიგში საქმე ეხება საბჭოთა პერიოდში სომხური ეპარქიისგან ჩამორთმეულ ეკლესიებსა და სხვა ქონებას. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობასა და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე -11 მუხლის თანახმად,

სახელმწიფომ დაადასტურა მატერიალური და მორალური ზიანის ფაქტი, რომელიც მიადგა ეკლესიას ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში და როგორც ჩამორთმეული ქონების ფაქტობრივმა მფლობელმა აიღო მატერიალური ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების ვალდებულება. ჩვენ ეჭვქვეშ არ ვაყენებთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მიყენებული გარკვეული ზიანის ფაქტს და ჩვენ არ ვართ სახელმწიფოს მხრიდან გამოწვეული მატერიალური ზიანის კომპენსაციის წინააღმდეგნი. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო, რომლის კონსტიტუციის 38-ე მუხლში წერია, რომ *საქართველოს მოქალაქეები თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიუხედავად მათი ენის, ეროვნების, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების,* უნდა დაამუშაოს რელიგიური უმცირესობებისათვის და მათ შორის, სომხური ეპარქიისათვის, მიყენებული ზარალის კომპენსაციის მექანიზმი. მთავრობამ საშუალება მისცა და ხელი შეუწყო დომინანტურ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დაებრუნებინა თავისი ტაძრები და სხვა ქონება, რომელიც ჩამორთმეული იყო საბჭოთა პერიოდში. უფრო მეტიც, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა, საქართველოს ხელისუფლების „ჩუმი“ თანხმობით „ორთოდოქსული“ გახადეს რიგი სომხური ეკლესიები, შეცვალეს მათი გარეგანი სახე, ფრესკები და საფლავის ქვებიდან წაშალეს სომხურენოვანი წარწერები და სომხურ საეკლესიო არქიტექტურისათვის ტიპიური ელემენტები, ისეთები, როგორიცაა საკურთხევლი და მოსანათლი. მხოლოდ თბილისში ასეთი მოდიფიცირება განიცადა შვიდმა ეკლესიამ.

სომეხთა ეპარქიას კი,მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, რომ დაებრუნებინა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ეკლესიები - ნორაშენ, სურბ ნშან, მუღნეცოც სურბ გევორგ, შამხორეცოც სურბ ასტვაწაწინ და სურბ მინას ქალაქ თბილისში და სურბ ნშან ქალაქ ახალციხეში,ჯერ კიდევ ვერ დაუბრუნებია ტაძრები, ვინაიდან ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასაც აქვს პრეტენზია მათზე. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ მოუგვარებელია აღნიშნულიტაძრებისისტორიულკანონიერ მფლობელისთვის დაბრუნების საკითხი, 2009 წლის 18 ნოემბერს, თბილისში ჩამოინგრა მე-14 საუკუნის ეკლესია მუღნეცოც სურბ გევორგ, 2012 წლის 14 მაისსკი ჩამოინგრამე-18 საუკუნის სურბ ნშან ეკლესიის სამრეკლო. წუხილით აღვნიშნავთ, რომ სომხური ეკლესიების ჩამონგრევით ჩვენ დავკარგეთ სახელმწიფოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება - რესტავრირებულ იქნას ე.წ. სადავო ტაძრები, და ამა წლის იანვარში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შეიქმნა აღდგენითი სამუშაოების მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სომხური ეპარქიის წარმომადგენლები. ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში დაიწყება საქართველოში ე.წ. სადავო სომხური ეკლესიების აღდგენის პროცესი.

აღსანიშნავია, რომ ნორაშენი, სურბ ნშანი და მუღნეცოც სურბ გევორგი საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წელს ოფიციალურ დონეზე იქნა აღიარებული სომხურ ეკლესიებად. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის საქართველოში იმპლემენტაციის შესახებ მეორე პერიოდულ ანგარიშში, რომელიც მთავრობამ 2012 წლის 30 მაისს წარუდგინა ევროპის საბჭოს, აღნიშნულია, რომ **„2011 წელს მომზადდა თბილისის სომხური ეკლესიების - მოღნისის, სურბ ნშანის და ნორაშენის რესტავრაციის საპროექტო დოკუმენტაცია.“**[6]

რელიგიური უმცირესობებისგან საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის საკითხის მოგვარების აუცილებლობაზე საუბრობენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტმა აღნიშნა: **„ზოგადად, მაშინ როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ქონების რესტიტუციის საკითხი გადაწყვეტილია, ან გადაწყვეტის პროცესშია, სხვა ეკლესიების ქონების რესტიტუციის პროცესი ყოვნდება. ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს, სხვათა შო-**

6. Second Report Submitted by Georgia Pursuant to Article 25, Paragraph 2 of the Framework Convention for the Protection of National Minorities, ACFC/SR/II(2012)001, 30 May 2012, para.109, page49, available at: http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3_FCNMdocs/PDF_2nd_SR_Georgia_en.pdf

რის, სომხური ეკლესიების დაბრუნებასთან დაკავშირებით და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მათი დაუფლების მცდელობებთან დაკავშირებით (მაგალითად, თბილისში მდებარე რამოდენიმე ეკლესიასთან, მათ შორის ნორაშენის ტაძართან მიმართებაში, რომელიც მე-15 საუკუნიდან სომხური სათვისტომოს მიერ გამოიყენებოდა)"[7]

ხსენებული პრობლემა აღნიშნულ იქნა ასევე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ **„კომიტეტი გამოთქვამს მწუხარებას იმის გამო, რომ რელიგიური უმცირესობებისგან კომუნისტურ ეპოქაში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების და მათთან დაკავშირებული ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებული პრობლემები გადაუწყვეტყვეტელი რჩება (მუხლი 18).წევრმა-სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს რელიგიური უმცირესობების საკულტო ნაგებობების და მათთან დაკავშირებული ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებული პრობლემები".**[8]

უფრო მეტიც, რელიგიური უმცირესობების ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებული საკითხებიაღნიშნულ იქნა მთელი რიგი სახელმწიფოების დელეგაციების მიერ, საქართველოს პირველი უნივერსალური მიმოხილვის ფარგლებში, 2011 წლის 28 იანვარს შემდგარი ინტერაქტიული დიალოგის ფარგლებში. მაგალითად, იტალიის დელეგაცია დაინტერესდა სახელმწიფოს მიერ ქონებისა და საკულტო ნაგებობების დაცვისთვის, ასევე გარკვეულ ქონებაზე რელიგიური უმცირესობების პრეტენზიების დაკმაყოფილებისთვის მიღებული ზომებით,[9]სლოვაკეთმა აღნიშნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის შეწუხება რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაციის გამო,[10]ბულგარეთმა ჩვენ სახელმწიფოს გაუწია რეკომენდაცია მრწამსისა და რელიგიის თავისუფლებით თანაბრად სარგებლობის უზრუნველსაყოფად,[11]დანიამ გაუწია რეკომენდაცია მრწამსისა და რელიგიის თავისუფლებით, როგორც დე-იურე, ასევე დე-ფაქტო, თანაბრად სარგებლობის უზრუნველსაყოფად,[12]წმინდა საყდარმა გაუწია რეკომენდაცია, რელიგიური უმცირესობების ქონებისა და საკულტო ნაგებობების კონფისკაციის პრობლემის მოსაგვარებლად,[13]ხოლო ეკვადორმა გაუწია რეკომენდაცია რელიგიური უმცირესობების სოციალური, კულტურული და პოლიტიკური უფლებების პატივისცემისა და რელიგიურ უმცირესობათა მიმართ შემწყნარებლობის წახალისების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ეკვადორი დაეთანხმა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს იმაში, რომ აუცილებელია მრწამსისა და რელიგიის თავისუფლებით თანაბარი სარგებლობის უზრუნველყოფისთვის ზომების მიღება, ასევე რელიგიური უმცირესობების ქონებისა და საკულტო ნაგებობების კონფისკაციის პრობლემის მოგვარება.[14]

სხვა საკითხი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, არის რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს ერთად-ერთ რელიგიურ ორგანიზაციას, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ღებულობს დაფინანსებას. 2013 წლის ბიუჯეტში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილია 25 მილიონი ლარი, ან 15 მილიონზე მეტი აშშ დოლარი. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი იმისა, რომ სახელმწიფო გამოყობდეს საჯარო სახსრებს მისი იურისდიქციის ქვეშ მოქმედი ამა თუ იმ ორგანიზაციისთვის. თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლის მოთხოვნებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის

7. Opinion on Georgia, ACFC/OP/I(2009)001, 10 October 2009, paras.96-97, page27, available at: http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3_FCNMdocs/PDF_1st_OP_Georgia_en.pdf

8. Concluding observations of the Human Rights Committee on Georgia concerning the third periodic report, CCPR/C/GEO/CO/3, 15 November 2007, para.15, available at: http://www2.ohchr.org/english/bodies/hrc/hrcs91.htm

9. Report of the Working Group on the Universal Periodic Review: Georgia,A/HRC/17/11, 2011, para. 35.

10. Report of the Working Group on the Universal Periodic Review: Georgia,A/HRC/17/11, 2011, para.51.

11. Report of the Working Group on the Universal Periodic Review: Georgia,A/HRC/17/11, 2011, para.105.60.

12. Report of the Working Group on the Universal Periodic Review: Georgia,A/HRC/17/11, 2011, para.105.62.

13. Report of the Working Group on the Universal Periodic Review: Georgia,A/HRC/17/11, 2011, para.106.48.

14. Report of the Working Group on the Universal Periodic Review: Georgia,A/HRC/17/11, 2011, para.106.49.

მე-12 ოქმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყველა რელიგიური ორგანიზაციისთვის სახსრების გამოყოფა პროპორციულობის პრინციპის დაცვით, ვინაიდან ადამიანის უფლებათა თვალთახედვიდან გამომდინარე, ყოველი რელიგიური ორგანიზაცია იმყოფება მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანაბარ მდგომარეობაში, ხოლო ეს სახსრები კი გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც ივსება საქართველოს ყოველი მოქალაქის მიერ, მათ შორის მათ მიერ, რომლებიც რელიგიური უმცირესობების მრევლს წარმოადგენენ.

მაშასადამე, მივმართავთ თხოვნით საქართველოს ხელისუფლებას, რათა უსწრაფესად მოხდეს საბჭოთა პერიოდში სომეხთა ეპარქიისაგან ჩამორთმეული სომხური ტაძრების რესტიტუცია და შემუშავდეს რელიგიური ორგანიზაციების პროპორციული დაფინანსების მექანიზმი. მიგვაჩნია, რომ ხსენებული პრობლემები უსწრაფეს სამართლიან მოგვარებას საჭიროებენ, ხოლო სახელმწიფომ კი ამ პროცესში დამოუკიდებელი არბიტრის როლი უნდა შეასრულოს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზებას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. გვწამს, რომ სახელმწიფო ორგანოების ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიულ კონსოლიდაციას, რაც მულტიეთნიკური და მულტიკონფესიური საქართველოს გრძელვადიანი განვითარების ფუნდამენტს წარმოადგენს.

სამლოცველოების მოწყობა - რელიგიური თავისუფლების შეზღუდვა (ნიგვზიანი-წინწყარო-სამთაწყაროს მოვლენები)

ტარიელ ნაკაიძე
საქართველოს აჭარელ მუსლიმთა
კავშირის წარმომადგენელი

ჩემი საუბრის თემა შეეხება ძირითადად საქართველოში რელიგიური ორგანიზაციების პრობლემებს. რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა ქსენოფობური განწყობების ერთგვარ რეზონანსად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამას ემატება მართლმადიდებელი სასულიერო პირების მიერ ღია აგრესია სხვა აღმსარებლობის მიმართ. მათ მიერ სხვა რელიგიის გაუცხოების ფაქტი. ისლამის თურქობასთან გაიგივება, კათოლიციზმის ფრანგებთან გაიგივება და ასე შემდეგ. საპატრიარქოს ყველა ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც ეხება მეჩეთის მშენებლობის საკითხს, მნიშვნელოვნად ხაზია გასმული - მაგალითად „საქართველოში მათ აქვთ ორასზემეტი მეჩეთი, ხოლო ჩვენი არცერთი მართლმადიდებლური ტაძარი არ მოქმედებს თურქეთში“-ამ დამოკიდებულებით ისი ცდილობდნენ ქართველი მუსლიმების უგულვებელყოფას და ახორციელებდნენ მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის გარემოებად შეიძლება ჩავთვალოთ ბათუმში მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგ 2011 წლის 4 მარტს გამართული საპროტესტო წირვა-ლოცვაც, რაც ვფიქრობ გახდა ერთ-ერთი წახალისების ფაქტორიც მართმადიდებელი მრევლისა, რამაც გამოიწვია ბათუმის ქუჩებში ახალი ქსენოფობიური წარწერები, „ბათუმი თურქების გარეშე“-„აჭარა ხოჯების გარეშე“.

2012 წლის ოქტომბერ-ნოემბერში რელიგიურმა შეუწყნარებლობამ ღია ხასიათიც მიიღო, რაც გამოიხატება მართლმადიდებელ მრევლის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიგვზიანსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. წინწყაროში ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ, 2012 წლის ნოემბერსა და დეკემბერში განხორციელებული ქმედებებში. სოფ. ნიგვზიანში მოსახლეობის ნაწილმა, ადგილობრივი მართლმადიდებლი სამღვდელო პირების აქტიური მონაწილეობით, გააპროტესტა სოფელში მცხოვრები მუსლიმების პარასკევის საერთო ლოცვისათვის ტრადიციული შეკრება მეჩეთში. 2012 წლის 26 ოქტომბერსა და 2 ნოემბერს მუსლიმებისგან შეუწყნარებელი და შეურაცხმყოფელი ფორმით მოითხოვდნენ საერთო ლოცვისთვის კერძო სახლში (რომელიც, სამლოცველოს, მეჩეთის სახით ფუნქციონირებდა) შეკრებაზე უარის თქმას. მათ ეჭრებოდნენ სამლოცველოში და ემუქრებოდნენ, რომ თუ არ დამორჩილებოდნენ ულტიმატუმებს, გადაწვავდნენ სამლოცველოს და მუსლიმების სიცოცხლე საფრთხის წინაშე დადგებოდა. ასევე საჯარო სკოლებში ადგილი ჰქონდა მუსლიმი ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებულ მუქარებსაც. 2012 წლის 2 ნოემბერს სოფელში ჩასულ ქართველ მუსლიმთა ლიდერს, მუფთი ჯემალ პაქსაძეს და მასთან ერთად მყოფ მუსლიმ მლოცველებს გადაუღობეს მეჩეთისკენ მიმავალი გზა, რის გამოც მათ ვერ შეძლეს სალოცავად შესვლა.

2013 წლის 24 მაისს მსგავსი შეუწყნარებლობის შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში. ადგილობრივი მუსლიმი მლოცველები შეიკრიბნენ სამლოცველო სახლში, სადაც უნდა ჩატარებულიყო პარასკევის ტრადიციული ლოცვა. ამ დროს სოფლის რწმუნებულის გულო ნადირაშვილის მეთაურობით სოფლის მართმადიდებელი

UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

მრევლი თავს დაესხნენ მუსლიმებს და გამოყარეს სამლოცველოდან. ასევე სამლოცველოდან გამოყარეს სალოცავი ნოხები და რელიგიური ლიტერატურა. ამ სოფელში არც მეორე პარასკევს შეუშვეს მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლები სალოცავად. შესაბამისად ადგილობრივებსაც არ მიეცათ ლოცვის შესრულების საშუალება. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, ნიგვზიანსა და წინწყაროში თუ იკვეთებოდა წინა ხაზზე მართლადიდებელი წინამძღვრების აქტივობა წინააღმდეგობის თვალსაზრისით სამთაწყაროში უფრო იკვეთება სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელების აქტივობა. დედოფლისწყაროს გამგებელი ახცადებს, რომ „ამ სოფელში მოსახლეობის უმრავლესობა არის ქრისტიანი და არანაირი სამლოცველო ან მეჩეთი არ აშენდებაო. ხალხის ნება უზენაესია და მე მას ვემორჩილებიო“. საჯარო მოხელის ასეთი დამოკიდებულება სამთაწყაროს მოვლენებს უფრო ამძიმებს. იმედს ვიტოვებთ მთვარობა ადეკვატურად შეაფასებს და მუსლიმებს მიეცემათ შესაძლებლობა შეასრულონ პარასკევის ლოცვა.

ნიგვზიანსა და წინწყაროში არსებული პრობლემები მოლაპარაკების გზით იქნა მოგვარებული, სადაც დღეს უკვე ლოცვები მიმდინარეობს. თუმცა მას, სახელმწიფოს მიერ არ მიეცა ადეკვატური სამართლებრივი შეფასებები, მიუხედავად ამ ფაქტების გამო დაიკითხნენ რამდენიმე ადამიანი, მათ მიმართარ განხორციელებულა რაიმე სახის სამართლებრივი დევნა. ამის საფუძველი არსებობდა იმ მუქარებსა და დამოკიდებულებებში რაც მოდიოდა მუსლიმი მრევლის მიმართ. ვფიქრობ ეს დაუსჯელობის სინდრომი გახდა წამახალისებელი 2013 წლის აპრილში სამხედრო პოლიციელების მიერ მუსლიმ მოსახლეობაზე განხორციელებული შეურაცმყოფელი ქმედებებისა, რაც გამოიხტებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცყოფაში. სამხედრო პოლიციელები ეკითხებოდნენ გამვლელებს ქრისტიანი იყო თუ მუსლიმი, ეკეთა თუ არა ჯვარი. ვისაც ჯვარი არ ეკეთა ჯვარი იმ ადამიანებს აგინებდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ.

სამლოცველობთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ რელიგიურ საბჭოში შემავალ სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციებსაც.

ბოლო დრო თავი იჩინა ახალმა პრობლემამ. რომელიც ეხება მუსლიმი ქალის ჩადრის ტარებას. ამა წლის მაისის თვეში დაფიქსირდა ორი ფაქტი. ერთი იყო სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე სადაც, თურქეთის რესპუბლიკიდან შემოდიოდნენ ქართველი მუსლიმი ქალბატონები. მესაზღვრე პოლიციელმა მათ უკანონოდ მოსთხოვა თავსაფარის მოხდა, რაზედაც მიიღეს შესაბამისი უარი. მესაზღვრე პოლიციელი ემუქრებოდა მათ ასე არ შემოუშვებდა საქართველოში. აღნიშნული ფაქტი მოგვარდა სხვა მესაზღვრე პილიციელის ჩარევით. ასეთივე ფაქტი დაფიქსირდა კერძო დაწესებულებაში, სადაც ქართველი მუსლიმი გოგონა მუშაობს. გოგონა სამუშაო პერიოდში ასრულებს და იცვამ იმ შესაბამის ფორმას, რასაც ითხოვს დაწესებულებების შინაგანაწესი. მაგრამ როცა სამუშაო სრულდება მას შემდეგ იფარებს ისლამური წესით და ქუჩაში ისე გამოდის. ამა წლის მაისის თვეში ამ დაწესებულების მენეჯერმა ქუჩიდან მოაბრუნა ეს გოგონა და იძულებით მოახადა თავს, თან დაემუქრა თუ კიდე გააგრძელედა თავსახურის ტარებას გაანთავისუფებდნენ სამსახურიდან.

ბევრი პრობლემა არსებობს საჯარო სკოლებში, სადაც მასწავლებელთა დიდი ნაწილი ახორციელებს არა მართმადიდებელ მოსწავლეებზე ზეწოლებს, ისევე როგორც ფსიქოლოგიურ ასევე ფიზიკური ფორმით. ახალციხის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებელმა კათოლიკე ბავშს ყურიც კი აახია რელიგიური შეუწყნარებლობისას. ბათუმში ერთერთ საჯარო სკოლაში, მეშვიდე დღის ადვენტისტური მიმდინარეობის მორწმუნე ბავშს მიაყენეს ფიზიკური შეურაცყოფა. განსაკუთრების სკოლებში ბავშვების მიმართ არის ფსიქოლოგიური ზეწოლა მასწავლებლების მიერ. სხვა რელიგიებს, მაგალითად ისლამს მოიხსენიებენ „თავს მოხვეულ ძალისმიერი მეთოდებით მიღებულ რელიგიად“, „ქართველი არ შეიძლება იყოს მუსლიმი“, მუსლიმ ბავშვებს უწოდებენ „თათარს“ სხვა ქრისტიანულ მიმდინარეობებს მართმადიდებლობის გარდა მოიხსენიებენ სექტებად და იყენებენ დამამცირებელ და შეურაცმყოფელ ტერმინებს.

რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებული სიტუაცია სომხეთში

დავით მიქაელიანი

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ეროვნული უმცირესობათა და რელიგიური საკითხების დეპარტამენტის ექსპერტი

უპირველეს ყოვლისა, ვიდრე სომხეთის რესპუბლიკაში დარეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციებისა და სახელმწიფო რეგისტრაციის არმქონე რელიგიური ჯგუფების შესახებ ვილაპარაკებ, მსურს შევეხო ზოგად პროცესებს, რომლებსაც საერთაშორისო კონტექსტი გააჩნია. მხედველობაში თუ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გლობალურ დონეზე პოლიტიკური, ეკონომიკური, სხვა საერო სტრუქტურები და ინსტიტუტები, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულის მანძილზე, იმყოფებიან განუწყვეტელ კრიზისში. ასეთ პირობებში სპეციალისტების, ექსპერტების შეფასებით მთელი მსოფლიოს დონეზე შეინიშნება საზოგადოების გარკვეული ფართო ფენების მასიური ლტოლვა რელიგიური ინსტიტუტების და რელიგიური მსოფლმხედველობის მიმართ. 90-იანი წლების მასიური ანტირელიგიური ტენდენციების საპირისპიროდ, დღეისათვის უკვე შეინიშნება საპირისპირო პროცესი – რელიგიური ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ყველა ფენის მზარდი დაინტერესება. ეს ტენდენციები განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზეა საგრძნობლად გამოკვეთილი, რომლის ერთ-ერთ მიზეზს საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში რელიგიის მიმართ ჩამოყალიბებული უარყოფითი დამოკიდებულება და პოლიტიკა წარმოადგენდა.

სწორედ ეს გამოწვევა პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში ისეთი გარემოს გენერაციას ახდენს, სადაც რელიგიური ორგანიზაციების და ჯგუფების საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესი გარკვეულ თავისებურებებს იძენს და ეს თავისებურებანი არსებითად განსხვავდება დასავლეთის – როგორც ევროპული, ასევე ამერიკულ გარემოში რელიგიური გაერთიანებების ადაპტაციის თავისებურებებისგან. საქართველოსა და სომხეთის რელიგიური პრობლემების დარეგულირების სახელმწიფო ფუნქციებსა და გამოცდილებას, ვფიქრობ, შეიძლება ჰქონდეს გარკვეული მსგავსებები იმ გაგებით, რომ ორივე პოსტსაბჭოთა საზოგადოების მემკვიდრეობის (რელიგიური შემწყნარებლობის, რელიგიურ თავისუფლებათა თვალსაზრისით) მატარებელია, მაგრამ ეს გამოცდილებები აგრეთვე არსებითად განსხვავდება, რადგანაც ორივე ქვეყანას გააჩნია ერთმანეთისაგან განსხვავებული დემოგრაფიული სურათი და რელიგიურ ორგანიზაციათა სხვა პალიტრა.

შევნიშნავთ, რომ თუმცა სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული 65 რელიგიური ორგანიზაციაა, მაგრამ დარეგისტრირებული ორგანიზაციების გარდა სომხეთში ფაქტიურად მოქმედებს მრავალრიცხოვანი სახელმწიფო რეგისტრაციის არმქონე და იურიდიული პირის სტატუსის არმქონე რელიგიური ჯგუფები. ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ სომხეთის რესპუბლიკის რელიგიისა და სარწმუნოების თავისუფლების დამარეგულირებელი საკანონმდებლო ველი საკმაოდ თავისუფალია, ის რელიგიური ერთეულის თავისუფალი ფუნქციონირების თვალსაზრისით დამატებით სიძნელეებს არ ქმნის და ფაქტიურად მოქმედ რელიგიურ ჯგუფებს არ უყენებს სავალდებულო რეგისტრაციის პირობას. მიუხედავად რელიგიური ორგანიზაციებისა და ჯგუფების სიმრავლისა, უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურება,

UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

რომელიც საყოველთაო მოვლენას არ წარმოადგენს, მაგრამ განსაკუთრებით ხშირად გვხვდება არარეგისტრირებულ რელიგიურ ჯგუფებთან. ასე მაგალითად, ზოგიერთი სტრუქტურის მიმდევრებთან გამოკვეთილი რელიგიური თვითინდიფიცირების კრიტერიუმები უბრალოდ არ არსებობს, ანუ იქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც მოცემული საზოგადოების წარმომადგენელს გააჩნია აქტიური რელიგიური პრაქტიკა – ესწრება რელიგიურ თავყრილობებს, კრებებს, რიტუალებს, მაგრამ ამ უკანასკნელმა უბრალოდ არ იცის, თუ რომელ რელიგიურ ან საეკლესიო მიმართულებას მიეკუთვნება, ან ემხრობა საკუთარი თემი. ამ გარემოებას ხაზს ვუსვამ სპეციალურად იმისათვის, რომ ყველასთვის, კონფერენციის მონაწილეებისთვის ნათელი გახდეს, თუ რაოდენ ძლიერი ძალისხმევაა საჭირო სახელმწიფოსგან ან საზოგადოებრივ სექტორში მოქმედი ორგანიზაციებისგან, რათა წამოსწიონ თავიანთი აღმსარებლობის განმასხვავებელი თავისებურებანი და აამაღლონ იმ მოქალაქეთა სამართლებრივი შეგნება, რომლებსაც ეს სრულად არ აქვთ გათვითცნობიერებული.

რელიგიურ ჯგუფების საზოგადოებაში უფრო უმტკივნეულო ინტეგრაციის, რელიგიურ შემწყნარებლობის წახალისების, როგორც აგრეთვე რელიგიურ ორგანიზაციების საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეების გაშუქების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი როლი მასმედიას აკისრია. მასმედიას შეუძლია უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულება – საზოგადოების ფართო ფენებს უფრო მეტად მიაწოდოს სომხეთის რესპუბლიკის რელიგიურ ორგანიზაციათა ისტორიის, რწმენის, სტრუქტურის, საქმიანობის თავისებურებების, რელიგიის სფეროს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის და სამართლებლივი ველის შესახებ ინფორმაცია. სამწუხაროდ, მასმედიის ველზე ძირითადად არ არსებობს სიღრმისეული ანალიტიკური, გამოკვლევის შემდგომი მასალები, რაც ხელს შეუწყობდა საზოგადოებას რელიგიური გაერთიანებების შესახებ კომპეტენტურობის დონის ამაღლებაში.

დისკუსია საქართველოსა და სომხეთში რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების სტანდარტების დაცვის შესაბებ

• ლიანა მიკირტიჩიანი (იურიდიული დეპარტამენტი, ომბუცმენის ოფისი, სომხეთი)

ნება მიბოძეთ თქვენის დახმარებით გავერკვე ტერმინის „არამართებული“–ს გაგებას საერთაშორისო პრაქტიკაში, რაც მის იურიდიულ შინაარსის გაგებას უკავშირდება. რას მოიცავს იგი და სად გადის ზღვარი ტერმინ „არამართებულსა“ და „არაიძულებით“ შორის? არსებობს თუ არა „არამართებული დაწესებულების“ უნივერსალური განსაზღვრება რაც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობებში გამოიყენება?

გაეროს სპეციალური მომხსენებლის ჰაინერ ბილეფელდის პასუხი:

ჩემი პასუხი იქნება მარტივი: რჯულზე მოქცევის ნებისმიერი ძალისმიერი ფორმა მიუღებელია. ამ მიზნით, საჭიროა ტერმინოლოგიისთვის ძალიან ზუსტი და ნათელი განმარტების მოფიქრება. ჩემი რწმენით, არ არსებობს არანაირი უნივერსალური განმარტება ამ თვალსაზრისით. მე მოვამზადე ანგარიში, რომელიც გაეროს გენერალური ასსამბლეას წარედგინა წინა წლის ოქტომბერში, რაშიც მე სხვა რწმენაზე გადასვლის საკითხებზე ვსაუბრობ, კერძოდ კი, რწმენის შეცვლისა და სხვების ამავე რწმენაზე მოქცევის უფლებების შესახებ. ამ დოკუმენტში ზოგს გარკვეული სტანდარტების მოძიება შეეძლება, მაგრამ ჩვენ როგორც ასეთი, განმარტება და დეფინიცია ამისი არ გვაქვს. მე ასევე ვიცი, რომ ევრო–საბჭო ან ეუთო ისურვებდნენ ტერმინი „პროზელიტიზმის“ შეცვლას ტერმინი „კონვერსიით“ განსაკუთრებით, თუკი საქმე სისხლის სამართლის კოდექში შეზღუდვების შეტანს ეხება. მე მესმის, რომ ეს შინაარსობრივად განსხვავებულ დისკუსიამდე მიგვიყვანს, თუკი ამის განხილვა თავად რელიგიურ დაჯგუფებებს შორის მოხდება, რაც ასევე მეტად საგულისხმო და გასათვალისწინებელ ფაქტს წარმოადგენს.

ნებაყოფლობით თუ არანებაყოფლობით, ყოველ შემთხვევაში, დისკუსიის გამართვა სხვა რწმენის მიღების შესახებ საკმაოდ რთულია, მაგრამ მნიშვნელოვანი, ვინაიდან რელიგიური ჯგუფის წევრები თავად უნდა მიუდგნენ ამ საკითხს მაღალი სიფრთხილითა და შეგნებით. ეს არის, რასაც მეც თავად გავუწევ რეკომენდაციას, რათა ამ საკითხის განხილვა კრიმინალური კანონმდებლობის ჭრილში არ მოხდეს. მაგრამ როცა საქმე სახელმწიფო მიდგომას ეხება, არსებობს ძალიან მკაცრი და ზუსტი ენა სპეციალური და საკვანძო სიტყვებით, რამაც მისი გაგება უნდა უზრუნველყოს. მე რეკომენდაციას გავუწევ „არამართებული დაწესებულებების“ ტერმინის „კონვერსიით’ შეცვლას, რაც ჩემი აზრით უფრო მართებულია. •

• იზაბელა სარგისიანი (ევრაზიის პარტნიორობის ფონდი, სომხეთი)

ჩემი შეკითხვა თვითმყოფად კულტურას შეეხება. მე ვეცდები ბ–ნ გია ნოდიას თემა განვავრცო. ჩვენ ვაკუუმში არ ვცხოვრობთ და ჩვენ არ ვართ იქ სადაც არ არის კულტურა ან წინასწარ დამკვიდრებული ტრადიციები. მე როგორც ვატყობ, საკმაოდ დიდი განსხვავებაა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ეკლესიის მიმართ პატივისცემის თვალსაზრისით. აღმოსავლეთის ეკლესიის და დასავლეთის ეკლესიის ტრადიციებს სრულიდან განსხვავებული წესები აქვთ და აქედან გამომდიანრე, მათი სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაც სხვანაირია, მათი ტრადიციებისა და მათი ისტორიის გათვალისწინებით. ქრისტიანულ აღმოსავლეთში სადაც ჩვენ ვიმყოფებით საქართველოსა და სომხეთში, ჩვენ ეკლესიასა და სახელმწიფოს ერთად ყოფნის ტრადიცია აქვთ. სახელმწიფოებრიობის არარსე-

ბობის დროს, სომხეთში, ეკლესია სახელმწიფოს როლს ასრულებლდა. ახლა ეს ნორმატიული ჩარჩო ურთიერთობებით რეგულირდება და სომხეთში ამ თვალსაზრისით სიტუაცია უფრო სახარბიელოა, თუმცა კვლავაც რჩება რამოდენიმე იურიდიული საკითხი, რომელიც ჯერ ისევ საჭიროებს გადაწყვეტას, როგორიცაა „პროზელიტიზმი“, სკოლებში რელიიგის საკითხი, ა.შ. რაც მალე უნდა გადაწყდეს. მაგრამ საზოგადოების პრობლემა დგას მწვავედ, როცა ის დისკრიმინაციული და გაუნათლებელია, რასაც რასაკვირველია სახელმწიფო ვერ გადაწყვეტს, ეს თავად საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს. ჩვენში კვლავაც არის ეს ნაციონალისტური დამოკიდებულება, რაც სამწუხაროდ ყოველდღიურად იზრდება. ჩვენ მეტი სამუშაო საზოგადოებასთან გვაქვს ვინდრე სახელმწიფოსთან. რასაკვირველია, სახელმწიფო თავის როლს ასრულებს. ეს უკანსკნელი მედიის, ტელევიზიისა და პროპაგანდის კონტროლის მექანიზმებს ფლობს. მაგრამ თუ კარგად მიუგდებთ ყურს სომხეთში რელიგიურ შეხედულებებს, აშკარად აღმოაჩენთ, რომ იგი საზოგადოების ხელშია, და არა ეკლესიის ან სახელმწიფოსი.

პირველ რიგში მინდა დაგისვათ ერთი შეკითხვა – როგორ იღებს საერთაშორისო ხელშეკრულებები და სტანდარტები მხედველობაში იმ კულტურულ განმასხვავებელ ფაქტორებს, რაც თითოეული ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი სადაც შემგომში ამ სტანდარტებმა ამ ქვეყნის მომავალი უნდა შეცვალონ? და მეორე – როგორ უნდა იმუშაოს სახელმწფომ და საერთაშორისო თანამეგობრობამ საზოგადოების შემეცნებაზე ისე (გარდა იმ დეკლარილებული ნორმებისა როგორციაა დაცვა და პოპულარიზაცია), რომ შეცვალოს მისი ნაციონალისტური მიდგომა და ხელი შეუწყოს ტოლერანტობისა და თავისუფლების განვითარებას?

გაეროს სპეციალური მომხსენებლის ჰაინერ ბილეფელდის პასუხი:

ძალიან ვაფასებ იმას, რაც თქვენ თქვენი კომენტარის დასაწყისში აღნიშნეთ. ჩვენ არ ვცხოვრობთ კულტურულ ვაკუუმში. ეს ის არის, რაც არ მინდა, რომ შეიცვალოს. მე არ ვთვლი, რომ ჩვენ ჩვენი მრავალფეროვანი ლანდშაფტი უნდა შევცვალოთ და დავიწყოთ ჩვენი ყურადღების მიპყრობა ინდივიდებზე. რასაკვირველია არა. ეს ყველაფერი პლურალიზმია, როცა საზოგადოება არის საკმარისად ღია დებატების დასაწყებად. რასაკვირველია, ყველა საზოგადოებას თავის ისტორია აქვს. და პლურალიზმი სომხეთში განსხვავებულია ვიდრე გერმანიაში, რაც თავისთავად კარგია! საქმე იმაში არ უნდა მგომარეობდეს, რომ ყველა სახელმწიფო ერთმანეთს დაემსგავსოს. თითოეულ ადამიანს საკუთარი ისტორია აქვს, რაც მეტი ადამიანის ბიოგრაფიის პატივისცემას იწყებ, უფრო ხვდები, რომ მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია. რასაკვირველია არ უნდა მოხდეს ამ ყოველივეს ღია საზოგადოებით ჩანაცვლება, რომლებიც ერთმანეთს დაემგავსებიან. ფატიურად, ამას ეკლესიის საზოგადოებრივი კანონმდებლობისაკენ მივყავართ. ერთადერთი რამ, რაც შესაძლოა პრობლემას წარმოადგენდეს არის ის, რომ თუკი ეკლესიიას მონოპოლია აქვს და ძლიერმოქმედი სტრუქტურაა ქვეყანაში, მაშინ დროა მან ღია დიალოგის გამართვაზე იფიქროს. მიუხედავად იმისა, რომ იცავთ ადამიანის უფლებებს, თანასწორობას და ინარჩუნებთ არადისკრიმინაციულ გარემოს, ეს მაიც ვერ გახდება ყველა პრობლემის მოგვარების გარანტია. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ მეტმა კომუნიკაციამ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში შესაძლოა უფრო მეტი პოლემიკა გამოიწვიოს. რასაკვირველია ეს უკვეთესია, როცა ღიად მიდის საუბარი და არა დახურულ სივრცეში. ეს ყველა შიშის დაძლევის საშუალებაა. მეორე მხრივ კი, ჩვენ მინიმალური სტანდრტები გვესაჭიროება ჩვენი მშვიდობიანი და გონივრული სამყაროს ფორმირებისთვის. დანარჩენი ისტორიული მემკვიდრეობა კი თვითმყოფადი იქნება და არსად დაიკარგება. როცა ნაციონალიზმზე ვფიქრობ, სურვილი მაქვს, რომ უფრო მეტ კრიტიკას ვაწყდებოდე ეკლესიების მხრიდან, რაც ხშირად ინსტრუმეტალიზირებულია ეროვნული იდენტობის პოლიტიკით. ჩემი გაგებით კი, ეს ინსტრუმენტალიზაციის ერთ–ერთი ფორმაა, რაც ხშირად თავად ეკლესიის გზავნილების ნდობის ფაქტორს ასუსტებს, თუკი სულიერი და რელიგიური მემკვიდრეობის მიმართ ეროვნული ერთგულება არსებობს. ეს შიდა თავისუფლებას ზღუდავს და თავისუფლად სუნთქვისთვის საჭირო სივრცეს ახშობს. ნაციონალიზმის დაძლევა საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს, რაც გაგება „ჩვენი“–ის შეგნებას ავიწროვებს და შიშს აყალიბებს ნებისმიერი ტიპის მრავალფეროვნების მიმართ. ასე რომ, მე ვისურვებდი, რომ ბევრმა ეკლესიამ, განსაკუთრებით საზოგადოების უმრავლეობის მიერ მხარდაჭერილმა ეკლესიებმა გამოხატონ სურვილი საჯარო განხილვებისთვის და გახსნილ სივრცედ გადაიქმნან.

„მაგრამ“ - პოლიტიკა საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი

რუსუდან გოცირიძე

საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი

ქართული ტოლერანტობის ამბავი ცოტა დამაბნეველია. საკმარისია ამ საკითხს შეეხო და ნებსით თუ უნებლიეთ გახსენდება მეიდნის უბნის არქიტექტურა, რომელიც ქართული ტოლერანტობის ტრადიციის ყველაზე თვალსაჩინო ილუსტრაციაა, სადაც ერთი პატარა უბანში მართლმადიდებლური, კათოლიკური, სომხური სამოციქულო ეკლესიების გვერდით ამაყად დგას მეჩეთი და სინაგოგა. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ მაშინ, როცა ეს არქიტექტურა იქმნებოდა მაშინ თბილისიც არ იყო იმ ერთ პატარა უბანზე ძალიან დიდი. გარდა მაგისა, უნიკალურობისა და განუმეორებლობის განცდა, ასე ძალიან რომ გვიჩუყებს გულს, მაშინვე ქრება, როგორც კი რომელიმე ძველ ევროპულ ქალაქს ვეწვევით და აღმოვაჩენთ, რომ ყველას აქვს თავისი „მეიდანი“.

ჩვენი ქვეყნის ტოლერანტობის დადგენა, არქიტექტურის მიღმა მარტივად შეიძლება სტატისტიკით, კერძოდ კი 2002 წლის აღწერის მონაცემებით დავიწყოთ. დავიწყოთ. იმაზე არ დავ-



UNITED NATIONS HUMAN RUGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

წვრილმანდები, რომ ეს რელიგიური ექსტრემიზმის პერიოდია, როცა თითქმის ყოველ საღამოს ახალ ამბებში ლაპარაკი იყო რომელიმე რელიგიური თემის დარბევის შესახებ, რომელიც, უმეტეს წილად თავად დამრბევების მიერ გადაღებული და ოპერატიულად მიწვდილ მასალაზე დაყრდნობით იყო მომზადებული. არც იმაზე ვლაპარაკობ, რომ აღწერის დროს ოჯახში მოსულმა აღმწერმა ვერც კი „მკადრა“ ეკითხა რელიგიური კუთვნილება და ვიდრე მოვასწრებდი რამის თქმას შევსებისას თავისით ჩაილაპარაკა „რა თქმა უნდა მართლმადიდებელი“...

ამჯერად მინდა სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე ვილაპარაკო. აღწერის მონაცემებში კარგად ჩანს როგორ ხედავდა ქვეყანა თავის მოქალაქეებს. აღწერის მონაცემებში უხეშ შეცდომებს არა მხოლოდ ციფრებში, არამედ სახელწოდებებშიც ვაწყდებით: „სომხური გრიგორიანული“ ეკლესია და „მაჰმადიანური“ თემი არ არის მართებული სახელი. ე.წ. 0.8% დაფიქსირებული გაუგებარი რელიგიური ჯგუფი „სხვა“, რომელიც მოიცავს 20-მდე რელიგიურ გაერთიანებას, არსადაა განმარტებული.

მაგრამ ის, რაზე თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო არის დამოკიდებულება, რომელსაც ჩემებური სახელი მოვუფიქრე – **„მაგრამ პოლიტიკა“.**

სამყარო არ არის თეთრად და შავად დაყოფილი. და ოდესღაც ვთვლიდი, რომ ისეთი ლინგვისტური მოვლენა, როგორიცაა “მაგრამ” გვიხსნიდა სამყაროს მთელს სირთულესა და სიღრმეს, რადგანაც სწორედ მისი დახმარებით შეგვიძლია ვთქვათ “თეთრი თეთრია, “მაგრამ” არის შავიც და არის თეთრსა და შავს შორის გრადაციების საოცარი სპექტრი... ანდა შეიძლება ვთქვათ, რომ “ეს ადამიანი დამნაშავეა, “მაგრამ” რატომ არ გვინდა რომ დავინახოთ, რომ მისი დანაშაული რაღაცისაგან არის გამოწვეული....”ამდენად ეს “მაგრამ” მაძლევდა საშუალებას ადამიანები ერთ სიბრტყეზე არ დამენახა.....

„მაგრამ“ წინადადებას ერთი თავისებურება აქვს. მაგალითად, როდესაც სკოლაში მასწავლებელი დაიბარებს მშობელს და ეტყვის – „თქვენი შვილი ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი“, ბავშვი ბედნიერია, რადგან მასწავლებელმა მისი ნიჭიერება აღიარა და მშობელი გულგახეთქილია, რომ მისი შვილი ზარმაცობს. ამ ერთი წინადადებით ყველამ თავისი მესიჯი მიიღო.

„მაგრამ“ განცხადებების ორაზროვნებაში რომ უკეთ გავერკვეთ, ნება მიბოძეთ ამ მოვლენის ანატომიის ჩემებური, მოკრძალებული დაკვირვება შემოგთავაზოთ. საქმე ისაა, რომ **„მაგრამ“ წინადადების** პირველი ნაწილი, რაღაცნაირად, შესავლის ხასიათისაა და თითქოს მთავარი სათქმელის წინ მოთელვითი მანევრის დატვირთვას ატარებს ვიდრე მთავარ სათქმელს იტყოდე. მაგ:

*„მე შენ მიყვარხარ, **მაგრამ შენზე ვერ ვიქორწინებ“.***

ამ წინადადებაში მთავარი სათქმელი ისაა, რომ სიყვარულის მიუხედავად შენი გულის სწორი ვერ დაქორწინდება შენზე. ხოლო, თუკი ასე გადავაწყობთ წინადადებას:

*„შენზე ვერ ვიქორწინებ, **მაგრამ მე შენ მიყვარხარ“***

მაშინ ძალიან გულისამაჩუყებელი სურათი იხატება – „მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება მუხანათია და ერთად ვერ ვიქნებით, მიდა იცოდე რომ მე შენ მიყვარხარ“.

მოდით ამ ფორმულით დავიწყოთ დღევანდელი ხელისუფლების მესიჯების გაშიფვრა:

რათქმაუნდა მუსლიმებს, ისევე როგორც ყველა რელიგიის წარმომადგენლებს ამ ქვეყანაში, აქვთ უფლება ააშენონ მეჩეთი ბათუმში, მითუფრო, თუ მართლა სჭირდებათ, **მაგრამ**

ა) დაუშვებელია აზიზიეს სახელის გამოყენება,

ბ) დაუშვებელია თურქეთის დაფინანსების გამოყენება;

გ) რატომ უნდა ვიყოთ ასეთი ლმობიერები მუსლიმების მიმართ
მაშინ, როცა თურქეთში ჩვენი ტაძრები ინგრევა...

რათქმაუნდა, ნიგვზიანელ მუსლიმებს აქვთ ლოცვის უფლება, **მაგრამ დაუშვებელია**

ა) მიწაზე მუსლიმური სამლოცველოების აშენება და ყველამ ილოცოს თავის სახლში ან წავიდნენ ბათუმში;

ბ) დაუშვებელია სხვა სოფლებიდან სალოცავად ნიგვზიანში მუსლიმების მოსვლა...

რათქმაუნდა, წინწყაროელ მუსლიმებს შეუძლიათ ილოცონ, **მაგრამ**

ა) ვერ ავიტანთ ქრისტიანულ სოფელში, სადაც შვილებს ვზრდით, მუსლიმების სალოცავის არსებობას;

ბ) ვერ შევეგუებით სხვა მუსლიმების მოსვლას;

გ) დაუშვებელია ჯვრების მოძრობა საფლავებიდან, თუნდაც ეს იყოს მუსლიმთა საფლავები...

რათქმაუნდა, სამთაწყაროში მუსლიმებს შეუძლიათ ლოცვა, **მაგრამ**

ა) ჯერ უნდა გავარკვიოთ ვინაა ეს ხალხი და რამდენს უნდათ ლოცვა;

ბ) თუკი სოფლის უმეტესობა უარსიტყვის, მაშინ ვერავინ ვერ ილოცებს...

რათქმაუნდა, ჩვენს ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებაა და ყველას აქვს უფლება გამოხატოს თავისიაზრი, გააპროტესტოს ჰომოფობია. კანონით ჰომოსექსულობა არ იკრძალება და არც არავინ უვარდებათ საძინებელში, **მაგრამ**

ა) არ უნდა შეურაცხყონ უმრავლესობის მორალური ფასეულობები;

ბ) პატივი უნდა სცენ ავღანეთში დაღუპული ბიჭების ხსოვნას...

ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, სადაც კანონის უზენაესობა უნდა დამკვიდრდეს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ქვეყანაში არსებობს ერთადერთი ნათელი წერტილი, რომელიც არის პატრიარქი და უნდა გვახსოვდეს მისი ასაკი...

უმცირესობების უფლებები უნდა იქნეს დაცული, მაგრამ არა უმრავლესობის უფლებების ხარჯზე როგორც ძველი ქართული ფილმის ერთი გმირი ამბობს: *„გეკუთვნით, მაგრამ არ გეკუთვნით!“*

ზოგადად, ჩემს მიერ მონათლულ **„მაგრამ პოლიტიკას“** ლაიტმოტივად გასდევს უმრავლესობისა და უმცირესობის საინტერესო გაგება. მაშინ, როცა აზიზიეს მეჩეთის საკითხი გამწვავდა შემოთავაზებულ გამოსავალაგან ერთ-ერთი იყო (და საბედნიეროდ ეს შემოთავაზება არ იქნა გათვალისწინებული) მოსახლეობის გამოკითხვა და უმრავლესობის ნების მიხედვით გადაწყვეტილების მიღება. იგივე განმეორდა სამთაწყაროშიც, როცა გამგებელი *ამბობდა: „თუკი მოსახლეობის 95% არ უნდა მათ ტერიტორიაზე არამართლმადიდებელი სამლოცველოს არსებობა, მაშინ ეს არ მოხდება,* ***რადგან ხალხის ნება უზენაესია!“*** ხაშურში პროტესტანტი თემის ქალაქიდან გაძევება მოიწადინეს ხელმოწერების შეგროვებით: *„ჩვენ მოვაგროვებთ ხელმოწერებს, რომ ამ ქალაქში არ გქონდეთ უფლება ღვთისმსახურებისა, და როგორც* ***ხალხი გადაწყვეტს ისე იქნება!“*** . როდესაც იეჰოვას მოწმის ცემის საკითხი განიხილებოდა, მსგავსი მიდგომა გამოხატა ქვეყნის სამართლიანობის ერთერთმა გარანტმა: „უმცირესობამ არ უნდა იმოქმედოს გამაღიზიანებლად. თუკი არ იქნებიან გამომწვევი, ისინი **არც უმრავლესობის აგრესიულ დამოკიდებულებას დაიმსახურებენ.“**

UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

ხალხის ნება უზენაესია! ისე ჟღერს, რომ შეიძლება გულისცემა აგიჩქარდეს მოჭარბებული ემოციებისაგან. როგორ გინდა ამაში შეედავო სამთაწყაროს სოფლის გამგებელს, რომელსაც მინდობილი აქვს ძალიან ძვირფასი პასუხისმგებლობა – იყოს ხელისუფლების წარმომადგენელი ადგილზე. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ხელისუფლების დეცენტრალიზაცია არის მთავარი მიდგომა, ძალიან სერიოზულ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ ამ ქალბატონს, რომელსაც, დიდი ეჭვი მაქვს, რომ წარმოდგენა არ აქვს რა არის **„ხალხის ნება“.** ზოგადად ეჭვი მაქვს, რომ ძალიან ბევრმა ადამიანმა როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ ხელისუფლებაში არ იცის, ან მიზანმიმართულად ივიწყებს რა არის **„ხალხის ნება“** და რა დაკვეთა აქვს მას ამ ხალხისაგან. ვგონებ ჯერ არაფერი შეცვლილა ჩვენი კონსტიტუციის პრეამბულაში:

> *„ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევინებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალურიდა სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი...“*

ამ წინადადებაში ვერ ვხედავ ვერც ერთ „მაგრამს“. იქნება ჯობია უარი ვთქვათ ორაზროვან წინადადებებზე და ცხადად და ხალსახად დავაფიქსიროთ რა ქვეყანას ვაშენებთ.

და ბოლოს, როგორც ღვთის მსახურმა, მინდა დავძინო, რომ მჯერა „ყველაფერი სასიკეთოდ მოგვეწევა“; მჯერა, რომ ყველა ნეგატიურ გამოცდილებაში არსებობს რესურსი მისი პოზიტიურად გარდაქმნისა. ამისი ნათელი მაგალითებია მუსლიმი თემის პრობლემები საქართველოში, რომლის შედეგადაც საოცრად გაიზარდა სოლიდარობის განცდა და ძალიან ბევრი ადამიანის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. ძალიან ბევრი გამოვიდა თავის ვიწრო ნაჭუჭიდან და დადგა მუსლიმი მორწმუნეების ლოცვის უფლების დასაცავად. სოლიდარობის საოცარი გამოვლინება იყო ის, რომ ადამიანები, რომლებსაც რამოდენიმე დღის წინ გარყვნილები ეძახეს და „ტაბურეტკებით“ სდიეს, გამოვიდნენ ქუჩაში იმათი ლოცვის უფლების დასაცავად, რომლებმაც არა თუ დაიცვა ისინი, არამედ გაამართლა კიდევაც ლგბტ-თემზე ძალადობა.

ალბათ, ძალიან გამიჭირდებოდა რაიმე პოზიტიურის მოძებნა 17 მაისს დატრიალებულ საშინელებაში, მაგრამ, რომ არა შარშანდელი და წლევანდელი 17 მაისები ერთ სივრცეში არავინ მოგვიწვევდა რელიგიური, ეთნიკურ და სექსუალური უმცირესობების პრობლემებზე სალაპარაკოდ. აქამდე ხომ ვერც ერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაცია, გარკვეული პოლიტკორექტულობის გამო, ვერ „ბედავდა“ არა თუ ჩვენს ერთად მოწვევას, არამედ ჩვენი პრობლემების ჩამონათვალის ერთ ნარატივში მოხსენებასაც კი ერიდებოდა. საზოგადოების მოწიფულობის მანიშნებელი ის კი არ არის რამდენ შეცდომას აირიდებს, არამედ ის, თუ როგორ უმკლავდება დაშვებულ შეცდომებს. ამ თვალსაზრისით, მგონი არ გვაქვს მთლად ცუდად საქმე.

„მაშ რა ვქნათ, ვცოდოთ, რათა მადლი გამრავლდეს“ – კითხვას სვამს პავლე მოციქული რომაელთა წერილში და ჩემდა უნებურად ეს ფრაზა გამახსენდა და იქვე პავლესეული პასუხი მოდის – „არამც და არამც!“

იმედი მაქვს, რომ მსგავსი პოზიტიური ცვლილებები ჩვენს ქვეყანაში ნეგატიური მოვლენების რესურსების იმედად არ იქნება დატოვებული.

იდენტობა, უცოდინრობა და შიში

იზაბელა სარგისიანი

ევრაზიის პარტნიორობის ფონდი–სომხეთი

ნება მიბოძეთ, რამოდენიმე კომენტარი გავუკეთო გუშინ ბ–ნ მიქაელიანის მიერ გაკეთებულ ზოგიერთ განცხადებას კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ რელიგიურ ორგანიზაციათა შესახებ სიტუაციის გადაჭარბებისა და დამადასტურებელი სამხილების გარეშე გაკეთებული ოფიციალური განცხადებას. ჩემს კომენტარებს დავაყრდნობ ორ კვლევით პროექტს, რომელიც ევრაზიის პარტნიორობის ფონდმა სომხეთში ნიდერლანდების საელჩოს დაფინანსებით განახორციელა. მათ შორის ბოლო კვლევა სომხეთში ჩატარდა, რაშიც ზემოაღნიშნულ საკითხებზეა საუბარი.

ორი კვლევიდან ერთი, რომელიც რელიგიურ ტოლერანტობის შესახებ საზოგადოების ხედვას, ხოლო მეორე, მედია მონიტორინგის შესწავლას დაეთმო, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ერევნის პრეს კლუბის მკვლევარების მიერაა მომზადებული.

კვლევა, რომელიც საზოგადოების ხედვის შესწავლისთვის ჩატარდა რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან და მკვლევარებთან ყოვლისმომცველ ინტერვიუებს დაეყრდნო. კვლევის ჩატარებისას შეირჩა ფოკუს–ჯგუფები სომხეთის მასშტაბით 4 დიდ ქალაქში – ერევანში, გაშარკუნიკში, შირაკსა და ლორში. კვლევის სათაურის ჩემეული ვერსია იქნება: ***იდენტობა, უცოდინრობა და შიში***. ნება მიბოძეთ, მიმოვიხილო თითოეული მათგანი.

იდენტობა: სასურველი იქნება მოკლე ისტორიული მიმოხილვის გაკეთება ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ქართველი მეგობრებისთვის, რაც რასაკვირველია ახალი არ არის, თუმცა საინტერესოა და ჩვენ შეგვეძლება ამაზე მოგვიანებითაც ვისაუბროთ.

მიუხედავათ იმისა, რომ სომეხი ერი, ქართველების მსგავსად ერთ–ერთი უხუცესია მსოფლიოში, იგი როგორც ერი–სახელმწიფო თანამედროვე სახელმწიფო მოწყობის პრინციპიდან გამომდინარე, საკმაოდ ახალგაზრაა. სომხეთმა თავისი დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვა, მანამდე კი მას რამდენიმე საუკუნის მანძილზე სახელმწიფოებრიობა არ ქონია. ოსმალეთის იმპერიის დროს, სომეხი ხალხის ცხოვრებას სომხური სამოციქული ეკლესია განკარგავდა. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, სომეხი კათოლიკები და პროტესტანტები არ წარმოადგენდნენ სომხური დომინანტური ეკლესიის ნაწილს და ხშირად სომხეთი სამოციქული ეკლესია მათ სომხებათაც კი არ მიიჩნევდა. შემისწორეთ თუ რამეს არასწორად ვამბობ. თურქების გამოდმოსახედიდან კი, ამ უკანასკნელს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია, ვინაიდან ისინი სხვა დანარჩენებთან ერთად და იმავე მიზეზით რომ სამოციქული ეკლესიის წევრები იყვნენ, დეპორტირებულნი იყვნენ და შემდეგ დახოცილებიც კი. თუმცა მრავალი ადამიანი, ვინც სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი იყო ამას საკუთარი იდენტობის მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევდა საუკუნეების მანძილზე. და ეს ისტორიული რეალობაა.

UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

როგორც უკვე ავღნიშნე სამწუხაროა, რომ სომხეთის რესპუბლიკა ახალი სახელმწიფოა, მაგრამ, რაც შეეხება სომხურ იდენტობას იგი სომხურ სამოციქულო ეკლესიასთან არის გადაჯაჭვული. ეს ის რეალობაა, რომელშიც ჩვენ გვიწევს ცხოვრება. ჩვენ სახელმწიფოებრიობისა და თანამედროვე რეალობის გამოცდილება არ გვაქვს, სადაც ყველა ეს მრავალფეროვნებაა თავმოყრილი, რაც ნამდვილ გამოწვევას წარმოადგენს ჩვენთვის, როგორც სომხეთის მოქალაქეებისთვის და სამოციქულო ეკლესიის მიმდევრებისთვის, ასევე მათთვის, ვინც სხვა კონფესიის წარმომადგენლები არიან. აი ეს გახლავთ მოკლე რაკურსი იდენტობის შესახებ.

მე მინდა მოვიყვანო ციტატა ერთ–ერთი კვლევიდან, რომელიც ამბობს, რომ სომხური სამოციქული ეკლესიის სასულიერო სწავლებები ეფუძნება თავად ეკლესიის ხედვას სომხური იდენტობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ეროვნებით სომეხი არის მხოლოდ სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი. ეს მეტად სამწუხარო განცხადებაა.

რიგით მეორე საკითხი უცოდინრობაა. საბედნიეროდ ან სამწუხაროდ სომხური საზოგადოება საკმაო უცოდინრობას ავლენს რელიგიური საკითხების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი აცხადებდა, რომ სამოციქულო ეკლესიის მიმდევარი იყო, მათ კვლევის ჩატარების დროს დასმულ მარტივ რელიგიური თუ დემოგრაფიული ხასიათის შეკითხვებსაც კი, ვერ უპასუხეს. ეს არის საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობა, როცა ათეიზმი ნორმას წარმოადგენდა, ასევე სხვა მემკვიდრეობაც სხვა დანარჩენ საკითხებთან მიმართებაში კერძოდ კი, სოციალური ხასიათის პრობლემების მიმართ. ამას ალბათ ერთი ახსნა აქვს, რომ ხალხს საკუთარი პრობლემებიც მრავლად აქვთ და დანარჩენებისთვის დრო აღარ რჩებათ. ამ ტიპის უცოდინრობა თავად ეკლესიურ საკითხებთან, ასევე რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაშიც იჩენს თავს. იმ კვლევამ, რომელზეც მე ზემოთ მოგახსენეთ ნათელი მოჰფინა ერთ საკითხს, რომ სიტყვა <u>მორწმუნე</u>–ს ნეგატიური კონოტაცია აქვს. ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ სიტყვა მორწმუნე ტერმინი <u>სექტანტი</u>–ის ეკვივალენტია და მორწმუნეები უმეტესწილად ევანგელისტურ კონფესიას მიეკუთვნებიან.

სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები მოწრმუნეებად არ მიიჩნევენ საკუთარ თავს იმ მიზნით, რომ სექტანტებთან არ იყვნენ ასოცირებულნი. ეს მეტად საინტერესო დაკვირვებაა და ადგილზე არსებულ რეალობას ასახავს. კიდევ სხვა გამოკითხვებით დგინდება, რომ რელიგია მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანთა ცხოვრებაში. დაახლოებით 85% ვინც გამოკითხვაში მიიღო მონაწილობა აცხადებს, რომ იყო მორწმუნე რაღაც ნეგატიურს ნიშნავს.

უსაფრთხოება, დაუცველობა და შიში, ეს ქვეყანაში არსებული რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ მთავარი გამოხატულებაა, რაც უმთავრესად გამოგონილ მითს წარმოადგენს. მთლიანობაში სურათი ისეთია, რომ ქვეყანაში ბევრი კონფესია არსებობს, თუმცა ყველაზე ბოლოს ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით (2011) დგინდება, რომ 2,8 მილიონი სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მიმდევარია, 14.000 კათოლიკეა, დაახლოებით 8,000 მართლმადიდებელია, 8,600 იეღოველი, დაახლოებით 30,000 ევანგელისტია, 241 მორმონი და 3,000 მალაკანი, და ა.შ. აღნიშნული ციფრები მართლაც უმნიშვნელოა, თუმცა შესაძლოა მარტო ჩემი გადმოსახედიდან იყოს ასე და სხვები ასე არ ფიქრობდნენ. მაგრამ მითი თუნდაც ამ მცირე მაჩვენებლების მიმართ, შიშს ნერგავს საზოგადოებაში, რაც შესაძლოა შემდგომში კონფლიქტში გადაიზარდოს, ისეთ მოუგვარებელ კონფლიქტში როგორიც მთიანი ყარაბახია ან უფრო დაძაბოს ისედაც დაძაბული ურთიერთობა თურქეთთან.

ხალხი შეუწყნარებელია მათ მიმართ ვისაც განსხვავებული რელიგიური ხედვები აქვთ, არა იმიტომ, რომ მათ ეს ხედვები რელიგიური გადმოსახედიდან არასწორად მიაჩნიათ, არამედ ისინი თვლიან, რომ მსგავსი შეხედულებები ეროვნული რელიგიისა და ეთნიკურობის მიმართ ღალატს ნიშნავს – ეს ერთობისა და ერთიანობის ბუნებაა.

აქედან გამომდინარე, ამგვარი მიდგომის აღიარება ავტომატურად აქცევს მრავალფეროვნების საკითხს ეროვნული უსაფრთხოების მიმართ საფრთხეების მატარებელ გარემოებად. ეს არის გავრცელებული მიდგომა, რაც უსაფრთხოების გაძლიერებასთან და ერთიანობის დამკვიდრებასთან ასოცირდება მტრის მიერ ალყაში მოქცევის დროს. აი ამ კონტექსტში კი, სარწმუნოებრივი ან დოგმატური განსხვავებები ევანგელისტურ ეკლესიასა და კათოლიკურ ეკლესიას ან სომხურ სამოციქულო ეკლესიას შორის, რაშიც სავარაუდოდ ხალხი ვერ ერკვევა, უკვე კარგავს მნიშვნელობას.

არსებობს მღვდლის იმიჯი, რომელმაც ჯვარზე დაიფიცა და რომელიც ისეთივე დოგმატური ხედვის მატარებელია, როგორც მაგალითად ჩვენ შუასაუკუნეებში გვქონდა, და კვლავ ვიმეორებ, რომ ეს ყარაბახის თემას აძლიერებს. ეს არის მითი, რომელიც საზოგადოებაში კვლავ ფეხგადგმულია.

დაბოლოს, ჩემს დასკვნას რეკომენდაციის სახეს მივცემ. მიმაჩნია, რომ ტოლერანტობის დარგში განათლების მიღებას მეტად მნიშვნელოვანი დატვირთვა ეძლევა, რაშიც სასკოლო დონეზე განათლების მიღებაც იგულისხმება. ასევე ვთლი, რომ ეუთოს ტოლედოს სახელმძღვანელო პრინციპები საკმაოდ გამოსადეგი იქნება ამ თვალსაზრისით. სომხეთის სამოციქულო ეკლესიისთვის და ასევე ჩვენთვისაც, ვინც სომხეთში ვცხოვრობთ მეტად სასარგებლო იქნება თუკი გავხდებით მოდერნიზაციის მომსწრენი თუ როგორ უნდა იცხოვროს სეკულარულ ქვეყანაში სახელმწიფოებრიობის მქონმა ერმა. ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ დღემდე დიასპორაში აღარ ვცხოვრობთ და აღარ არის საჭირო ჩვენი იდენტობის შენარჩუნება, ჩვენ უკვე გვაქვს ჩვენი იდენტობა, ჩვენ ერი–სახელმწიფო ვართ და რაც ყველაზე ძალიან გვესაჭიროება არის ცოდნა, თუ როგორ ვიცხოვროთ მასში და როგორ დავძლიოთ ჩვენს წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემა.

UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

რელიგიის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებული მდგომარეობა საქართველოში

ბექა მინდიაშვილი

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან
არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი

საქართველოში რელიგიის თავისუფლების და ტოლერანტობის კულტურის დაცვის თვალსაზრისით შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე მნიშვნელოვანი რობლემა:

- პრობლემა საკანონმდებლო დონეზე. რელიგიური გაერთიანებები უთანასწორო საგადასახადო რეჟიმით სარგებლობენ, რაც გულისხმობს მიწის გადასახადსა და დღგ-ს გადახდის განსხვავებულ პირობებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან მიმართებაში.
- დაფინანსება - წლების განმავლობაში მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ფინანსდება სახელმწიფო დოტაციის წესით. გამოდის, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას აფინანსებენ ის გადამხდელები, რომლებიც არ არიან მართლმადიდებლები.

სახელმწიფოს კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე ნაკისრი აქვს ვალდებულება დაუბრუნოს ან აუნაზღაუროს საპატრიარქოს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონება, ანალოგიური რამ არ ევალება სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ. სომხური სამოციქულო ეკლესია, კათოლიკური ეკლესია, ლუთერანული ეკლესია, მუსლიმთა თემი და იუდაური თემი წლების მანძილზე უშედეგოდ ითხოვენ სახელმწიფოს მიერ მითვისებული ქონების (ტაძრების) დაბრუნებას. ამავდროულად, ეს არის სხვადასხვა რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების გამომწვევი პოტენციური მიზეზიც. ამასთანავე, პრობლემის მოუგვარებლობის გამო, ტაძრები, რომლებიც წარმოადგენენ ისტორიულ ძეგლებს, ინგრევა ან მიზანმიმართულად იცვლება მათი გარეგნული იერ-სახე. 6 ეკლესიიდან, რომელსაც მოითხოვს სომხური სამოციქულო ეკლესია, დანგრეული ან უკიდურესად დაზიანებულია; 3 დანარჩენიც საჭიროებს სწრაფ რეაბილიტაციას. ე.წ სადაო კათოლიკე ეკლესიების წინაშე დგას იერ-სახის ცვლილების პრობლემა. ლუთერანულ ეკლესიებში დაფუძნებას ცდილობს მართლმადიდებლური ეკლესია და მეჩეთების ნაწილი სავალალო მდგომარეობაში იმყოფება.

სამართალდამცავების მხრიდან რეაგირების საკითხი - წლების განმავლობაში სამართალდამცველები ვერ იჩენდნენ სათანადო რეაგირებას რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულზე. გამოძიება ან არ არის დაწყებული, ან ჭიანურდება, ან დაწყებულ გამოძიებას არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. წლების მანძილზე უშუალოდ რელიგიური სიძულვილის ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე არც ერთი ადამიანი არ არის მიცემული პასუხისმგებლობაში. განსაკუთრებული სიმწვავით ამ პრობლემებმა თავი იჩინა ბოლო პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მუსლიმური თემის წინააღმდეგ განხორციელებული პერმანენტული თავდასხმებისა და დევნის დროს. სამართალდამცველების უმოქმედობა დღესდღეობით არის მთავარ პრობლემა რელიგიური ნიშით ჩადენილი ქმედებების გამრავლებისა.

საჯარო განათლება და რელიგიური დისკრიმინაცია - მიუხედავად იმისა, რომ კანონი ზოგადი განათლების შესახებ კრძალავს დისკრიმინაციას, პროზელიტიზმს, ინდოქრინაციას და რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური მიზნით გამოფენას, საჯარო სკოლები ამ კუთხით ვერ უძლებენ ვერანაირ კრიტიკას. კანონი არ სრულდება და ადგილი აქვს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის მრავალ შემთხვევას.

სიძულვილის ენა - ერთერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა არის შეუწყნარებელი დამოკიდებულების გამოხატვა მედიაში საჯარო ფიგურების, სასულიერო პირების და პოლიტიკოსების მხრიდან. რელიგიური გაერთიანებების საქმიანობა ხშირად შუქდება სტერეოტიპურად ან მეორე მხრივ საერთოდ არ შუქდება რელიგიურ თემატიკასთან დაკავშირენული პრობლემატური საკითხები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ნაციონალური ტელემედიისათვის არის დამახასიათებელი.

რელიგიური ორგანიზაციების უფლებები და შესაძლებლობები სომხეთში

ანუშ მარგარიანი

სომხეთის რესპუბლიკის ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაცია, იურიდიული ანალიზის დეპარტამენტი

აღნიშნული პრეზენტაციის მომზადებისას, მთავარ უპირატესობას მივანიჭებდი სომხეთში არსებული საკანონმდებლო ბაზის, საკანონმდებლო მასალებისა და რელიგიისა და მრწამსის სპეციფიური მარეგულირებელი დოკუმენტების განხილვას, ასევე გარკვეულ აქცენტებს თავად რელიგიური ორგანიზაციების უფლებამოსილებებსა და ამ კუთხით არსებულ დისკრიმინაციის ზოგიერთ შემთხვევაზეც გავაკეთებ, რომლებიც დაფიქსირებულ იქნა სომხეთის ადამიანის უფლებების დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ და რომელთა მიმართ გარკვეული საკანონმდებლო ინიციატივები განხორციელდა. ნათელია, რომ ამ ფორმატში აღნიშნული სფეროს სრული მიმოხილვა ვერ მოხერხდება, თუმცა მიმდინარე დოკუმენტში განვიხილავ ამ სფეროში არსებულ საბაზისო მდგომარეობას, ასევე ამ თვალსაზრისით საინტერესო და პრობლემურ ასპექტებსაც მიმოვიხილავ.

ქვეყანაში რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლება სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციითაა დაცული, ასევე სხვა საერთაშორისო ფუნდამენტური დოკუმენტებით, როგორიცაა სამოქალო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (**ICCPR),** ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომლის წევრია სომხეთის რესპუბლიკა და რაც შესაბამისი წესით ავალდებულებს მას აღიაროს და შეასრულოს საერთაშორისო დოკუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებები, ასევე სხვადასხვა საკანონმდებლო დოკუმენტში არსებული დებულებებით, რომლებიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი წესით უკავშირდება სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას როგორიცაა: სომხეთის კანონები „სომხეთის რესპუბლიკასა და სომხეთის წმინდა სამოციქულო ეკლესიას შორის“, „ბავშვთა უფლებების შესახებ“, „ტელევიზიისა და რადიო მაუწყებლობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც იკრძალება რელიგიური შეუმწყნარებლობის ქადაგება, ასევე „შრომის კოდექსი“, რომლის 132–ე მუხლით განისაზღვრება, რომ „დამქირავებელს არ აქვს უფლება მოიპოვოს ან ფლობდეს ინფორმაციას დაქირავებულის პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებების შესახებ“ და ასევე მოქმედი კანონით „სინდისისა და რელიგიის თავისუფლებასა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ სადაც მრავალი საკითხია, რომელიც განხილვას საჭიროებს. განსაკუთრებით კი, წინამდებარე კანონის 1–ი მუხლი, რაც ადგენს სინდისისა და რელიგიური თავისუფლების დაცვას სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის, როცა კონსტიტუციის 26–ე მუხლით განისაზღვრება, რომ „ყველას აქვს უფლება დაიცვას საკუთარი ფიქრის, სინდისისა და რელიგიური მრწამის უფლება“, ასე რომ ყურადღებას იპყრობს მოქმედი კანონის დებულებათა შეუსაბამობა ქვეყნის კონსტიტუციის 26–ე მუხლთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე–9 მუხლსა და სამოქალო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე–18 მუხლთან.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც განხილვას საჭიროებს შეეხება თავად ტერმინების „რელიგიური ჯგუფები“–სა და „რელიგიური ორგანიზაციები“–ის განსაზღვრას იმ მიზნით, რათა ნათელი გახდეს თუ რა უფლებები აქვთ ქვეყანაში არსებულ ყველა რელიგიურ ასოციაციას და რა უფლებების დაცვა შეუძლიათ მათ ვინც ქვეყანაში რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ. აღნიშნულისა და ასევე სხვა დამატებითი რელევანტური საკითხების გათვალისწინებით სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადდა სრულიად განსხვავებული კანონ–პროექტი „სინდისისა და რელიგიური თავისუფლების დაცვის შესახებ“, ასევე სომხეთის რესპუბლიკის კანონში „სომხეთის რესპუბლიკასა და სომხეთის წმინდა სამოციქულო ეკლესიას შორის ურთიერთობის შესახებ“ შევიდა ცვლილება, ასევე შევიდა ცვლილება „ადმინისტრაციული კანონდარღვევების კოდექსში“, შევიდა ცვლილებები „სისხლის სამართლის კოდექსში“. კანონმდებლობაში დადებითი ცვლილებების შედეგად, სინდისის, რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლების დაცვა ყველა ადამიანს შეუძლია და არა მხოლოდ მათ, ვინც სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეა; გარდა ამისა დამკვიდრდა რელიგიური ასოციაციების უფრო ლიბერალური განსაზღვრება, რაც საერთაშორისო სტანდარტებთან მოდის შესაბამისობაში. კანონ–პროექტით განისაზღვრება, რომ რელიგიური ასოციაციები როგორც რელიგიური ჯგუფები ისე კლასიფიცირდება, სადაც გაწევრიანებულია 25–მდე ზრდასრული პიროვნება და სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე ფუნქციონირებენ ქვეყანაში, ხოლო რელიგიურ ორგანიზაციებს, რომელთაც 25–ზე მეტი ზრდასრული მიმდევარი ჰყავთ, ისინი აუცილებელ სახელმწიფო რეგისტრაციას საჭიროებენ როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სომხეთში, ერთი მხრივ, რელიგიურ ასოციაციებს (ის ჯგუფები სადაც 25–მდე მიმდევარია გაწევრიანებული) რეგისტრაციის გარეშე შეუძლიათ ფუნქციონირება, რაც მოქმედ კანონში არ იყო გათვალისწინებული და რომელი საკითხიც ვენეციის კომისიის მიერ იქნა წამოყენებული. მეორე მხრივ კი, იქმნება სირთულეები ადმინისტრაციული კონტროლის მეთოდების დაწესებასთან დაკავშირებით, რათა გაკონტროლდეს მიმდევართა ის შეზღუდული რაოდენობა, რის მიხედვითაც ესა თუ ის ჯგუფი აუცილებელ რეგისტაციას არ საჭიროებს. ახალი კანონ–პროექტით დგინდება გარკვეული უფლებამოსილებათა პაკეტი რელიგიური ასოციაციებისთვის, როგორიცაა მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მათი წევრებისა და მიმდივრების უფლებებისა და ლიგიტიმურ ინტერესთა დაცვა სხვა ორგანიზაციებთან (სასამართლო, სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმართველობის ინსტიტუციები), ასევე მათ აქვთ უფლება ითანამშრომლონ სხვა რომელიმე არაკომერციულ ორგანიზაციასთან, ასევე ჩაატარონ საკუთარი რელიგიური აღმსარებლობა, ცერემონია და რიტუალები როგორც საკუთარ ტაძრებში, ასევე შენობებში და არა მარტო იმ ადგილებში სადაც მლოცვარეობას აღასრულებენ, არამედ სასაფლაოს ტერიტორიაზეც. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ კანონ–პროექტის წინა ვერსიაში არ იყო ნათლად წარმოდგენილი რამდენად ამომწურავად იყო რელიგიური ჯგუფების უფლებამოსილეობები მითითებული შესაბამის დებულებაში, რაც უნებლიეთ შესაძლოა გამხდარიყო მათ უფლებებზე შეზღუდვების დაწესების მიზეზი. თუმცა, მომზადდა დამატება ცალკე მუხლის სახით, რითაც დგინდება, რომ რელიგიურ ასოციაციებსა და ჯგუფებებს აქვთ უფლება აწარმოონ ყველა ის საქმიანობა, რაც არ მოდის წინააღმდეგობაში კანონებთან.

ზემოაღნიშნული კანონ–პროექტი, ვენეციის კომიისისა და ეუთო/ODHR–ის საერთო მოსაზრებით, (2011 წლის 17 ოქტომბერი, სტრასბურგი) აღიარებულ იქნა როგორც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი საკანონმდებლო ინიციატივა, რაც არსებულ კანონთან შედარებით მნიშვნელოვანი წინსვლის მაჩვენებელია, მიუხედავად იმისა, რომ მასში გარკვეული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა კვლავაც არსებობს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიის ყოველი რეკომედაცია იქნა მხედველობაში მიღებული. მაგალითად, მთავარ ცვლილებად ითვლება თავად ტერმინის „პროზელიტიზმის (რელიგიურ რჯულზე მოქცევა)“ შეცვლა, რაც ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს რელიგიური თავისუფლების, რაც ხშირად როგორც ინდივიდუალურ ხასიათს, ასევე რელიგიური ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ქმედებას წარმოადგენს. მოქმედი კანონის თანახმად რელიგიურ რჯულზე მოქცევა კანონის ძალით იკრძალება, რაც ახალ კანონ–პროექტში შეიცვალა და ეს ცვლილება განისაზღვრა აღნიშნული ტერმინის მცირედი მოდიფიცირებით “უმართებულო პროზელიტიზმი (რელიგიურ რჯულზე მოქცევის არასწორი წესი და ფორმა). თუმცა აქვე უნდა აღნიშნოს ისიც, რომ აუცილებელია დეტალურად განისაზღვროს აღნიშნული ტერმინის არსი მომავალში ნებისმიერი არბიტრაჟული ინტერპრეტაციის ვარიაციებისაგან თავის არიდების მიზნით. კიდევ

ერთი მაგალითი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია და რელიგიური ორგანიზაციების მართებულად ფუნქციონირებას შეეხება არის ის, რომ კანონ–პროექტის პირველი ვერსიის ფარგლებში განიხილებოდა რელიგიური ორგანიზაციების უცხოური წყაროებიდან დაფინანსების მიღების სრული აკრძალვის საკითხი. ვენეციის კომისიის დირექტივები, რაც ქვეყანაში რელიგიისა და რელიგიური მრწამსის შესახებ საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვას ითვალისწინებს, ადგენს, რომ „სახელმწიფო ფლობს სხვადასხვა ტიპის ლეგიტიმურ მიზეზს, რათა არეგულიროს სხვადასხვაგვარი ფულადი სახსრების მიმოსვლა ქვეყანაში“. თუმცა, ამ ტიპის სრული აკრძალვა ყოველი სახის უცხოურ დაფინანსებაზე (განსაკუთრებით კი, უცხოელი კერძო პირების მხრიდან) არაკეთილგონივრულია, განსაკუთრებით „დემოკრატიული საზოგადოებისთვის“, რაც ასევე ახალი კანონ–პროექტის მე–4 მუხლისა და ECHR–ის მე–9 მუხლის მე–2 ქვეპუნტქტის თანახმად უნდა და დაწესდეს. ასევე ცნობილია, რომ ეუთოს ყველა წევრმა ქვეყანამ უნდა დაიცვას რელიგიური ორგანიზაციების უფლებები „მათ შეძლონ ნებაყოფლობითი ფინანსური ან სხვა ტიპის შემოწირულობების მიღება“. არსებული მდგომარეობით, სრული აკრძალვა გაუქმებულია და კანონ–პროექტის ბოლო ვერსიის თანახმად, რელიგიურ ორგანიზაციებს აქვთ უფლება მიიღონ დაფინანსება უცხო ქვეყნებიდან და როგორც იურიდიული, ასევე კერძო წყაროებიდან მათი წლიური დასაბეგრი შემოსავლების 10%–ზე ნაკლები თანხის ოდენობით, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ, მინიმალური სახელფასო განაკვეთის 700–1000– ჯერ მეტი თანხის ჯარიმა დაეკისრებათ.

აღნიშნული კანონ–პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სომხეთის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დამცველის ინიციატივით გაიმართა დისკუსია „სინდისისა და რელიგიის თავისუფლების“ შესახებ კანონ–პროექტთან დაკავშირებით, რომელსაც ესწრებოდნენ სომხეთის სამოციქულო ეკლესიის, სომხეთის ევანგელიკური საეკლესიო ოჯახის, იესო ქრისტეს ბოლო წლების წმინდანთა ეკლესიისა და სხვა ეკლესიების წარმომადგენლები, ასევე საზოგადო მოღვაწეები და ექსპერტები: ჯრანუშ ხარატიანი, ვარდან ხაჩატურიანი, სტეპან დანიელიანი, ჰორვანე ჰორვანისიანი და სხვები. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ფონდი ღია საზოგადოება–სომხეთისა და დემოკრატიის საკითხებზე მომუშავე NGO–ის წარმომადგენლებიც. განხილვის დროს შეხვედრის მონაწილეებმა ერთამნეთს გაუზიარეს იდეები და მოსაზრებები აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით მისი მოდიციფირების როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებს ეთხოვათ წარმოედგინათ საკუთარი რეკომენდაციები კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ, რაც მოგვიანებით ადამიანის უფლებათა დამცველის თანამშრომელთა მიერ შეჯამდა და გაანალიზდა. 19 სექტემბრის დისკუსიის შედეგების შეჯამებისას, სომხეთის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დამცველმა წარმოადგინა რიგი რეკომენდაციებისა, რაც იუსტიციის სამინისტროს უნდა წარედგინოს, რომელთა შინაარსი სომხეთში რელიგიური თავისუფლების შელშეწყობა და რელიგიურ ორგანიზაციებზე ყოველგვარი შეზღუდვების მოხსნას შეეხება. მიმდინარე პერიოდში, ადამიანთა უფლებების დამცველის თანამშრომელთა მიერ სრულდება რეკომენდაციების ახალი პაკეტის მომზადება კანონ–პროექტის ბოლო ვერსიისათვის. ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ აღნიშნულ კანონში ცალკე მუხლის დამატება მთავარი კონცეფციების განსაზღვრებებთან დაკავშირებით, რაც ზოგადი დებულებების თავში შედის, რათა ნათლად განვმარტოთ იურიდულ კონცეფციათა შინაარსი მომავალში ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად.

აღნიშნული თემატიკიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ ასევე მოკლედ მიმოვიხილო დისკრიმინაციის შემთხვევებიც, ვინაიდან რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლება, განსაკუთრებით კი უმცირესობათა რელიგიური თავისუფლება და დისკრიმინაციის აკრძალვა უშოალოდ დაკავშირებულია ერთმანეთან. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სომხეთის რესპუბლიკის უფლებათა დამცველი განიხილავს ყველა საჩივარს ნებისმიერი ტიპის დისკრიმინაციის თაობაზე, მათ შორის მათაც, რომლებიც რელიგიური უმცირესობების მიერ არის განსახილველად შემოტანილი. არსებობს რამოდენიმე საჩივარი ადამიანის უფლებათა დამცველის თანამშრომელთა სახელზე, რაც იაღოვას მოწმეების მიერ ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის საკითხებს შეეხებოდა. იაღოვას მოწმეთა უმრავლესობა, განსაკუთრებით მამაკაცები უარს აცხადებენ ალტერნატიულ სამხედრო სამსახურზე იმ მიზეზით, რომ მათი კონტროლი სამოქალაქო პირების მიერ არ ხორციელდება. აღნიშნული დადებითად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან გარკვეული ნაბიჯები იდგმება „სამხედროს ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის შესახებ“

კანონის განახლებისაკენ. კანონში ჯერ ცვლილებები არ შესულა იმ მიზეზით, რომ ქვეყანაში 50–ზე მეტ ადამიანს თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი და საპატიმროში იმყოფებიან სავალდებული სამხედრო სამსახურიდან თავის არიდების ბრალდებით. ვენეციის კომისიამ აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თუკი ეროვნული ასსამბლეის მიერ მოხდა ამ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მაშინ აღნიშნული ჩაითვლება სწორი მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად და ძალისხმევად იმისა, რომ იგი შესაბამისობაში იქნასმოყვანილი საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც სამედრო სამსახურზე მორალური/რელიგიური მიზეზებით უარის თქმასთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, ვენეციის კომისიამ ხაზი გაუსვა ალტერნატიული სამსახურის ხანგრძლივობას, რომელიც 42 თვე გრძელდება 24–თვიან სამხედრო სამსახურისგან განსხვავებით, რაც საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. ის ფაქტი, რომ ECHR–ის მიერ მოხდა მისი პოზიციის დაფიქსირება აღნიშნულ კანონში მყისიერი ცხლილებების შეტანის აუცილებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაზე, საკმაოდ შემაშფოთებლად ჟღერს. *(„ბაიათიანი სომხეთის წინააღმდეგ“ საქმე, 2011 წლის 7 ივლისი)*. 2012 წლის ოქტომბერში, სომხეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ მოზადდა „ალტერნატიული სამსახურის კანონში შესატანი ცვლილებები და კანონ–პროექტი სომხეთის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შესახებ. ცვლილებების მომზადების მიზანს ზემოხსენებული პრობლემების მოგვარება წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული ძალისხმევის მიუხედავად, კანონ–პროექტებში გარკვეული საკითხები მაინც ყურადღების მიღმა დარჩა, რაც ადამიანის უფლებათა დამცველის მიერ დამატებითი რეკომენდაციების მომზადების მიზეზი გახდა. მე აქვე მაგალითის სახით მოვიყვან ერთ–ერთ მათგანს. სომხეთის კანონის „სამხედრო ალტერნატიული სამსახურის შესახებ“ კანონ–პროექტის მე–3 მუხლით გათვალისწინებულია ალტერნატიული სამსახურისა და აუცილებელი სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობა, რომლითაც პირველი (ალტერნატიული სამსახური) განისაზღვრება 36 თვით, ხოლო მეორე (სამხედრო) 30 თვით. ვენეციის კომისიის 2011 წლის 16–17 დეკემბერის დასვნის მიხედვით „ალტერნატიული სამსახურის შესახებ“ კანონში შესატანი დამატებებისა და ცვლილებების შესახებ კანონ–პროექტში მოყვანილი ალტერნატიული და სავალდებული სამხედრო სამსახურების ხანგრძლივობა არ არის საკმარიდან დასაბუთებული, რამაც შესაძლოა დისკრიმინაციისთვის შესაფერისი ნიადაგი შექმნას. ევრო საბჭოს N R (87)8 რეკომენდაციის მიხედვით, იმ შემთხვევებში, როცა სავალდებული სამხედრო სამსახურის ხანგრძლოვობასა და ალტერნატიულ სამსახურის ვადებს შორის განსხვავებაა, მაშინ აღნიშნული დროის მონაკვეთი რაციონალური უნდა იყოს. მსგავსი მოსაზრება გამოთქმულ იქნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ. მოქმედი კანონით აღნიშნულ ორ ვადას შორის განსხვავების შემცირება მხარდაჭერილია, თუმცა ალტერნატიული სამსახურის ვადის საგრძნობი განსხვავება არ შეესაბამება როგორც ვენეციის კომისიის, ასევე ევროპის საბჭოსა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებებს, რაც მათი განმარტებით დისკრიმინაციის წარმოქმნის საშიშროებას ქმნის. აქედან გამომდინარე, ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება ორივე ტიპის სამსახური 30–თვიანი ხანგრძლივობით განისაზღვროს. აღნიშნულმა პროცესებმა პოზიტიური ცვლილებები გამოიწვია იმ თვალსაზრისით, რომ კანონი უკვე ეროვნულ ასსამბლეას წარედგინა განსახილველად.

დამატებით უნდა აღინიშნოს ის, რომ დისკრიმინაცია სომხეთის კანონმდებლობით არის აკრძალული, კერძოდ კი, სომხეთის კონსტიტუციით, სისხლის სამართლის კოდექსითა და სომხეთის საოჯახო სამართლით. თუმცა, არსებობს დისკრიმინაციის რიგი შემთხვევები, რომელთა შესახებ ადამიანის უფლებათა დამცველს მიმართავენ ზამოაღნიშნულის მსგავსად რელიგიისა და რელიგიური რწმენის საკითხებზე. ამ მომენტისათვის, სომხეთში არ არსებობს ცალკე კანონი დისკრიმინაციის შესახებ, რომელიც დაიცავდა ქალთა, მოხუცთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და უმცირესობათა წარმომადგენლების უფლებებს. ENP–ის სომხეთის ქვეყნის ანგარიშში 2011 ნახსენები იყო ანტი–დისკრიმინაციის წინააღმდეგ ამომწურავი საკანონმდებლო ბაზის შექმნა როგორც ENP–ის სამოქმედო გეგმა 2012–ის განსახორციელებელი ინიციატივა. ჩვენ, სომხეთის ადამიანის უფლებათა დამცველთა ჯგუფმა, რასიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხებზე მომუშავე ევრო–კომისიის ექსპერტების, ეუთოს, ეუთო/ODHR, ევრო–კომისიის მრჩეველებთან თანამშრომლობით, ანტი–დისკრიმინაციის კანონის სამუშაო ვერსია შევიმუშავეთ.

ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად, სომხეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო ანტი–დისკრიმინაციული პოლიტიკის მთავარ ასკექტებს უნდა წარმოადგენდეს შემდეგი:

1) ადამიანის და/ან ადამიანთა ჯგუფის უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა;
2) ადამიანის და/ან ადამიანთა ჯგუფის თანასწორობა კანონის წინაშე;
3) ნებისმიერი ადამიანის პირადი ღირსების პატივისცემა;
4) კანონის წინაშე ადამიანის და/ან ადამიანთა ჯგუფის თანასწორ შესაძლებლობათა უზრუნველყოფა;
5) პრევენციული ზომების და წინააღმდეგობის გაწევის დროს ეფექტური და საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფა;
6) კანონით აკრძალული დისკრიმინაციული მოპყრობისთვის პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.

კანონით დგინდება განსაზღვრებები იმისა თუ რას წარმოადგენს პირდაპირი, არაპირდაპირი თუ სხვა სახის დისკრიმინაცია რელიგიის და რელიგიური მრწამსის თავისუფლების დაცვის კონტექსტში. კანონით ასევე განისაზღვრება უმცირესობებისა და არასაკმარისად წარმოდგენილი ჯგუფების დაცვის ეფექტური მექანიზმები, რაც ანტი–დისკრიმინაციული უწყების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, რის აუცილებლობაზეც ევრო–კომისიის მიერ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებებიც ცხადყოფს, სადაც ასევე განმარტებულია, რომ სომხეთში სპეციალური უწყების როლში, რომელსაც აღმასრულებელი/ძალოვანი სტრუქტურისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეუძლია, ადამიანის უფლებათა დამცველის აპრატია. აქედან გამომდინარე, ანტი–დისკრიმინაციული კანონ–პროექტის მიხედვით, ანტი–დისკრიმინაციული უწყების ფუნქციებს სომხეთის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დამცველი შეასრულებს, რაც დისკრიმინაცის შედეგად დაზარალებულთა უფლებების დაცვისა და დამნაშავეთა სტანდარტული დასაბუთების წესით გასამართლების ალტერნატიული საშუალება გახდება.

შევეცდები მოკლე განმარტებით შევაჯამო ყოველივე ზემოაღნიშნული, რაც რელიგიური ორგანიზაციების უფლებებსა და შესაძლებლობებს, ასევე არსებულ პრობლემებსა და სომხეთში მოქმედ საკანონმდებლო ბაზას შეეხება, რაც არაერთელ ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ ამ სფეროს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში რეგულირება არა მხოლოდ სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის საშუალებითაა შესაძლებელი, არამედ იმ ეფექტური მექანიზმით, რამაც რელიგიური ორგანიზაციების უფლებებისა და რელიგიისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლების დაცვა უნდა უზრუნველყოს კანონებით განსაზღვრული უკიდურესად პრაქტიკული და შესრულებადი დებულებების შესაბამისად.

დისკუსია რელიგიურ უმცირესობებისა და მართმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობების შესახებ საქართველოში

- **გიორგი ზვიადაძე (სასულიერო აკადემიის რექტორი)**

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რატომ არ მონაწილეობს მართმადიდებელი ეკლესია ტოლერანტობის ცენტრის მუშაობაში, ამის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ საპატრირქოსთან მუშაობს ინტერ-რელიგიური საბჭო, რომლის კარიც ღიაა ყველასთვის. საპატრიარქოს პოზიციაა, რომ ყველა ორგანიზაცია იღებდეს ამ ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას. თუ საბჭოს მუშაობაში ვინმეს მოწვევა არ მოხდა, ისინიც აუცილებლად უნდა იქნენ მოწვეულნი. ჩვენი პოზიციაა დიალოგის რეჟიმში განიხილებოდეს ყველა საკითხი, მათ შორის ყველაზე მწვავე საკითხებიც კი. მაგალითისათვის, როდესაც შედგა საკონტუტუციო შეთანხმების ტექსტი ის ყველას გადაეგზავნა კომენტარებისთვის, მათ შორის რელიგიურ ჯგუფებსაც.

მეორე მიზეზი, რატომაც არ ვმონაწილეობთ ტოლერანტობის ცენტრის მუშაობაში არის ის რომ, სახეზე გვაქვას ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელისგან წახალისებული, ცალმხრივი დისკრედიტაცია მართმადიდებელი ეკლესიის მიმართ. ასევე, სახეზეა მოვლენების ცალმხრივად გაშუქება.

- **ბექა მინდიაშვილი (ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი)**

მიმაჩნია, რომ ერთობლივად უნდა განვიხილოთ ყველა პრობლემური საკითხი. მაგალითისათვის უნდა მოვიყვანო ის ფაქტები, რაც მართმადიდებელი ეკლესიის მიერ შერაცხულია დისკრედიტაციად. 2006 წ. სახალხო დამცველი ანგარიშით წარსდგა პარლამენტის წინაშე, სადაც ისაუბრა, რომ კონსტიტუციური შეთანხმება ჰქმნის დისკრიმინაციულ გარემოს სხვა რელიგიური ჯგუფების მიმართ, რასაც საპატრიარქო ოფიციალური განცხადებით გამოეხმაურა და ეს ფაქტი შერაცხა, როგორც დისკრედიტაცია მართამადიდებელი ეკლესიის.

- **დავით ჩიკვაიძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანონიკური სამართლის დოქტორი)**

მინდა ავღნიშნო, რომ მართმადიდებელი ეკლესიის დაცვის საკითხები, არასოდეს არ გაჟღერებულა სახალხო დამცველის ანგარიშებში. მაგალითისათვის, 17 მაისის მოვლენების შემდეგ, რა ნიაღვარიც წამოვიდა ეკლესიის მიმართ, როგორიცაა "მოძველებული" და ასე შემდეგ, არ იქნა გაპროტესტებული და მაინტერებს, აისახება თუ არა 17 მაისის მოვლენების ობიექტური ანალიზი მომდევნო ანგარიშში, რომელშიც შევა, როგორც სასულიერო პირების მიერ ჩადენილი ქმედებები და ასევე ეკლესიის მისამართით წამოსული ისტერია. ასევე მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ ცალკეული მონასტრების მდგომარეობა, მონაზვნების დარბევა არასოდეს არ შესულა სახალხო დამცველის ანგარიშში. ეს ფაქტებიც უფლებების დარღვევაა, როგორც სხვა ნებისმიერი რელიგიური ჯგუფის.

ისტორიული ტაძრების სომხური ეკლესიისათვის გადაცემის საკითხს როდესაც განვიხილავთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სომხური ეკლესიები ექვემდებარება ეჩმიადინის და მათი პირდაპირ გადაცემა ნიშნავს სომხური ეჩმიადინისათვის გადაცემას. ამან სულ მცირე კი ნაცვალგების საკითხი უნდა წამოწიოს წინ, რასაც გარკვეული სამართლებრივი საფუძველი აქვს.

UNITED NATIONS HUMAN RUGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

- **ლევონ ისახანიანი (სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელი საქართველოში)**

სომეხთა ეპარქია წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციაში შექმნილ იურიდიულ პირს; საეკლესიო სამართალს კი არ გააჩნია იურიდიული ძალა საქართველოში. სომხური ტაძრების გადაცემა ნიშნავს იმას, რომ მრევლი რომელიც საქართველოს მოქალაქეა, დაიბრუნებს ისტორიულ მემკვიდრეობას. სხვა შემთხვევაში კი ეს განიხილება, როგორც დისკრიმინინაციული მიდგომა.

- **გიორგი ზვიადაძე (სასულიერი აკადემიის რექტორი)**

ხაზი მინდა გავუსვა იმ ფაქტს, რომ სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები რაიმე პრეტენზიაზე მართამადიდებელი ეკლესის მიმართ კი არ საუბრობდა, არამედ წამოაყენა საკითხები სახელმწიფოს მისამართით. მაგრამ მინდა ავღნიშნო, რომ ვვფიქრობდი ისაუბრებდით იმ ხელშეწყობაზე, რასაც თქვენი ეპარქია ღებულობს მართმადიდებლური ეკლესიის მიერ. ასევე, მინდა კიდევ ერთხელ წარმოჩდეს ის კონსტრუქციული დამოკიდებულება, რაც ჩვენ ეკლესიებს შორის არსებობს. ჩვენ შევთანხმდით, რომ სადაო ეკლესიებში საკითხის გარკვევამდე არ გამართულიყო ღვთისმსახურება. შეიქმნა ერთობლივი კომიისია, სადაც პირველ რიგში რესტავრაციის საკითხებზე ვმუშაობთ. მიმაჩნია, რომ ორ ეკლესიას შორის პრობლემები არ არსებობს.

სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შესახებ, მიმართული საქართველოს ხელისუფლებისადმი

ლელა ხონელიძე

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან
არსებული ტოლერანტობის ცენტრის წევრი

სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო, თავის არსებობის 8 წლიან ისტორიას ითვლის. ამ ხნის მანძილზე საბჭოში შემავალმა 24 რელიგიურმა გაერთიანებამ, ტოლერანტობის ცენტრის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით არაერთი მნიშვნელოვანი საქმე განახორციელა, რის გამოც მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ბატონ ბექას და მის გუნდს დიდი მადლობა გადავუხადო. ტოლერანტობის ცენტრი არაერთხელ ყოფილა რელიგიური უმცირესობების ქომაგი, რელიგიათა შორის ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშემწყობი და ზოგადად ქვეყანაში ტოლერანტული გარემოს განვითარების მხარდამჭერი.

სწორედ მათი ხელშეწყობით რელიგიათა საბჭოში შემავალმა რელიგიურმა გაერთიანებებმა 2012 წელს შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა ადრესატები არიან რიგი სახელმწიფო უწყებები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მედია ორგანიზაციები.

სანამ თითოეულის მიმოხილვას დავიწყებდე, მინდა ორი სიტყვით ვთქვა იმის შესახებ, რომ რეკომენდაციების შემუშავების პროცესში (რომელიც დაახლოებით ერთი წელი მიმდინარეობდა) ყოველთვის პატივისცემით ვეპყრობოდით ერთმანეთის აზრს, ვითვალისწინებდით ერთმანეთის შეხედულებებს და საბოლოო სახე, რომელიც ჩვენმა რეკომენდაციებმა მიიღო, მინდა თამამად ვთქვა, რომ მოწონებული და მხარდაჭერილი არის რელიგიათა საბჭოში შემავალი თითოეული წევრისგან. ჩვენს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები პრიორიტეტულად წინ უსწრებს სხვა დანარჩენებს, რომელზეც რელიგიათა საბჭო შემდგომში გააგრძელებს მუშაობას.

ჩვენი პირველი რეკომენდაცია მიმართულია საქართველოს პარლამენტისადმი. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში გვაქვს სურვილი შეტანილი იყოს ცვლილება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა რელიგიური გაერთიანებისადმი თანასწორი საგადასახადო-სამართლებრივი რეჟიმის ჩამოყალიბებას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილი პრინციპის შესაბამისად.

საქართველოს მთავარ პროკურორს, რელიგიური ნიშნით დევნის ფაქტების არსებობის გამო მივმართავთ რეკომენდაციით, შესაბამისმა საგამოძიებო ორგანოებმა რელიგიური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებს დროულად მიანიჭონ სათანადო კვალიფიკაცია და აწარმოონ ეფექტური გამოძიება.

რიგ რელიგიურ გაერთიანებებს (როგორიცაა: კათოლიკური, ბაპტისტური, ხსნის არმის და სხვ.) საკუთრებაში აქვთ საქველმოქმედო დანიშნულების სხვადასხვა ცენტრი, მათთვის მარეგულირებელ ორგანოს მიერ დადგენილი წესისა და სხვა კომუნალური გადასახადები, კომერციული იურდიული პირების ტარიფის ანალოგიურია, რაც მძიმე ტვირთად აწვება ორგანიზაციებს. მივმართავთ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიას, გაატარონ სათანადო

ღონისძიებები რაც უზრუნველყოფს რელიგიური ორგანიზაციებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის განსხვავებული, შეღავათიანი, არაკომერციული ტარიფების დაწესებას.

ჩვენი შემდეგი რეკომენდაცია მიმართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი. პირველ პრობლემად ვასახელებთ სასკოლო სახელმძღვანელოებს, რომლებიც ვერ ასახავენ რელიგიურ და ეთნიკურ მრავალფეროვნებას და არ არის თავისუფალი სტერეოტიპული ტენდენციებისგან. ჩვენს რეკომენდაციაში მიუთითეთ, რომ სახელძღვანელო ხელს უნდა უწყობდეს არასტერეოტიპული, მრავალმხრივი აზროვნებისა და შეხედულებების განვითარებას მოსწავლეებში. ითვალისწინებდეს საქართველოს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკისა და სხვა შეხედულებებს. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელძღვანელოს არ მიენიჭოს გრიფი. მუშაობაში ჩაებას სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ რეკომენდებული ექსპერტთა ჯგუფი, იმავე ჯგუფის მიერ შეფასდეს და დამტკიცდეს უკვე არსებული სახელმძღვანელოები. შემუშავებული რეკომენდაციები აისახოს სახელმძღვანელოების მომდევნო გამოცემებში.

შემდეგ პრობლემად ვასახელებთ სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაუცველობას, რაც აისახება რელიგიური რიტუალების აღსრულებაში გაკვეთილებზე, სასულიერო პირების სკოლაში მისვლა აკადემიურ დროს, სკოლის ტერიტორიაზე არსებობს საკულტო ნაგებობები და სამლოცველო კუთხეები, რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური მიზნით გამოფენა ხდება, რიგდება რელიგიური ხასიათის ლიტერატურა.

განათლების სამინისტროს მივმართავთ რეკომენდაციით ,,განათლების შესახებ“ კანონისა და მასწავლებელთა ქცევის კოდექსის საფუძველზე შეიმუშავოს გაიდლაინები, სკოლის დირექტორებისათვის იმის შესახებ, თუ როგორ გახდეს სკოლის გარემო რელიგიური თვალსაზრისით ნეიტრალური. აისახოს მოთხოვნა სკოლის დირექტორის მიერ მრავალფეროვნების მართვისა და ინტერკულტურული განათლების ცოდნის ფლობის შესახებ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა კერძო და საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესში სასკოლო-სასწავლო გეგმების შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად ჩართოს კლასგარეშე აქტივობის მოთხოვნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მრავალფეროვნების დაფასებასა და ტოლერანტობის კულტურის განვითარებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში ჩაიდოს ინტერ-კომფესიური/ინტერ-კულტურული განათლების მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ პროფესიული განვითარების პროგრამა.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება, სასწავლო კალენდრის შედგენისას გაითვალისწინონ საკუთარი მოსწავლეებისა და სტუდენტების რელიგიური ინტერესები.

გვაქვს სამი რეკომენდაცია უმაღლესი სასწავლებლებისთვის. პირველი: უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებში ინტერკულტურული განათლების კურსი სავალდებულო საგანი გახდეს. მეორე: განხორციელდეს სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის ორგანიზება მრავალფეროვან და განსხვავებულ კულტურულ გარემოში. მესამე: განხორციელდეს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლების გადამზადება ინტერკულტურული სასწავლო გეგმის შედგენისა და მისი იმპლემენტაციის საკითხებში.

ჩვენი შემდგომი რეკომენდაციები მიმართულია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსადმი - ამ დრომდე გადაუჭრელია ე.წ. სადაო და საბჭოთა პერიოდში კომუნისტური ხელისუფლების მიერ ამა თუ იმ ეკლესიისთვის და რელიგიური გაერთიანებისთვის ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების ისტორიული მფლობელებისთვის დაბრუნების საკითხი, რაც ხელს უშლის რელიგიათა შორის ჰარმონიული ურთიერთობების დამყარებას და ისტორიული სამართლიანობის აღდგენას. მივმართავთ მთავრობას უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს ე.წ. სადაო ტაძრებისა და და საბჭოთა პერიოდში კომუნისტური ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების სათანადო მოვლა-პატრონობისა და მათი ისტორიული მემკვიდრისთვის დაბრუნების კონკრეტული სამოქმედო გეგმა. სახელმწიფომ თანაბრად გაითვალისწინოს ყველა რელიგიური ორგანიზაციის საკულტო ნაგებობების შენარჩუნებისა და რესტავრირების საჭიროება.

არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული რელიგიური გაერთიანების მიერ ხდება სადავო საკულტო ნაგებობების ინტერიერისა და ექსტერიერის შეცვლა, რაც ხშირად ამ შენობებს პირვანდელ არქიტექტურულ და რელიგიურ იერს უკარგავს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მსგავსი შემთხვევების პრევენცია.

იმ საკულტო ნაგებობებს, რომლებიც 100 წელზე მეტს ითვლიან და არ აქვთ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, სახელწიფომ აღწეროს და შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით აღნიშნულ შენობებს მიანიჭოს კულტურული ძეგლის სტატუსი და არ შეცვალოს მათი რელიგიური დანიშნულება.

ჩვენი ბოლო რეკომენდაციები მიმართულია <u>მედია-საშუალებებისადმი:</u>

რელიგიურ უმცირესობათა თემატიკის ასახვა პრობლემატურია საზოგადოდ მედიაში (ბეჭდური, ელექტრონული). რელიგიათა საბჭო მედია-საშუალებებს მიმართავს შეთავაზებით, დამყარდეს კონსტრუქციული და პოზიტიური ურთიერთობა საქართველოში მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებსა და მედია-საშუალებებს შორის. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ მზად ვართ: ა) გავუწიოთ ასისტირება რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის კვლევაში; ბ) ხელი შევუწყოთ ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების წარსულისა და აწმყოს შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში, ფორმულირებაში და ჯეროვან წარმოჩენაში. იმავე შეთავაზებით მივმართავთ საქართველოში მოქმედ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს, სადაც მოქმედებს ჟურნალისტიკის ფაკულტეტები.

არასაკმარისი ინფორმირებულობა რელიგიურ საკითხებში, რიგ საკითხებში არაკვალიფიცირებული ინფორმაცია, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საზოგადოებაში ქსენოფობიური განწყობების გაჩენასა და მოქალაქეთა უსამართლო სტერეოტიპიზაციას. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უფრო მეტი პერიოდულობით დაუთმოს დრო შემეცნებით გადაცემებს, რომელთა მიზანი იქნება რელიგიების ისტორიის, მსოფლიო კულტურულ პროცესში მათი როლის, თანამედროვეობაში რელიგიების როლისა და მნიშვნელობის, საქართველოში რელიგიურ გაერთიანებათა წარსულისა და აწმყოს გაშუქება, რაც ასევე განსაზღვრულია ,,მაუწყებლის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებმა შეისწავლონ საზოგადოებრივ მაუწყებელთან არსებული საზოგადოებრივი რელიგიათა საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებული ასპექტები და გააძლიერონ ამ საბჭოს მუშაობა.

მწირია ქართულ მედიაში რელიგიური დისკრიმინაციის, შეუწყნარებლობის, ქსენოფობიის, სიძულვილის ენის შემსწავლელი აკადემიური და საზოგადოებრივი აზრის კვლევები.

ამასთან დაკავშირებით გვაქვს რეკომენდაცია, სახელმწიფომ თავისი ფონდებიდან გამოაცხადოს საგრანტო კონკურსი ქართულ ელექტრონულ მედიაში რელიგიური დისკრიმინაციის, ქსენოფობიის, სიძულვილის ენისა და შეუწყნარებლობის აკადემიური კვლევისა და მონიტორინგის წარმოებაზე.

ვფიქრობთ, რელიგიათა საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში დისკრიმინაციის აღმოფხვრას, ტოლერანტული გარემოს განვითარებასა და სამოქალაქო ინტეგრაციას.

UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

დასკვნითი სიტყვა

ჰაინერ ბილეფელდი

გაეროს სპეციალური მომხსენებელი
რელიგიისა და აღმსარებლობის
თავისუფლების საკითხებში

ჩემი აზრით, წარმოადგინო დასკვნა არა მარტო რთულ, არამედ შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენს ხშირ შემთხვევაში. ამისდა მიუხედავად, მე მაინც ვეცდები გავაკეთო ეს. უნდა ავღნიშნო, რომ მოცემულ სიტუაციაში მე უფრო მეტი შეკითხვა გამიჩნდა, ვიდრე ადრე, აქედან გამომდინარე, უფრო ცოტა პასუხი მაქვს ზოგიერთ შეკითხვაზე, ვიდრე ვისურვებდი. მაგრამ ველოდი ამას და ეს ნათელი იყო.

რითაც მოვიხიბლე იყო გახსნილი ატმოსფერო, გულითადი და ამავდროულად პირდაპირი და პოლემიკური დისკუსია, რისი მომსწრენიც გავხდით ყველა; საკმაოდ გულახდილი, ბევრი კონფლიქტური საკითხი, ასევე სხვადასხვა საკითხის მიმართ კონფლიქტური შეხედულებები და მე ვთვლი, რომ ამ შეხვედრის მიზანიც ეს გახლდათ, რომ შემდგარიყო ამ ტიპის კომუნიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ კვალვაც რჩება ისეთი საკითხები, რაც მისაღებია და დაპირისპირებაც არ გადაწყვეტილა, მაგრამ ამ შეხვედრამ გარკვეულად ნათელი მოჰფინა სიტუაციას, რის შედეგადაც შეიქმნა პირისპირ კამათისა და დაპირისპირების შესაძლებლობა.

ამ კონფერენციის ერთ–ერთი განსაკუთრებული მახასიათებელი არის ის, რომ ჩვენ ორი ქვეყნის გარშემო განვიხილავდით საკითხებს. აღსანიშნავია ის, რომ პირველი შეხედვით ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ ეს ორი ქვეყანა თთქოს არც განსხვავდება ბევრი რამით ერთმანეთისაგან, მაგრამ საკითხების ახლო ჭრილში განხილვის შემდეგ, რადიკალური განსახვავებების არსებობა თვალნათელი ხდება.

ზოგადი განმარტებით, საქართველოსა და სომხეთს, სამხრეთ კავკასიაში მსგავსი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო ბევრი საერთო რამ აერთიანებს. ორივე ქვეყანას საკმაოდ არასახარბიელო სამეზობლო გარემო და საერთო საბჭოთა მემკვიდრეობა ხვდა წილად, შესაბამისად მათ მეტად რთული პრობლემის დაძლევა უწევთ. ორივე უძველესი ერი სახელმწიფოა, თუმცა ახალგაზრდა სახელმწიფოებრივი მოწყობით. ერი სახელმწიფო ახალი ფენომენია, თუმცა თავად ერები უძველესი წარმომავლობისაა. ორივე ქვეყნის შემთხვევაში, მათი რელიგია ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მთავარ ქვაკუდხედს წარმოადგენს, სადაც ეროვნული ინდეტობის განმსაზღვრელად თავად ეკლესია გვევლინება.

ორივე ქვეყანა ევროპის საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია.

თუ ახლო ხედიდან დავაკვირდებით სიტუაციას, ორ ქვეყანას შორის რადიკალური განსხვავებები თვალშისაცემი ხდება, რომლებიც უფრო რელევანტურია, ვიდრე მსგავსებანი. თუმცა, მაინც არ ვარ ამაში დარწმუნებული.

ორივე ქვეყანას განსხვავებული ისტორია აქვს, თოთოეული ქვეყნისთვის დამახასიათებელი

მარტიროლოგიით. მილეთის სისტემა მაგალითისთვის როგორც აქვე იყო ნახსენები, სომხური ისტორიისთვის და სომხური გენოციდისთვის იყო დამახასიათებელი. ორ ქვეყანას განსხვავებული მარტოლოგია, ტრაგიზმი, სიმდიდრე, მაგრამ ამავდროულად განსხვავებული თეოლოგიური ტრადიციები და განსხვავებული ისტორია აქვს.

ხოლო ახლა, თვალს ვადევნებ დისკუსიას და ვაკვირდები იმ განსხვავებებს, რომლებიც აქ განვიხილეთ. სომხეთის წარმომადგენლებმა ქართული მხარისგან განსხვავებით, სხვა საკითხები წამოაყენეს განსახილველად. მაგალითად ისეთები როგორიცაა პროზელიტიზმი (რჯულზე მოქცევა), სამხედრო ვალდებულებიდან გათავისუფლება რელიგიური ნიშნიდან გამომდინარე, ა.შ, რაც უფრო სომხეთის მხარის შეშფოთების საგანია ვიდრე საქართველოსი, როცა - ისტორიული მემკვიდრეობისა და საკუთრების უკან დაბრუნების საკითხი, საქართველოს მხარეს უფრო ეხება ვიდრე სომხეთს.

ასევე განსხვავებულია იურიდიული რეფორმის სტრუქტურაც და ვითარება ორ ქვეყანაში. დისკუსიის დროს სომხეთის მხარის მიერ იქნა წარმოდგენილი ის, რომ არსებობს ახალი კანონ–პროექტი, რომელიც ჯერ ისევ განხილვის ფაზაშია, თუმცა მასში შესატანი ზოგიერთი საკითხი საქართველოში 2011 წლის შემოდგომაზე მიღებულ კანონში იქნა შეტანილი, რასაც იმავე კანონის ფორმა არ აქვს როგორც სომხეთში, რაც ორივე ქვეყანაში იურიდიული რეფორმების ჩატარების სხვადასხვა ეტაპიდან გამომდინარეობს.

ჩემს ზოგიერთ მოსაზრებას ალბათ გავიმეორებ, ვინაიდან შესაძლოა უფრო უკეთესი იყოს მათზე ყურადღების გამახვილება. მაგალითად კანონმდებლობა – გუშინ გარკვეული საკითხები განვიხილეთ, რაც მაძლევს საშუალებას მხოლოდ მოკლე განმარტებები გავაკეთო მათ შესახებ.

ჩვენ, როგორც სომხური მხარის ომბუცმენის ინსტიტუტმა მოგვახსენა, ახალ კანონ–პროექტში გარკვეული წინსვლა შეინიშნება ზღვარის დაბლა დაწევის თვალსაზრისით. ერთი საკითხი, რაც მაღელვებს არის ის, რომ რეგისტრაცია კვლავაც სავალდებულოდ რჩება. მე მაინც მივიჩნევ, რომ იგი როგორც შემოთავაზება ისე უნდა არსებობდეს. ზოგიერთი რელიგიური დაჯგუფების პასუხისმგებლობაც შესაძლოა იყოს, რომ მათ განაცხადონ უარი რეგისტრაციაზე. ვინაიდან, რელიგიისა და მრწამსის თავისუფლებას აქვს სტატუსი, რაც ნებისმიერი ადმინისტრაციული პროცედურის გატარებამდეა უპირველესი, რა დროსაც ნებისმიერი შეთავაზება სახელმწიფოს მხრიდან როგორც ნებაყოფლობითი ისე უნდა იყოს და თავად მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს მათი საჭიროება. მე ვთვლი, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია და ჩვენ კვლავაც უნდა გავაგრძელოთ მასზე საუბარი.

მესამე კომპონენტი, კანონმდებლობა დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ძალიან მნივნელოვანია დამოუკიდებელ უწყებათა არსებობა, რომლებსაც ასევე გამოძიების ჩატარების შესაძლებლობა აქვთ. ჩემი გამოცდილებიდან შემიძლია მოვიყვანო მაგალითად, როცა გახლდით ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი, რაც ომბუცმენის აპარატის მსგავსი უწყებაა გერმანიაში, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი კეთდება ძლიერი ანტი–დისკრიმინაციული საკანონმდებლო ბაზის არსებობისთვის, მაინც არაპირდაპირი დისკრიმანციის ან სტრუქტურული დისკრიმინაციის მრავალ ფენომენს შეიცავს, რის შესახებაც შესაძლოა აქამდე არ გსმენიათ. აქ იკვეთება დისკრიმინაციის სხვადასხვა ასპექტი, როცა დისკრიმინაცია სხვა ნორმებთან გადაიკვეთება, როგორიცაა – რელიგია და ეთნიკურობა ან რელიგიისა და გენდერული საკითხების დაპირისპირება, რაც საკმაოდ რთული სფეროა, რაც მისი სირთულის მიუხედავად, მაინც უნდა იქნას განხილული. ეს საკითხი, ანტი–დისკრიმანაციის ყოველმხრივი პროგრამის ნაწილია, ხოლო გენდერის სფერო ცალკე აღებული, თავის მხრივ გენდერული იდენტობის სხვადასხვა საკმათო ასპექტს მოიცავს. მე მესმის ამ საკითხების სირთულე და კომპლექსურობა, თუმცა არ შეიძლება მათი დისკუსიის მიღმა დატოვება.

შემდეგი საკითხი არის, განათლება. ყოველთვის მახარებს ისტორიის შესახებ, კერძოდ კი, რელიგიის ისტორიის შესახებ საუბარი, როცა შევეხები ერის ჩამოყალიბების საკითხებს, როცა ისტორიის მანძილზე შეიმჩნევა გარკვეული რელიგიური ჯგუფების სპეციფიური გავლენა (სომხეთში სომხური სამოციქულო ეკლესიის, ხოლო საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის) გარკვეულ ფაქტებზე სამართლიანობის დადგენის თვალსაზრისით.

რელიგია სასკოლო განათლების ნაწილია და ასეც უნდა, მაგრამ აქ იკვეთება განსხვავება, როცა რელიგიაზე საუბარი - როგორც ინფორმაცია რელიგიის შესახებ, თუ რელიგიური სწავლებანი - თავად რელიგიურ კონტექსტში. ეს კი, კვლავაც ბუნდოვანია ჩემთვის.

გუშინ, ჩვენი დისკუსიის დროს ჩემთვის კვალავაც გაუგებარი იყო დისციპლინის საკითხი, რომელიც სკოლებში ისწავლება და წარმოადგენს თუ არა იგი სეკულარულ დისციპლინას, ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით მხოლოდ, რაც სომხური სამოციქულო ეკლესიის თანხმობას საჭიროებს. ამ თვალსაზრისით, ჩემი აზრით აქ მრავალი შეკითხვა შეიძლება იქნას დასმული.

თუმცა საქართველოში ინსტიტუციონალურად ეს განსხვავებულია. თუმცა, მე კვლავაც მრჩება შეგრძნება იმისა, რომ აქაც არსებობს გარკვეული ბუნდოვანება და მეტად მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ ეს საკითხი მართლაც ასეა, მაშინ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ სასკოლო განათლება ასევე გამოიყენება რელიგიური ფასეულობების პოპულარიზაციისათვის ქვეყანაში.

აქედან გამომდინარე, უმცირესობების ბავშვებს ამ სიტუაციიდან თავის დაღწევის მინიმალური შანსი გააჩნიათ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან არსებობს რელიგიური სწავლებანის სხვადასხვა ფორმა – თავად რელიგიის შესახებ ცნობების მიწოდების, რელიგიიური წეს–ჩვეულებების თვალსაზრისით და ისინი განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ. ჩემი აზრით, ეს საკითხი დამატებით განმარტებებს საჭიროებს, ვინაიდან ბევრი საკითხია, რაც მე არ მესმის. აქვე მინდა ტოლედოს პრინციპებზე ვისაუბრო, რაც ეუთოს მიერ იქნა მომზადებული და რაც, როგორც სახელმღვანელო პრინციპი ისე შეიძლება იქნას განხილული ამ სფეროში.

შემდეგი საკითხი კი, <u>ცრურწმენებს</u> შეეხება. ბევრი პრობლემა, რომელიც ამ ორ ქვეყანაში არსებობს თავად საზოგადოებიდან მომდინარეობს, რაც ინსტიტუციონალური დარღვევების კატეგორიას არ მიეკუთვნება. ცრურწმენათა შექმნას ხელს უწყობს არსებული მრავალი სტერეოტიპი, არაკეთილგანწობილი დამოკიდებულება და გარემო, უნდობლობა და ეჭვი, ასევე შესაძლო ისტორიული მემკვიდრეობაც.

ასევე მინდა ყურადღება გავამახვილო <u>დიალოგზე, კომუნიკაციასა და რელიგიათაშორის დიალოგზე</u>. მე ცოტა გაკვირვებული ვიყავი, როცა დავინახე, რომ დიალოგი ქართული მხარის წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობდა მხოლოდ. არსებობს ორი განსხვავებული მიდგომა, თუ როგორ შეიძლება რელიგიათაშორისი დიალოგის ორგანიზება. მე მომხდარის ანალიზს არ ვაკეთებ, უბრალოდ თვალს ვადევნებ. მე იმედი მაქვს, რომ არსებობს გზები, რათა გაიმართოს დიალოგი და ურთიერთკომუნიკაცია, ორ მხარეს ექნება განსხვავებული (შესაძლოა) შეხედულებები, პატივისცემა, გულწრფელობა, მაგრამ ეს ერთადერთი გზაა, რაც მხარეებს დაეხმარება ცრურწმენებისა და სტერეოტიპების გადალახვაში, ხშირად ეს საკმაოდ მტკივნეული და გრძლევადნიანი პროცესია.

ბოლო საკითხი, <u>სახელმწიფოებრიობა.</u> როგორც უკვე ავღნიშნე, ჩვენ გვყავს უძველესი ერები ახალი სახელმწიფოებრივი მოწყობით. ამ უძველესი ერებიდან რამოდენიმეს სულ ახლახან მიეცა საშუალება დაებრუნებინა და ხელახლა შეექმნა საკუთარი სახელმწიფო, რამაც ისინი დამატებითი გამოწვევების წინაშე დააყენა, თუმცა ამავდროულად ახალი შესაძლებლობებიც შეუქმნა მათ. თუმცა რას ქმნის სახელმწიფო იმაზე მეტს რასაც ერი ქმნის, სახელმწიფო იძლევა საჯარო სივრცის შექმნის საშუალებას, რომელზეც ხელი ყველას მიუწვდება. ეს არ არის ის, რასაც ერი შექმნის და არც ის არის რისი შექმნის საშუალებაც მხოლოდ სახელმწიფოს აქვს. სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველაფერს რესპუბლიკის ეგიდით და სახელწიფო ინსტიტუტები ფუნქციონირებენ თითოეული ადამიანის ინტერესებიდან გამომდინარე და ქმნიან სივრცეს, რამაც მრავალფეროვნება უნდა განავითაროს და რომლის ფარგლებშიც უნდა განისაზღვროს კონტექსტი– ჩვენ გაგება – რა არის ჩვენ, ჩვენ არის ხალხი. ხალხი თანამედროვე დემოკრატიაში, არასოდეს იქნება კოლექტიური დახურული მცნება, და დივერსიფიკაცია ხდება ამ უფრო ინკლუზიური და მარავალმხირივი ბევრის ნანილი და უფრო ნაყოფიერი ჩვენ.

საჯარო სივრცე არის ის, რაც ჩვენ არცერთ შემთხვევაში არ უნდა მივიღოთ ისე თითქოს ვიმსახურებდეთ ამას. იგი უდიდესი ძალისხმევით მიიღწევა – საჯარო სივრცე სამოქალაქო ინსტიტუტების დახმარებით იქმნება, სადაც თითოეულ ჩვენგანს შე გვიძლია პლურალიზმის

გამოცდილება მივიღოთ. იგი არის საჯარო, ღია და ყველა ჩვენგანს მიუწვდება მასზე ხელი, იგი ასევე ხელს უწყობს დივერსიფიცირებული ჯგუფების აზრთა გამოთქმას. ჩემი მანდატი აქ რელიგიისა და მრწამსის თავისუფლების საკითხებზე ვრცელდება – ასე, რომ აქვე პლურალიზმის თემას რელიგიური მრავალფეროვნება და მრწამსის მრავალფეროვნებასაც ემატება – აქვე ისიც მინდა გავიმეორო, რაც ადრე მოგახსენეთ – ეს შეკრების თავისუფლებაა რომელიც განუყოფელსა და არსებით უფლებას წარმოადგენს საჯარო სივრცის გახსნილობის კონტექსტში, რამაც ასევე ხელი უნდა შეუწყოს საჯარო მანიფესტაციების, დიკუსიების, დივერსიფიცირების, მათ შორის გენდერულისაც, სხვადასხვა ასპექტის განვითარებას.

თანამედროვე სახელმწიფო დამოუკიდებელი ინსტიტუციების განვითარების ხეშეწყობაზეც არის პასუხიმსგებელი, რაშიც მართლმსაჯულებაც შედის. საკუთრების შესახებ არსებული ყველა საჩივარი იურიდიული პროცედურების გავლით უნდა გადაწყდეს, რაც მათ სამართლიანობასა და გამჭვირვალობას საჭიროებს.

ჩემი ბოლო კომენტარი შეეხება რელიგიის თავისუფლებას, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმებით, ასევე ევროკომსიის, ICCPR–ისა და გაეროს ჩარჩო დოკუმენტებით დაცული უფლებაა.

<u>რელიიგისა და მრწამსის თავისუფლება</u> არის ადამიანის უფლება, რაც ეხმარება უმცირესობათა წევრებს მათი უფლებების გაძლიერებაში. თუმცა აქ თავს იჩენს უმრავლესობათა დამოკიდებულება, როცა უმცირესობათა უფლებები ძლიერდება, მათ არ უნდა გაუჩნდეთ განცდა იმისა, რომ ყველა საშუალება, რაც მათ უფლებებს აძლიერებს შესუსტებულ უნდა იქნას. ჩემი აზრით საჯარო სივრცის არსებობა გამოხატულების სხვადასხვა ფორმით, იძლევა საშუალებას ახალი გზით გავიცნოთ და გავიზიაროთ პლურალიზმის მცნება. უმცირესობების უფლებების გაძლიერება მისთვის საჭირო საშუალებების გარეშე, შეიძლება უმრავლესობის დამარცხებად ჩაითვალოს. იდენტობის ან იდენტობების კონტექსტის სიღრმისეული წვდომა შესაძლოა უფრო ინფორმატიული გამოდგეს და ხელი შეუწყოს უმრავლესობის რელიგიური მემკვიდრეობის გაცნობასა და გაგებას. ვიცი, რომ ამის შესაძლებლობა არსებობს და ეს რეალობაა.

სასურველი იქნება თუ თავად რელიგიური უმრავლესობის ძალისხმევით შესუსტდება ეს დაძაბულობა ეროვნულ იდენტობასა და რელიგიურ იდენტობას შორის. მე არ ვაცხადებ იმას, რომ სულ მოიშალოს, მაგრამ აუცილებელია იმ კონტექსტის სიღრმისეული გააზრება თუ როგორ მოდის ამ ორი ტიპის იდენტობა ურთიერთობაში.

ჩემი დაკვირვებები აღნიშნული დისკუსის საბოლოო შეფასებებს არ წარმოადგენენ. ვაკეთებ მარტივ დასკვნას, რომ ამ ტიპის კომუნიკაცია ისეთი დაძაბულიც კი, როგორც ეს უკანასკნელი გალხდათ, მომავალშიც გაგძელდება. საუკეთესო მინდა ვუსურვო ორივე ქვეყანას, რომლებიც, იმედი მაქვს, რომ ჯანსაღი ორმხრივი უთიერთობების განვითარებას შეძლებენ მომავალშიც.

UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER
Government of the Netherlands
EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

UNITED NATIONS HUMAN RUGHTS
OFFCE OF THE HIGH COMMISSIONER

Government of the Netherlands

EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

Annex 1

Agenda

Day 1 | 29 May 2013

10.00 Welcome and opening of the conference by the Embassy of the Netherlands, the United Nations Office of the High Commissioner for Human Rights and the European Centre for Minority Issues Caucasus
10.15 Opening statement by the State Minister for Reintegration of Georgia - Mr. Paata Zakareishvili
10.30 Presentation of participants
10.45 International Standards and good practices on Freedom of Religion or Belief - Introduction Dr. Heiner Bielefeldt, UN Special Rapporteur on Freedom of Religion or Belief
11.00 Discussion
12.00 Coffee break
12.30 Discussion (continuation)
13.00 Outline of Armenia's commitments to freedom of religion - Mr. Vardan Ascatryan, Head of the Department of National Minorities and Religious Affairs of the Government of Armenia
13.30 Lunch
15.00 Analysis of legal issues related to the Armenian Diocese in Georgia - Mr Levon Isakhanyan, Head of the Legal Department of the Diocese, Armenian Apostolic Church Georgia
15.45 Concerns of religious organizations in Georgia: places of worship and the discrimination of the right to freedom of religion of Muslim Georgians - Mr. Tariel Nakaidze, Union of Adjara Muslims
16.00 The situation - Mr. Davit Mikaeylyan, Expert on National Minorities and Religious Affairs
16.30 Discussion on the implementation of freedom of religion in Georgia and Armenia, moderated by UN Special Rapporteur Bielefeldt
17.30 Closing of Day 1
18:00 Dinner

Day 2 | 30 May 2013

10.00 Rights and opportunities for religious organizations in Georgia - Mr. Beka Mindiashvili, Head of the Tolerance Centre, Ombudsman's Office of Georgia
10.30 Rights and opportunities for religious organizations in Armenia - Ms Anush Margaryan, Ombudsman's Office of Armenia
11.00 Discussion
12.00 Coffee break
12.30 Elaboration and presentation of recommendations on the freedom of religion by the Council of Religions under the auspices of the Public Defender of Georgia - Ms. Lela Khonelidze
13.45 Concluding remarks by UN Special Rapporteur Dr. Heiner Bielefeldt
14:00 Closing of the conference
14.30 Lunch

Annex 2

List of Participants

Government Officials

Georgia	Armenia
1. Mr Paata Zakareishvili, State Minister on Reintegration Issues	**4. Mr. Vardan Ascatryan**, Head of the Department of National Mino rities and Religious Affairs of the Government of the Republic of Armenia
2. Ms Tamara Kintsurashvili, Deputy Secretary, National Security Council	**5. Mr. Davit Mikaelyan**, Expert of the Department of National Minorities and Religious Affairs of the Government of the Republic of Armenia
3. Mr. David Zurabishvili, Deputy Minister, Ministry on Education and Science	**6. Ms Kristina Mehrabekyan,** Ministry of Foreign Affairs
	7. Mr Sargis Torosyan, Ministry of Foreign Affairs

Ombudsman's office

Georgia	Armenia
8. Mr. Beka Mindiashvili, Head of the Tolerance Centre, Ombudsman's Office of Georgia	**9. Ms Anush Margaryan –** Legal Department Ombudsman's Office of Armenia
10. Ms Mariam Gavtadze - Tolerance Centre, Ombudsman's Office of Georgia	**11. Ms Liana Mkrtchyan** – Legal Department Ombudsman's Office of Armenia

Council of Religions under the auspices of the Public Defender of Georgia

13. Mr Vagif Aksperov (Sheikh) – Georgian Muslim Union
14. Mr Jemal Paksadze (Mufti) – Adjarian Muslim Mufties
15. Mr Tariel Nakaidze – Union of Adjara Muslim
16. Mr Vazgen Mirzakhanian (Bishop) – Armenian Orthodox Church
17. Mr Abi-Melik Rosenblatt– (Rabbi) – Jewish Community
18. Mr Giuseppe Pezzotti (Bishop) – Roman Catholic Church
19. Fr. Mikhael Khachkalyan – Armenian Catholic Church
20. Mr Dimitri Pirbari – (Phir)– Yezidi Council
21. Ms Rusudan Gotsiridze –(Bishop)- Baptist -Evangelistic Church
22. Mr Zaal Tkeshelashvili – (Pastor) – Evangelic Church
23. Mr Giorgi Tskhomelidze – Roman Catholic Church
24. Ms Ketevan Ramishvili – Evangelic Church
25. Mr Varlam Ramishvili (Pastor) – Saint Trinity Protestant Church
26. Mr Boris Charaia – (Pastor) – Seventh Day Adventist Church
27. Mr Shmagi Chankvetadze (Pastor) – Evangelistic-Protestant Church
28. Mr Merab Oragvelidze – Baptist's Church "Madli"
29. Mr Bradley Caldwell – International Charity Organization " Khsnis Armia"
30. Mr. Oleg Khubashvili – Seventh Day Adventist Church
31. Ms Lela Khonelidze - Seventh Day Adventist Church
32. Mr Mikheil Elizbarashvili – "Friend's Community- Kvakerebi"
33. Mr Bagrati Mamasakhlisi – Svedenborgian Church

Churches

Georgia	Armenia
34. Bishop Vazgen Mirzakhanyan, Head of the Diocese, Armenian Apostolic Church Georgia	**35. Archimandrite Shahe Ananian -** Mother See of Holy Etchmiadzin
36. Mr Levon Isakhanyan, Head of the Legal Department of the Diocese, Armenian Apostolic Church Georgia	

37. Ms Nina Ter- Saakova - Armenian Apostolic Church Georgia	
38. Mr. Giorgi Zviadadze , Rector of the Theological Academy of the Orthodox Church of Georgia	
39. Ms Tea Gogotishvili , Orthodox Church of Georgia	
40. Mr. Andria Jagmaidze, Orthodox Church of Georgia	
41. Mr Bidzina Gunia, Orthodox Church of Georgia	

Civil Society Representatives

Georgia	Armenia
42. Mr Giorgi Mshvenieradze - Georgian Democracy Initiative	**43. Mr. Gevorg Mkrtchian** - Chairman of the NGO "Youth"
44. Mr Ghia Nodia - Chairman, Caucasus Institute for Peace, Democracy and Development	**45. Ms Isabella Sargsyan -** Eurasia Partnership Foundation, Communications Officer/Project Manager
46. Ms Elene Nodia - Project Manager, Caucasus Institute for Peace, Democracy and Development	**47. Ms Veronika Danielyants** – Analytical Centre on Globalization and Regional Cooperation
48. Mr Paata Gachechiladze - Chairman, Union "21st Century"	
49. Ms Tamara Aleksidze – Union „21st Century"	
50. Mr Arnold Stepanyan – Public Movement "Multinational Georgia"	
51. Mr Davit Chikvaidze – Profesor in Canonic Law, Tbilisi State University	
52. Mr Irakli Artmeladze – Turkey Friendship Association	
53. Mr Emin Eckerci- Turkey Friendship Association	
54. Mr Giorgi Keburis – Association " People for People"	
55. Mr Will a Vander Wade - Association " People for People"	

UNITED NATIONS HUMAN RUGHTS OFFCE OF THE HIGH COMMISSIONER

Government of the Netherlands

EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES

International Organizations/Embassies

56. Ms Angele Samura – Deputy Head of Mission, Embassy of the Kingdom of the Netherlands in Tbilisi, Georgia
57. Mr Mark van Embden Andres – Political Officer, Embassy of the Kingdom of the Netherlands in Tbilisi, Georgia
58. Mr Maurice Paulussen – Policy Officer**,** Ministry of Foreign Affairs of the Netherlands
59. Mr Heiner Bielefeldt – UN Special Rapportor on Freedom of Religion or Belief
60. Mr Vladimir Shkolnikov - Senior Human Rights Adviser for the South Caucasus the United Nations Office of the High Commissioner for Human Rights
61. Mr. Jamie McGoldrick - UN Resident Coordinator, Georgia
62. Ms Caterina Bolognese - Head of Delegation, Council of Europe Delegation to Georgia
63. Ms Ewa Chylinski – Regional Director, European Centre for Minority Issues (ECMI) - Caucasus
64. Ms Denola Chkhartishvili – Project Associate, European Centre for Minority Issues (ECMI) - Caucasus
65. Mr Giorgi Sordia – Researcher, European Centre for Minority Issues (ECMI) - Caucasus
66. Mr Joseph Maramreddy – Embassy of the Holy See (Vatican) in Georgia

Interpreters

Georgia	Armenia
67. Mr Ivane Menteshashili – Geo/En/Rus	**68. Mr. Aram Ohanian** – Arm/En
69. Mr Mikheil Avakian – Geo/Arm	

Annex 3

List of Conference Materials

UN SR and UPR Georgia
http://ap.ohchr.org/Documents/R/HRC/resolutions/A_HRC_RES_6_37.pdf
http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G10/177/93/PDF/G1017793.pdf?OpenElement
http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G10/172/02/PDF/G1017202.pdf?OpenElement
http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G10/175/83/PDF/G1017583.pdf?OpenElement
http://www.upr-info.org/IMG/pdf/recommendations_to_georgia_2011.pdf
http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/LTD/G12/121/45/PDF/G1212145.pdf?OpenElement
US State Dept. Country Report – Georgia
http://www.state.gov/documents/organization/193023.pdf
US Department of State, Georgia Human Rights Report 2012
http://www.state.gov/j/drl/rls/irf/religiousfreedom/index.htm?year=2012&dlid=208316
http://www.state.gov/documents/organization/204499.pdf
Situation of Human Rights and Freedoms in Georgia 2012, PDO Parliamentary Report
Pages - 519- 531
http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/iicsizmorgdfkahkdqvc.pdf
Recommendations elaborated by the Religious Council functioning under Public Defender's Office
UN SR and UPR Armenia
http://www.legislationline.org/download/action/download/id/4329/file/ECHR_case_%20Bayatyan%20v.%20Armenia%2007.07.11_en.pdf
Religious Tolerance in Armenia
http://www.osce.org/yerevan/74894
US Department of State Report on Religious freedom , Armenia 2012 http://www.state.gov/j/drl/rls/irf/2012/eur/208286.htm
General
State and Church in EU Member Countries –Gerhard Robers
CoE/PACE
http://assembly.coe.int/ASP/Doc/XrefViewPDF.asp?FileID=19695&Language=EN
Handbook
http://www.coe.int/t/dghl/cooperation/capacitybuilding/Source/documentation/hb09_rightfreedom_en.pdf
OSCE
http://www.legislationline.org/download/action/download/id/3463/file/OSCE_commitments_on_for_1975-1999_en.pdf
http://www.legislationline.org/documents/action/popup/id/16515
http://www.legislationline.org/documents/action/popup/id/16077
Toledo Guiding Principles
http://tolerance.research.uj.edu.pl
OSCE ODIHR's Tolerance and Non-Discrimination Information System (TANDIS)
http://tandis.odihr.pl